# ლელო

№ 005 (12 382)

9 იანვარი ოთხშაბათი 2008
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო იტალიას კალენდარზე შეუთანხმდა



**ტოპმიოლერი კონტრაქტს სოფიიდან ჩამოსვლის შემდეგ გააფორმებს**

ფეხბურთის ფედერაცია: ამ ჯერზე კლაუსის ხელფასი ოფიციალურად გახდება ცნობილი 2



3



**ლომაია ვიტ ჯორჯიაში ვარჯიშობს** 4

**ზამთარაძე ლოკომოტივში დაბრუნდა** 4

**ოლიმპს კვარაცხელია და უკრაინელები დაემატნენ** 5

## ჩახნაშვილი პეკინისთვის იბრძოლებს, ბუდაპეშტში ახალგაზრდები ითამაშებენ






ჩოგბურთი. ფედერაციის თასი 13

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ინტერვიუ ლევან ყენიასთან

# დამალული 77 და... მადლობა ბებიას

„შალკე 04"-ის ვებგვერდმა და სხვა გერმანულმა წყაროებმა გუშინწინ დაწერეს, „ხუმარებმა" 17 წლის ლევან ყენიასთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმესო. გუშინწინ ყენია ჯერაც თბილისში იყო და გაუგებარი იყო, როგორღა მოაწერა ხელი ხელშეკრულებას. ყენია წუხელ გაფრინდა გერმანიაში და ინტერვიუ მანამდე ჩამოვართვით.

- „შალკესთან" ოთხწლიანი კონტრაქტი 30 დეკემბერს გავაფორმე, მაგრამ კლუბმა მთხოვა, მასზე ჯერ წურაფეს იტყვი, ეს ამბავი პირველებმა ჩვენ უნდა გავახმოვანოთო.

**- კონტრაქტის გაფორმება სეზონს ბოლოსაც შეგეძლო - რატომ დაჩქარდა ყველაფერი?**

- რა თქმა უნდა შეგვეძლო, კონტრაქტი ზაფხულში გაგვეფორმებინა, მაგრამ დაჩქარება მოვითხოვე. სამი თვეა „შალკეში" გადავედი და თამაში ჯერ არ მღირსებია. ამის გამო ძალიან ვნერვიულობდი, კონტრაქტის გაფორმების შემდეგ კი უკვე მშვიდად ვარ. „შალკეს" ახალგაზრდულ გუნდში მხოლოდ ვარჯიშს ისევ საქართველოში დაბრუნება და „ლოკომოტივში" თამაში მერჩივნა. იცი, მანამდე ჩემს „ლევანტეში" შესაძლო გადასვლაზე იყო ლაპარაკი, მერე „შალკე" გამოჩნდა და იქ გადასვლაც გამიჭიანურდა, გადავედი „შალკეში" და მერე რაღაც ფორმალობების მოუგვარებლობის გამო თამაში არ მიწევდა. ყველაფერმა ამან ჩემზე ფსიქოლოგიურად ძალიან იმოქმედა და კონტრაქტის გაფორმება ახლავე მინდოდა.

**- ლაპარაკი იყო იმაზე, რომ „შალკესთან" 1+3 სისტემით გააფორმებდი ხელშეკრულებას...**

- კი, მ აგრამ არანაირი პლუს-მინუსი აღარ იქნება - ოთხწლიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი, რომელიც 2008 წლის ოქტომბრიდან შევა ძალაში, როცა 18 წელი შემისრულდება.

**- კონტრაქტი უკვე გააფორმე და ალბათ, „შალკეს" პირველ გუნდში გადასვლის პერსპექტივაზეც ისაუბრებდი კლუბის ხელმძღვანელობასთან...**

- რა თქმა უნდა, ამაზეც ვისაუბრეთ. მითხრეს, მომდევნო სეზონიდან პირველი გუნდის განაცხადში შეგიყვანთო და ძირითადში თავის გამოჩენის შანსიც მოგეცემაო. ისიც მითხრეს, „შალკეს" მთავარი მწვრთნელი მირკო სლომკა კარგი თვალით გიყურებსო.

**- ნომერი უკვე მოგცეს „შალკეში"?**

- 77-ე ნომერი შემომთავაზეს და დავთანხმდი, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ სულ ამ ნომრით მსურს თამაში - ისეთი ამპლუის მოთამაშე ვარ, რომ ნაკრებშიც და „შალკეშიც" ათი ნომერი უნდა მოვიპოვო - ამას შრომა და დამსახურება უნდა.

**- ამ ეტაპზე უკვე შეგეძლება „შალკეს" ახალგაზრდულ გუნდში თამაში?**

- როგორც მითხრეს, ყველა ფორმალობა უკვე მოგვარებულია. გელზენკირხენში რომ ჩავალ, რამდენიმე დღე კიდევ დავისვენებ, მერე კი თურქეთში წავალთ შეკრებაზე. 19-წლამდელთა ბუნდესლიგა კი დაახლოებით სამ კვირაში დაიწყება.

**- ერთი სიტყვით, ყველანაირად კმაყოფილი შეხვდი 2008 წელს და სეზონის განახლებისასაც კარგი განწყობა შეგექმნა...**

- მასეა და ერთიც მინდა ვთქვა. ჯერ ბევრი არაფრისთვის მიმიღწევია, მაგრამ რასაც მივაღწიე, იმაში სხვათა გარდა ბებიაჩემ ენძელასაც მიუძღვის წვლილი. ბებიამ ამასწინათ შემომჩივლა, ინტერვიუებში ჩვენი ოჯახის ყველა წევრს მადლობას ეუბნები ჩემს გარდაო. ფეხბურთი რომ მეთამაშა, მთელი ოჯახი მართლაც გვერდში მედგა, მაგრამ ბებია განსაკუთრებულად - სულ კუდში დამსდევდა და მიფრთხილდებოდა. ჰოდა, ჩემი თხოვნაა, რომ „ლელოს" საშუალებით მას მადლობა გადავუხადო.

**დავით თავართქილაძე**



კლაუს ტოპმიოლერი



საქართველო-შოტლანდია. ლევან ყენია ოთხი შოტლანდიელის გარემოცვაში

ეროვნული ნაკრები

# ტოპი კონტრაქტისთვის სოფიიდან ჩამოვა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას საახალწლო-საშობაო შვებულება გუშინ დაუმთავრდა. 5 იანვრის არჩევნების შედეგებმა უეჭველი გახადა ფეხბურთის ფედერაციასა და **კლაუს ტოპმიოლერს** შორის ახალი კონტრაქტის გაფორმება.

ფედერაცია და ტოპი კონტრაქტის პირობებზე ჯერ კიდევ დეკემბერში შეთანხმდნენ. ჩვენი უპირველესი ნაკრების გერმანელი ხელმძღვანელი უწინდელისგან განსხვავებულ მოდელს ხელშეკრულებას მოაწერს ხელს - უფრო ნაკლები მოჭრილი ხელფასი და ბონუსები გუნდის შედეგის მიხედვით.

თუმცა ტოპმიოლერი ამ დღეებში არ ჩამოვა თბილისში. 14-15 იანვარს სოფიაში მსოფლიოს 2010 წლის შესარჩევში ჩვენი ჯგუფის წარმომადგენლები შეიკრიბებიან და ჯგუფის კალენდარზე იმსჯელებენ და შესაძლოა, შეთანხმებას სოფიაშივე მიაღწიონ.

ბულგარეთის დედაქალაქში ქართულ დელეგაციაში ტოპის გარდა ფედერაციის პრეზიდენტი და გენერალური მდივანიც იქნებიან - **ნოდარ ახალკაცი და უჩა უგულავა.** წინასწარი შეთანხმებით სამეული ერთად დაბრუნდება თბილისში და კონტრაქტს ხელიც მერე მოეწერება.

ფეხბურთის ფედერაცია დაგვპირდა, რომ ამ ჯერზე ტოპმიოლერის ხელფასი ოფიციალურად გახდება ცნობილი, რაც შეეხება წინა კონტრაქტს, კულუარული ინფორმაციით ტოპიმ ორი წლის განმავლობაში დაახლოებით სამი მილიონი დოლარი აიღო საქართველოს ეროვნული ნაკრების გაწვრთნისთვის.

**დავით თავართქილაძე**



ლაშა სალუქვაძე

ლეგიონერები

# რუბინის ქართველთა თურქული სპარინგები

უკვე გადაწყვეტილია, რომ **ლაშა სალუქვაძე** მომავალ სეზონსაც ყაზანის "რუბინის" შემადგენლობაში ჩაატარებს. სავარაუდოდ, კლუბს არც **ნუკრი რევიშვილი** შეიცვლის, რომელსაც აწი უფრო ბევრი ძლიერი კონკურენტი ეყოლება.

"რუბინმა" უკვე დაიწყო სეზონისთვის სამზადისი. 5 იანვარს პირველ შეკრებაზე გუნდი თურქულ კურორტ ბელექში გაემგზავრა, სადაც 20 იანვრამდე დარჩება. ჩვენს თანამემამულეებს იქ სამი საკონტროლო მატჩი ელით, "რუბინი" გერმანულ და შვეიცარიულ კლუბებთან ჩაატარებს სპარინგს. 12 იანვარს "რუბინი" მეორებუნდესლიგელ "აუეს" გაეჯიბრება, 15-ში – ამავე ლიგის ბინადარ "ვეენს", 18 იანვარს კი "სენტ გალენის" წინააღმდეგ მოსინჯავს ძალებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ნუკრი რევიშვილი

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ნაკრები

# იტალია ქართულ ვარიანტზე თანახმაა

მხოლოდ 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის კალენდრის შესათანხმებლად ჩვენი ჯგუფის მეტოქეები რამდენიმე დღეში სოფიაში შეიკრიბებიან. ბულგარეთის დედაქალაქში ჩვენი დელეგაცია კალენდრის საკუთარ ვარიანტებს ჩაიტანს, რომელთაგან ერთია გამორჩეული - შესარჩევ ციკლს იტალიასთან გასვლითი მატჩით ვიწყებთ და იტალიელებთან საშინაო შეხვედრით ვამთავრებთ. თუმცა იბადება კითხვა, რამდენად აწყობთ ეს ვარიანტი იტალიელებს?

როგორც ირკვევა იტალია ქართულ ვარიანტს არ ეწინააღმდეგება. უფრო მეტიც, მხარეებს შორის ამ ვარიანტზე შეთანხმებაც კი ყოფილა მიღწეული.

"კალენდართან დაკავშირებით იტალიურ მხარესთან უკვე გვქონდა სატელეფონო კონსულტაციები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მათთან შეთანხმებას მივაღწიეთ. ისინი თანახმანი არიან შესარჩევი ციკლი ჩვენთან საშინაო თამაშით დაიწყონ და თბილისური მატჩით დაასრულონ. მთავარია, ამ ვარიანტსა და თამაშების სხვა განრიგზე რამდენად იქნებიან თანახმანი ჯგუფის სხვა წარმომადგენლები. სოფიაში ჩვენი ვარიანტის გატანას ბოლომდე შევეცდებით და იმედია შევძლებთ კიდეც", - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა **უჩა უგულავამ.**

კალენდრის შეთანხმებისთვის ორი დღე, 14 და 15 იანვარია გამოყოფილი. თუ შეთანხმება არ შედგა, 16 იანვრიდან უკვე ფიფა წილისყრით შეგვიდგენს კალენდარს.

**დავით ცაბაძე**



ახალციხელები მეორე წრისთვის მომზადებას მალე დაიწყებენ



დონადონი ტოპმიოლერის მიერ შეთავაზებული ვარიანტზე თანახმაა

# ქართული ოქრო ნაკრებისთვის

## 1.4 მილიონი 3 წლის განმავლობაში მადნეულისგან

გასულ შემოდგომაზე გაჩნდა ცნობა, რომ ეროვნულ ნაკრებს ძლიერი სპონსორი ეყოლებოდა. ამის შემდეგ მალევე გაცხადდა, რომ ეროვნული გუნდის სპონსორი სამი წლის განმავლობაში, უფრო სწორად კი 2008 წლიდან, სააქციო საზოგადოება "მადნეული" იქნებოდა.-2008 წელიც დადგა და შესაბამისად დავინტერესდით დაიწყო თუ არა, ან როდის დაიწყებოდა სპონსორული კონტრაქტის ამოქმედება. როგორც გავარკვიეთ, ამ მხრივ არაფერი შეცვლილა და "მადნეული" უკვე არის ეროვნული ნაკრების სპონსორი.

"მადნეული" საქართველოს ეროვნული ნაკრების სპონსორია. კონტრაქტი 2008 წლიდან შევიდა ძალაში და სამი წლის განმავლობაში გაგრძელდება. ამ ხელშეკრულების მიხედვით, ეროვნული ნაკრები 1.4 მილიონს მიიღებს. წლეულს და გაისად ეროვნული გუნდი წელიწადში 500 ათასს მიიღებს, 2010 წელს კი 400 ათასს", - გვითხრა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ.**

დაბოლოს, წლიურად განსაზღვრული თანხა ოთხ ეტაპად, კვარტალების მიხედვითაა დაყოფილი.

**დავით ცაბაძე**

საქართველოს ჩემპიონატი. კლუბები

# მესხეთს დიდთოვლობა აფერხებს

ორ-სამ დღეში ჩემპიონატის მეორე წრისთვის მზადებას "მესხეთიც" შეუდგება. გუნდი პირველად ახალციხეში შეიკრიბება, მაგრამ სამცხე-ჯავახეთში განსაკუთრებით მძიმე კლიმატური პირობებია და დიდთოვლობის გამო, ალბათ იქ ვარჯიში შეუძლებელი იქნება.

"მესხეთი" სავარაუდოდ, მალე თბილისში გადმოინაცვლებს და თუ აქაც დიდთოვლობა გაგრძელდა, პირველ ეტაპზე დიდუბის მძლეოსნობის მანეჟში ივარჯიშებს. **კობა თედიაშვილის** გუნდი ამის პარალელურად, იპოდრომზეც მოემზადება, ამის შემდეგ კი უკვე საკონტროლო მატჩების დრო დადგება.

ჯერჯერობით, გუნდის შემადგენლობაში დიდი ცვლილებები არ მომხდარა. ჯერ კიდევ ახალ წლამდე "ლოკომოტივში" გადავიდა გამოცდილი თავდამსხმელი **ალექსანდრე კაიდარაშვილი,** სომეხი **ჰაიკ აკოფიანი** კი "მესხეთს" ვერაფერში წაადგა და სამშობლოში დაბრუნდა.

სხვა ფეხბურთელები ალბათ, ახალციხეში დარჩებიან, თუმცა მხოლოდ სადღეისოდ არსებული კადრები სამწვრთნელო შტაბს არ აკმაყოფილებს. ახალციხელებს რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელის დამატება აქვთ დაგეგმილი და როგორც ამბობენ, კლუბის ფინანსური მდგომარეობა ამის საშუალებას უნდა იძლეოდეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# მგლები ახალგაზრდავდებიან

ზუგდიდური კლუბის წევრები შვებულებიდან დღეს ბრუნდებიან. სამედიცინო შემოწმებისა და სხვადასხვა პროცედურების გავლას ორიოდე დღე დასჭირდება, 10 იანვრიდან კი "მგლები" სრული დატვირთვით შეუდგება ვარჯიშს.

ბუნებრივია, გარკვეული ცვლილებები ზუგდიდელთა შემადგენლობაშიც მოხდება. რამდენიმე სიახლე უკვე ცნობილია. გუნდი ძირითადი შემადგენლობის ოთხმა წევრმა დატოვა. **თეიმურაზ ფარულავამ, ვლადიმერ ჯოჯუამ** და **გელა ხუბუამ** კარიერა შესაძლოა, რუსთავის "ოლიმპში" გააგრძელონ, **გიორგი ჭედია** კი ლიტვურ "კაუნასში" დასამკვიდრებლად იბრძოლებს. "მგლებს" სავარაუდო ახალწვეულებიც ჰყავს, მაგრამ ისინი 17-18 წლის ადგილობრივი ჭაბუკები არიან და მათი გვარი გულშემატკივარს ჯერჯერობით, არაფერს ეუბნება. ეს ბიჭები ისინჯებიან და ალბათ, გუნდის მთავარი მწვრთნელი **ბესიკ შეროზია** რამდენიმე მათგანს დაიტოვებს.

ადვილი შესაძლებელია, გაახალგაზრდავების პროცესი ზუგდიდელთა შედეგებზე უარყოფითად აისახოს, მაგრამ ნაკლებად წარმოსადგენია, "მგლებს" პირველ ლიგაში დაბრუნების საფრთხე დაემუქროს. ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე მეგრულმა კლუბმა საკმაო მაღალ დონეზე ჩაატარა და სახიფათო ზონას არცთუ მცირე სხვაობით უსწრებს.

"მგლები" ზუგდიდში 27 იანვრამდე ივარჯიშებს, რის შემდეგაც ქობულეთში გადაინაცვლებს, სადაც 10 თებერვლამდე დარჩება. ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ ამ შუალედში შეროზიას გუნდი ამხანაგურად "ამერს" გაეჯიბრება, რომელიც შეკრებას გრიგოლეთში გაივლის. სულ კი "მგლები" 4-5 საკონტროლო მატჩს ჩაატარებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ბესიკ შეროზია

GEO FM 95.1

ავტორადიო თბილისი

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge



გიორგი ლომაია

# ლოკომოტივი თურქეთში მოემზადება

## ზამთარაძე გუნდში დაბრუნდა



გიორგი კიკნაძეს ისევ ზაზა ზამთარაძე დაეხმარება

სად ითამაშებს თბილისის „ამერის" ვიცე-კაპიტანი **ვახტანგ ხვადაგიანი**? გამოცდილი მცველი, რომლსაც საქართველოს ნაკრებშიც უთამაშია, პირველი წრის შემდეგ „ამერს" დაემშვიდობა. მან კლუბში სამი სეზონი ჩაატარა, მაგრამ ახლა ასეთი გადაწყვეტილება მიიღო. თუ რამ მიიყვანა ამ გადაწყვეტილებამდე, ამის შესახებ საუბარი არ ისურვა. ფაქტია, რომ ის თავისუფალი აგენტი გახდა და ახალ კლუბში გადასვლას ელოდება. თუ სად, ეს ჯერ არ გადაუწყვეტია. ჩვენი ინფორმაციით, მას თბილისის „ლოკომოტივი" ინვევდა, რაც თბილისის „ლოკომოტივშც" დაგვიდასტურეს, მაგრამ მხარეები პირობებზე ვერ შეთანხმდნენ და მოლაპარაკებაც შეწყდა.

როგორც ვიცით, „ლოკომოტივი" „ამერის" კიდევ ერთი მცველით, **გიორგი ნიკოლეიშვილითაც** დაინტერესდა, მაგრამ ჯერჯერობით შეთანხმება ვერც ამ საკითხზე მოხერხდა.

„ლოკომოტივის" ცვლილებებიდან დაზუსტებით მხოლოდ რამდენიმე შეგვიძლია დავასახელოთ: მეორე წრეში თბილისის „ლოკომოტივს" რუსთავის „ოლიმპიდან" წამოსული მეკარე, **მიხეილ ალავიძე** დაეხმარება. მართალია, მას ჯერ კონტრაქტი არ გაუფორმებია, მაგრამ საკითხი ფაქტობრივად გადაწყვეტილია. გუნდში მას გამოცდილი **დათო გვარამაძე** დახვდება და შეიძლება თავისუფლად ვთქვათ, რომ **გიორგი კიკნაძეს** ეს პოზიცია სადარდებელი არა აქვს.

ჯერ კიდევ დეკემბერში კლუბთან 2,5-წლიანი კონტრაქტები გააფორმეს „მესხეთის" თავდამსხმელმა **ალეკო კაიდარაშვილმა** და ბოლნისის „სიონში" ნათამაშებმა ნახევარმცველმა **გიორგი ქუცურუამ**. სხვა ახალწვეულები კი „ლოკომოტივის" სარეზერვო გუნდიდან მოიყვანეს.

ამას გარდა, საბოლოოდ გაირკვა, რომ გუნდში დარჩა მეორე მწვრთნელი **ზაზა ზამთარაძე**, რომელიც წასვლას აპირებდა. ასე რომ, გიორგი კიკნაძე - ზაზა ზამთარაძის დუეტი აღდგა.

მათი გადაწყვეტილებით, გუნდმა სეზონისთვის მომზადება თბილისში დაიწყო და არმიის სპორტული კლუბის (ასკ) დარბაზში 23 იანვრამდე ფიზიკური კონდინციების გაუმჯობესებაზე იმუშავებენ.

სავარაუდოდ, 24 იანვარს კი „ლოკომოტივი" თურქეთში გაემგზავრება.

მერაბ მამულაშვილი

# ლომაია ვიტ ჯორჯიაში ვარჯიშობს

## საქართველო ჩემთვის ბოლო ვარიანტია

**გიორგი ლომაია**, ვინც აქამდე საქართველოს ეროვნული ნაკრების მეკარე იყო, ისვ უგუნდოდაა.

ლომაია ახლა თავისი ძმის, დავითის გუნდში ვარჯიშობს, თუმც „ვიტ ჯორჯიაში" მის შესაძლო თამაშზე ლაპარაკიც არ არის - გიორგის უცხოეთში სურს წასვლა.

სატრანსფერო ფანჯარა ახალი გახსნილია და ლომაიაც შემოთავაზებებს ელის, თუმც ლოდინი უსასრულო ვერ იქნება, გიორგის ისედაც ბევრი გაუცდა - შარშანდელი ზაფხულიდან უგუნდოდაა.

თუ უცხოეთიდაბ ხელსაყრელი წინადადება არ გამოჩნდება, ითამაშებს გიორგი ლომაია რომელიმე ქართულ გუნდში?

*„ეს ბოლო ვარიანტი იქნება"*, - გვითხრა ლომაიამ.

დავით თავართქილაძე

ფუტზალი

# ეროვნული ნაკრები მსოფლიოს შესარჩევში



პეტრე თაბუკაშვილი

თებერვლის ბოლოს საქართველოს ფუტზალის ეროვნული ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩაებმევა. პირველ რაუნდში ჩვენი გუნდის მეტოქეები ესპანელები და ხორვატები იქნებიან, რომლებსაც შესაბამისად, 29 თებერვალს და 1 მარტს ვეთამაშებით. მომდევნო შესარჩევ ეტაპზე ქვეჯგუფის ორი საუკეთესო გუნდი გადის.

# გრძელდება ქართველ ფეხბურთელთა მომზადება არგენტინაში

## დიდი ტრამპლინი საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ევროპის კლუბებისკენ



ედუარდო დელგადო და მისი სამწვრთნელო შტაბი აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში. ედუარდო დელგადო იწვევს და მაღალ დონეზე მოამზადებს 17-18 წლის პერსპექტიულ 2 მეკარეს, 5 მცველს და 4 ნახევარმცველსა და 4 თავდამსხმელს არგენტინაში. მომზადების პროცესში ისინი ითამაშებენ ამხანაგურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში. ამას გარდა, არგენტინაში სტაჟირებაზე მყოფ ფეხბურთელთა ნაკრებს, კვირაში ერთხელ ექნებათ ამხანაგური შეხვედრები არგენტინის კლუბებიდან. სტაჟირების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. სტაჟირების სრული კურსის დაძლევის შემდეგ ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს. სტაჟირების პროცესი ფასიანია. ასევე, ავიაბილეთების, ადგილზე ცხოვრების, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა ან მათ სპონსორთა მიერ. დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში, შეეძლებათ ითამაშონ და გააფორმონ კონტრაქტი ევროპის კლუბებთანაც, მაღალი ფინანსური პირობებით.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მსურველები უნდა გამოცხადდნენ მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. 4 (თავისუფლების მოედანი, ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ). მსურველთა მიღებას აწარმოებს არგენტინის წარმომადგენელი საქართველოში, მიმდინარე წლის 8 იანვრიდან 25 იანვრამდე, ყოველდღე 13 საათიდან 15 საათამდე, კვირის გარდა.

ფეხბურთელები არგენტინის ვიზას მიიღებენ 28 იანვრიდან და მათ ვარჯიშები არგენტინაში დაეწყებათ 1თებერვლიდან.

საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20.

www.kazbegi.com

გახსენი...
# ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge



მარჯვნივ დავით ჭიჭვეიშვილი

ინტერვიუ ზურაბ ხიზანიშვილთან

## ბლექბერნი არას არ იტყვის

### დაზღვევის გარეშე არაფერი გამოვა

**ზურაბ ხიზანიშვილის „ბლექბერნ როვერსმა“ ასოციაციის თასზე ქვედალიგელ „ქოვენთრისთან“ 1:4 წააგო და ტურნირს გამოეთიშა. პრემიერლიგური გუნდის ასეთი ჩაფლავება მართლაც მოულოდნელი იყო. რამდენიმე ბრიტანულმა გამოცემამ ხიზანიშვილის თამაშს დაბალი შეფასება მისცა. ზურას გუშინ შევეხმიანეთ მანჩესტერში...**

- საშინელი თამაში იყო, მხოლოდ მე კი არა, მთელმა „ბლექბერნმა“ ცუდად ითამაშა. პენალტი ავიკიდე, მაგრამ ამის გამო მარცხის ჩემზე გადაბრალება ხომ არ შეიძლება?!

**- გასაგებია, მაგრამ „ბლექბერნის“ ასეთი მარცხი რისი ბრალია?**

- ჩვენზე დაბალი რანგის მეტოქეს ვეთამაშებოდით და მოწინაალმდეგე სათანადოდ ვერ შევაფასეთ - „ბლექბერნს“ თავისი თამაში არ უთამაშია.

**- პრემიერლიგის ერთ-ერთ ბოლო ტურში „მანჩესტერ სიტისთან“ თამაში არ წაგივიდა, რაც ალბათ იმის ბრალია, რომ მარკ ჰიუზმა მარჯვენა მცველად გათამაშა და ლამის რეაქტიული სისწრაფის მქონე მარტინ პეტროვთან გიწევდა ბრძოლა...**

- პეტროვი მართლაც ძალიან სწრაფია, მაგრამ როცა მეტოქე სისწრაფეში გჯობნის, მას ტაქტიკურად კარგად, ჭკვიანურად უნდა ეთამაშო, რისი საშუალებაც არ მქონდა.

**- რას გულისხმობ?**

- დაზღვევას არავინ მიკეთებდა. პეტროვზე არანაკლებ სწრაფია კრისტიანო რონალდო, მასთანაც მითამაშია, სწორი თამაშის და დაზღვევის ხარჯზე მოვახერხე მისი ამოკეტვა.

**- „ბლექბერნთან“ კონტაქტის გაფორმებაზე ახალი ხომ არაფერია?**

- 2 იანვარს აქ ჩემი აგენტი ივან ბენეში იყო ჩამოსული. მან საბოლოო პირობები უთხრა „ბლექბერნს“ და საკითხი ასე დაუსვა - ან კი, ან არა. ვფიქრობ, „ბლექბერნი“ არას არ იტყვის. სავარაუდოდ ათ დღეში უნდა გაფორმდეს კონტრაქტი.

**დავით თავართქილაძე**



ზურაბ ხიზანიშვილი (მარჯვნივ) ჩელსისთან მატჩში

ოლიმპი

## რუსთაველთა ნამატი: კვარაცხელია ლიტვიდან და უკრაინელები

### ჭიჭვეიშვილი ვერაფერს ამბობს: არ ვიცი, რა გუნდი ვართ

რუსთავის „ოლიმპი“ 6 იანვარს უკრაინაში გაემგზავრა. საქართველოს ჩემპიონი პეტერბურგში, „თანამეგობრობის თასზე“ გამოსვლამდე, ქალაქ ალჩევსკში მოემზადება. გუნდი იქ ხუთ საკონტროლო შეხვედრას გამართავს. „ოლიმპის“ მთავარი მწვრთნელი **ანატოლი პისკოვეცი** ტურნირამდე ახალ გუნდს აყალიბებს, ახალწვეულებით აპირებს გაძლიერებას - პირველი წრის შემადგენლობიდან თითქმის ყველა ნახევარმცველმა და თავდამსხმელმა დატოვა გუნდი.

სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ უკრაინის საკონსულომ გაბონის ნაკრების მცველ **ერნესტ აკუასაგას** ვიზა არ ჩაურტყა და „ოლიმპი“ წამყვანი ცენტრალური მცველის გარეშე გაემგზავრა. სავარაუდოდ, ის „თანამეგობრობის თასზეც“ ვერ ითამაშებს.

სამაგიეროდ, რუსთაველებმა გაგრიდან რამდენიმე ფეხბურთელი დაიმატეს - მცველ **ნიკა ჯელაძეს** თავდამსხმელი **ზვიად მეტრეველი** მიემატა, რომელიც „გაგრის“ ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ და სხვათაშორის, რუსთავის საფეხბურთო სკოლის გაზრდილია.

სამწუხაროდ, რუსთაველებთან ერთად, უკრაინაში საწყის ეტაპზე ვერ მოემზადება ნახევარმცველი **დავით დევდარიანი**, რომელიც ჯანმრთელობამ დაალალატა. მას ფილტვების ანთება აქვს და გუნდს მოგვიანებით შეუერთდება.

საჩხერის „ჩიხურიდან“ რუსთველებმა ნახევარმცველი **ნიკა სტეფნაშვილი** მიიწვიეს, რომელსაც საკმაოდ კარგად ახასიათებენ.

სიახლეების მიმოხილვას, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი სიახლით დავამთავრებთ: „ოლიმპში“ დაბრუნდა ტანმაღალი თავდამსხმელი **ვახტანგ კვარაცხელია**, რომელიც ერთი წლის წინათ ჯერ „ბათუმში“ გაანათხოვრეს, გასული წლის ზაფხულიდან კი ლიტვის ჩემპიონატში გამოდიოდა.

გუნდი უკრაინაში თქვსმეტი კაცის ამარა გაემგზავრა:

მეკარეები: **მირზა მერლანი, ბექა შეყილაძე.**

მცველები: **თემურ ფარულავა, დათო ჭიჭვეიშვილი, სერგო ორბელაძე, მიხეილ მახვილაძე, ნიკა ჯელაძე.**

ნახევარმცველები: **გელა ხუბუა, ლადო ჯოჯუა, ლევან სილაგაძე, რეზო გენაძე, ირაკლი სეფისკვერაძე, ნიკა სტეფნაშვილი.**

თავდამსხმელები: **გიორგი კახელიშვილი, ზვიად მეტრეველი, ვახტანგ კვარაცხელია.**

როგორც „ოლიმპში“ გვითხრეს, გუშინ საღამოს რუსთაველებს ის სამი უკრაინელი დაემატა, რომლებიც ანატოლი პისკოვეცმა წინასწარ შეარჩია.

პირველ საკონტროლო შეხვედრაში საქართველოს ჩემპიონს სიმფეროპოლის „ტავრია“ დაუპირისპირდება. თამაში 10 იანვრისთვის დაიგეგმა. სულ რუსთაველები ხუთ შეხვედრას გამართავენ, მაგრამ სხვა მეტოქეების ვინაობა მალე გაირკვევა.

უკრაინაში გამგზავრებამდე რუსთაველთა ცენტრალურ მცველ **დავით ჭიჭვეიშვილს** ვესაუბრეთ.

**- დათო, რას ფიქრობ „თანამეგობრობის თასზე“ „ოლიმპის“ შანსებზე?**

- წინასწარ ამის თქმა არავის შეუძლია, რადგან ჯერ ჩვენ თვითონაც არ ვიცით, წასულების ნაცვლად, ვინ და რა დონის ფეხბურთელები დაგვემატებიან. უკრაინაში ხუთი საკონტროლო მატჩი უნდა ჩავატაროთ და ამის შემდეგ გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნება.

**- წასულების რაოდენობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, შენი აზრით, მოკლე პერიოდში შესაძლებელია გუნდის შეთამაშება?**

- ამას დრო სჭირდება. ახალწვეულებიდან მხოლოდ გელა ხუბუას ვიცნობ, რომელიც ჩვენთან თამაშობდა. თუმცა მაინც იმედიანად ვარ. დასამალი კი ნამდვილად არ უნდა იყოს, რომ წასულების გამო გული ძალიან დამწყდა. ბევრ მათგანს ჩვენთვის სარგებლობის მოტანა კიდევ შეეძლო.

**- საქართველოში რა მიზნებისთვის იბრძოლებთ?**

- ჩემპიონობას რომ ველარ შევინარჩუნებთ, ეს ისედაც ცხადია. ასე რომ, მხოლოდ თასზე დაგვრჩა შანსები. ხომ გეუბნებით, ჯერ არც ვიცით, მეორე წრეს რა მდგომარეობაში შევხვდებით. ვინ იცის, იქნებ, გაცილებით ძლიერი გუნდიც ჩამოყალიბდეს. მე ამის იმედს არ ვკარგავ.

**მერაბ მამულაშვილი**

## ცხადაძეს მივესალმები

### ბაქის ყოფილი მწვრთნელის მონანიება თუ მორიგი სიმწარე?

ცოტა ხნის წინათ ქართველი მწვრთნელი **კახა ცხადაძე** აზერბაიჯანში გადაბარგდა სამუშაოდ. ბოლნისის "სიონის" ყოფილი მწვრთნელი ამიერიდან ბაქოს "სტანდარდს" გაწვრთნის. ამ ფაქტს აზერბაიჯანული პრესაც გამოეხმაურა. აღსანიშნავია. ერთი მომენტიც, „სიონმა“ კახა ცხადაძის მწვრთნელობისას ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე აზერბაიჯანული "ბაქის" ბარიერი გადალახა. თბილისური მატჩის შემდეგ "ბაქის" იმდროინდელი მწვრთნელმა **ბუიუქალა გაჯიევმა** ცხადაძე აუგად მოიხსენია. აზერბაიჯანელი ცხადაძესთან მიმართებაში მართალი არ იყო და მისი განცხადებები მხოლოდ პოსტის შენარჩუნების მიზნით იყო გაკეთებული. ამჯერად კი სწორედ გაჯიევი გახლდათ ის პიროვნება, რომელმაც ცხადაძის "სტანდარდის" მთავარ მწვრთნელად დანიშვნასთან დაკავშირებით აზერბაიჯანულ პრესაში კომენტარი გააკეთა:

*"მივესალმები "სტანდარდის" კლუბის ხელმძღვანელთა ამ გადაწყვეტილებას. თავის დროზე ევროტურნირებზე სწორედ ცხადაძის მიერ გაწრთნილ გუნდთან მომიწია დაპირისპირება. ახლა ის აზერბაიჯანშია და ვნახოთ რამდენად ნაყოფიერი იქნება მისი აქაური კარიერა".*

აზერბაიჯანული ვებგვერდი "დეი.აზ"-ი ამაყად აღნიშნავს, რომ კახა ცხადაძე უკვე მე-6 უცხოელი მწვრთნელია აზერბაიჯანულ ფეხბურთში. ვებ გვერდი იქვე აღნიშნავს, რომ 6 უცხოელი სპეციალისტი 2005-06 წლების სეზონშიც მუშაობდა აზერბაიჯანში, მაგრამ ის ჩემპიონატი უცხოელთათვისა ძალზე უიღბლო აღმოჩნდა, რადგან მათგან მხოლოდ ერთმა შეძლო პოსტის შენარჩუნება.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერი

# პარმა: ლუკარელი გადარჩენის შანსია

## კრისტიანომ დონბასის შახტას თავი დააღწია



კრისტიანო ლუკარელი სამშობლოში დაბრუნდა

რამდენი ხანია, **კრისტიანო ლუკარელის** იტალიაში დაბრუნებს უწინასწარმეტყველებენ. და აი, ეს უკვე რეალობაა. ლუკარელიმ, რომლის დონეცკში გადაბარგებამ ბევრი მითქმა-მოთქმა და გაკვირვება გამოიწვია, თავი დააღწია უსიამოვნო რეალობას და სამშობლოს მიაშურა. ფაქტია, ლუკარელი "შახტარს" ვერ შეეწყო. ეს ერთი მიზეზია იმისა, თუ რატომ მოხდა განშორება. მეორე და მთავარი კი ესაა: უკრაინული კლუბი ჩემპიონთა ლიგას გამოეთიშა, ადგილობრივ ჩემპიონატში კი ნოემბრიდან ზამთრის პაუზაა. შესაბამისად, იტალიელ ფორვარდს ხანგრძლივი უსაქმურობის პერსპექტივა ელოდა. ბუნებრივია, პროფესიონალისთვის ამგვარი პერსპექტივა დამღუპველია. ამიტომაც მიიღო ლუკარელიმ "პარმის" წინადადება.

"შახტარი" და "პარმა" უკვე შეთანხმდნენ, რომ ლუკარელი იტალიური სეზონის ბოლომდე "ენიო ტარდინიზე" ითამაშებს. "გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, ამ საარენდო ოპერაციაში "ჯალობლუ" 1.3 მილიონ გირვანქას გაიღებს. იტალიური კლუბი ასევე მზადაა, ლუკარელის სახელფასო მოთხოვნაც დააკმაყოფილოს.

შეგახსენებთ, რომ "ლივორნოს" ყოფილი ფორვარდისთვის "ჯენოა" და "ტორინოც" იბრძოდნენ. სხვათა შორის, "ტოროში" ის 2001-03 წლებში თამაშობდა. ამას გარდა, ლუკარელის დაბრუნება "ლივორნოსაც" სურდა, მაგრამ პრეზიდენტ **ალდო სპინელის**, რომელმაც გასულ ზაფხულს დიდი როლი ითამაშა ფორვარდის სკანდალურ აბარგებაში, ამჯერად კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. "ლივორნოს" მაისურით ჩატარებული 146 მატჩში კრისტიანომ 92 გოლი გაიტანა, "შახტართან" ერთად გამართულ 13 შეხვედრაში კი 6-ჯერ მოახერხა მეკარეთა დამწუხრება.

ტრანსფერს უკვე გამოეხმაურა "პარმის" პრეზიდენტი **ტომაზო გირარდი**, რომელმაც ლუკარელის გაპარმელება "გადარჩენის შანსი" უწოდა. მოგეხსენებათ, ემილიური კლუბი სერია A-ში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის. ლუკარელის თავდასხმაში **ბერნარდო კორადისთან** ტანდემში მოუწევს თამაში... და "პარმის" გადარჩენისთვის ბრძოლა.



ალესანდრო დელ პიერომ და ფილიპო ინძაგიმ შეიძლება ოლიმპიადაზე ითამაშონ

პეკინი 2008. იტალიის ნაკრები

# დელ პიერო, ინძაგი, ბუფონი და ტონი ოლიმპიურ ნაკრებში?

## კაზირაგიმ, დონადონიზე ვარ დამოკიდებულიო

...თუ ასე მოხდა, ზაფხულის ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირს უდავოდ ფასი მოემატება. დიახ, გუშინ იტალიის 23-წლამდელთა (ოლიმპიური) ნაკრების მწვრთნელმა **პიერლუიჯი კაზირაგიმ** განაცხადა, რომ დიდი სურვილი აქვს, პეკინში კალჩოს ვეტერანი ვარსკვლავები იახლოს. ბეიძინში საფეხბურთო ტურნირი 6-დან 24 აგვისტომდე ჩატარდება. წესითა და რიგით, თითოეულ გუნდს განაცხადში უნდა ჰყავდეს 18 ფეხბურთელი, რომელთაგან 15 დაბადებული იქნება 1985 წლის 1 იანვრამდე. ასე რომ, კაზირაგის შეუძლია, დარჩენილი სამი ადგილი გამოცდილი ფეხბურთელებით შეავსოს.

მაგრამ ყველაფერი მის სურვილზე არ არის დამოკიდებული. საქმე ისაა, რომ ზაფხულში ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპიცაა, რასთანაც, თავის მნიშვნელობით, ოლიმპიური საფეხბურთო ტურნირი ახლოსაც ვერ მივა. ამიტომ, კაზირაგის **რობერტო დონადონისთან** მოუწევს კონსულტაციების გავლა. ესეც არ იყოს, ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ბევრმა ფეხბურთელმა, შეიძლება, უარი თქვას ოლიმპიადაში მონაწილეობაზე, რაკი ზაფხულის თამაშების შემდეგ მალე სერია A-ც დაიწყება. აი, რას ამბობს კაზირაგი:

*"ყველაფერი დონადონიზეა დამოკიდებული, ანუ, დამოკიდებულია იმაზე, თუ ვის შეიყვანს ის ევროპის ჩემპიონატის განაცხადში. შეიძლება, იქ მოხვდნენ ახალგაზრდა ფეხბურთელებიც, მაგალითად, აკვილანი და კიელინი, რომლებიც ახალგაზრდულის წევრები იყვნენ. მათ უდიდესი გამოცდილება აქვთ. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ უარს ვიტყვი ისეთ ვარსკვლავებზე, როგორებიც არიან ალესანდრო დელ პიერო, ფილიპო ინძაგი... სხვათა შორის, ჯანლუიჯი ბუფონსა და ლუკა ტონიზეც ვფიქრობ".*

მოკლედ, კაზირაგი ცდილობს, ოლიმპიადაზე ერთგვარი "დრიმ თიმი" ჩაიყვანოს. აქვე შეგახსენებთ, რომ ბოლო თამაშებზე (ათენი 2004) იტალიის ნაკრებმა ბრინჯაოს მედალი მოიგო, დაამარცხა (1:0) რა ერაყის გუნდი III ადგილისთვის მატჩში.

მწვრთნელი

# ერიქსონი: რეაბილიტაციის ექვსი ფაქტორი

**ინგლისის ნაკრებში განცდილმა ფიასკომ სვენ გორან ერიქსონის რეპუტაცია გვარიანად შებლალა. მიუხედავად ამისა, ნისლიან ალბიონზე შვედი კვლავ პოპულარული პერსონაა. "მანჩესტერ სიტიში" მუშაობით, რომელიც უდავოდ წარმატებულია, ერიქსონმა საკუთარი სამწვრთნელო იმიჯის ერთგვარი რეაბილიტაცია მოახდინა. ინგლისურ გამოცემა "თაიმსს" მოჰყავს ექვსი ფაქტორი, რაც დაეხმარა სვენს, საზოგადოებრივი აზრის თავის სასარგებლოდ შემოეტრიალებინა...**

### ფოტო ტაილანდის ექსპრემიერთან ერთად

"მანჩესტერ სიტის" მეპატრონეს უამრავ ბრალდებას უყენებენ, როგორც თანამემამულეები, ისე საერთაშორისო საზოგადოება. ერთ-ერთმა ავტორიტეტულმა ორგანიზაციამ მას ადამიანის უფლებების უმოწყალოდ დარღვევაში დასდო ბრალი. ასეთი ადამიანის კომპანიაში გამოჩენამ **სვენ გორან ერიქსონის** წონა ერთი-ორად გაზარდა. ვიდრე პრემიერლიგის ხელმძღვანელობა და თავად **ტაქსინ შინავატრა** "მანჩესტერ სიტის" ფინანსირების კანონიერებას იკვლევენ, სვენი შესაშურ სიმშვიდეს ინარჩუნებს, როგორც ეს ბრძენ სახელმწიფო ლიდერებს სჩვევიათ.

### სატრანსფერო ინტუიცია

ალბათ, ძალიან ბევრს შეეძლო შინავატრას ფულები აქეთ-იქით ეხარჯა, ვარსკვლავები ეყიდა და ასე შემდეგ. მაგრამ ადგა ერიქსონი და ბევრისთვის მანამდე უცნობი **ელანო ბლუმერი** იყიდა. მაშინაც კი, როცა ინგლისის ნაკრებში მუშაობდა, ყველა აღიარებდა, რომ შვედი ზედმიწევნით კარგად იყო ჩახედული მსოფლიო სატრანსფერო ბაზრის კონიუნქტურასა და ნიუანსებში. ნაკლებადცნობილი ბრაზილიელის 8 მილიონ გირვანქად ყიდვა შეფასებულია, როგორც ზაფხულის ყველაზე წარმატებული სატრანსფერო ოპერაცია მთელი პრემიერლიგის მასშტაბით. "სიტის" აღორძინებაში ელანოს წვლილი უაღრესად დიდია.

### გამარჯვება მანჩესტერულ დერბიში

გულშემატკივრები, კერძოდ "სიტის" ფანები, ყველაფერს აპატიებდნენ მწვრთნელს, თუკი ის პირველივე მანჩესტერულ დერბიში დაამარცხებდა მოსისხლე "იუნაიტედს". და ისინი, კიდევ უფრო მადლიერნი იქნებოდნენ ერიქსონის, თუ "სიტი" ამას ბედის მცირეოდენი ჩარევის გარეშე მოახერხებდა. შეიძლება, დარწმუნებით ითქვას, რომ გარკვეულწილად შემთხვევითი გამარჯვება აგვისტოს დერბიში, ნიშნავს ერთ რამეს: ამიერიდან, სვენს შეუძლია უფასოდ მიირთვას სასმელი მანჩესტერის ბევრ რესტორანში, რომელშიც "სიტის" ქომაგები მსახურობენ. მეტიც, ის განსაკუთრებით დიდსულოვან ადამიანად გამოჩნდა მაშინ, როცა ხსენებული დერბის შემდეგ სერ **ალექს ფერგიუსონს** 400 გირვანქად შეფასებული ერთი ბოთლი ღვინო აჩუქა. "ცხვირწითელა" შოტლანდიელი ნამდვილად აღფრთოვანებული დარჩებოდა...

### ღიმილი მაკლარენის ფიასკოს ფონზე

შვედი ნამდვილად ღირსი იყო იმ კომპენსაციის, რაც ხელფასის სახით მიიღო საფეხბურთო ასოციაციისგან, ნაკრებიდან ვადაზე ადრე გათავისუფლების გამო. **სტივ მაკლარენის** პრობლემები და გადადგომა გახდა სწორედ ერიქსონის ტალანტის ნათელი დადასტურება. ადრე, ინგლისელები წარუმატებლობად თვლიდნენ ინგლისის ნაკრების დამარცხებებს დიდი ტურნირების მეოთხედფინალებში (სამივეჯერ პენალტების სერიაში). რა თქმა უნდა, სვენი არასოდეს ისურვებდა მსგავს სიტუაციებში ყოფნას. მაკლარენის ფიასკოს შემდეგ, მას შეუძლია მშვიდად გადაწვეს თავის სავარძელში, გაიღიმოს და იფიქროს **ნენსისთან** (ნენსი დელ'ოლიო, მისი მეუღლე სამოქალაქო ქორწინების შედეგად), **ულრიკასთან** (ულრიკა ჯონსონი, ტელეწამყვანი, რომელთანაც სვენს რომანი ჰქონდა), ან კიდევ **ფარიასთან** (ფარია ელემი, საფეხბურთო ასოციაციის ყოფილი მდივანი, რომელთან ურთიერთობითაც დაიწყო ინგლისში ერიქსონის სასიყვარულო ისტორიებით სპეკულირება) გატარებულ თუ გასატარებელ ღამეებზე იფიქროს.

### სამართლიანი აღიარება

...მაგრამ არც ერთ შემთხვევაში ნენსისთან ერთად. გასული წლის ოქტომბერში, თვით მჭერმეტყველმა ერიქსონმაც კი ვერ შეძლო, გაებათილებინა ვინმე **მარის კაუჩისთან** (35 წლის ქალბატონი, მანჩესტერში ნარჩენების გადამამუშავებელი ერთ-ერთი ქარხნის მფლობელი) ურთიერთობა. პირველად, პრესასთან ამაზე ისაუბრა ნენსის მეგობარმა, რომელიც სვენისა და მარისის ტკბილხმოვან დიალოგებს შეესწრო. იმის გათვალისწინებითაც კი, რომ ერიქსონი პირველად არ ეხვევა სკანდალურ ამბავში, შეიძლება 100 პროცენტით ვამტკიცოთ, რომ ინგლისური ტაბლოიდების რედაქტორები მის გადადგომას არ მოითხოვენ.


სვენ გორან ერიქსონს ინგლისში ისევ პატივს სცემენ

### ფორმისა და შინაგანი სიმშვიდის შენარჩუნება

"გაუწონასწორებელი" **სტიუარტ პირსის** პერიოდის შემდეგ, "მანჩესტერ სიტი" ჯერ კიდევ უნდა შეეჩვიოს "გაყინულ" შვედს. შეიძლება, მრავალჯერ დარწმუნდე, რომ ერიქსონი ჩინებულ ფორმაშია, მანდილოსნები კი უთუოდ დაადასტურებენ, რომ ის სულითაც ახალგაზრდაა. სვენს კარგ ტონად ეთვლება ის, რომ არ დაიზარა და ინგლისურ პრესაში **სემ ელერდაისის** დასაცავადაც გამოვიდა: *"ყველამ იცის, რომ ის დიდი მწვრთნელია. მან ხომ ფანტასტიკური სამუშაო ჩაატარა "ბოლტონში"* - თქვა ერიქსონმა მას შემდეგ, რაც მისმა "მანჩესტერ სიტიმ" ნიუკასლში ელერდაისის გუნდს 2:0 მოუგო...

ინტერვიუ ედგარ დავიდსთან

# ვამაყობ, რომ იუვენტუსში ვთამაშობდი

იტალიაში მან სამი გრანდის, "მილანის", "იუვენტუსისა" და "ინტერის" შემადგენლობაში ითამაშა, თუმცა წარმატებას მხოლოდ "ბებერ ქალბატონთან" ერთად მიაღწია. ამიტომაცაა, რომ სწორედ ტურინულ კლუბზე შემორჩა დავიდსს თბილი მოგონებები. "როსონერიში" მას კონფლიქტი მოუვიდა ერთ-ერთ იქაურ სიმბოლოსთან, ალესანდრო კოსტაკურტასთან, რაც ცხადია, მის სასარგებლოდ არ გადაწყდებოდა. "ინტერში" კი ჰოლანდიელი მთლად მთავარ მწვრთნელ რობერტო მანჩინის ნაეჩხუბა. სწორედ "იუვენტუსში" ყოფნისას შეარქვეს მას "პიტბული". მიუხედავად იმისა, რომ კლუბთან გამოთხოვება არცთუ ისე ჯენტლმენური იყო ("იუვეს" ხელმძღვანელობამ უარი თქვა მისი ფინანსური პირობების დაკმაყოფილებაზე), კარიერის ტურინული პერიოდი მისთვის მაინც ყველაზე ძვირფასია.

ამ რამდენიმე დღის წინ, ან უკვე "აიაქსში" მოთამაშე დავიდსი თავის ყოფილ კლუბ "ინტერს" დუბაის ტურნირზე გადაეყარა. "კორიერე დელო სპორტის" კორესპონდენტმა სწორედ ამ შემთხვევით ისარგებლა და დავიდსს ინტერვიუ სთხოვა...

**- როგორ ასოციაციებს იწვევს შენში "იუვენტუსის" ხსენება?**

- უდიდესი გუნდია და "იუვე" ყოველთვის დარჩება დიდ გუნდად. ეს გრძნობები სამუდამოდ გამყვება.

**- პირველი რა გახსენდებათ ტურინული კარიერიდან?**

- სკუდეტო 1997/98 წლების სეზონში მარჩელო ლიპისთან ერთად. "იუვენტუსში" სწორედ იმ სეზონში გადავედი "მილანიდან". რაღაც ზღაპრული წელი იყო...

**- რა როლი ჰქონდა ლიპის ამ ტრიუმფში?**

- რა თქმა უნდა, უდიდესი. ამას კითხვა უნდა? ლიპი უდიდესი მწვრთნელია. მან ზუსტად იცის, რა სჭირდება გუნდს დიდი გამარჯვებებისთვის. მარჩელომ ძალიან ბევრი რამ მასწავლა. მისი ზოგიერთი რჩევა დღემდე მახსოვს და თქვენ წარმოიდგინეთ, დიდ სამსახურსაც მიწევს.

**- სხვათა შორის, ბევრს მიაჩნია, რომ ლიპისთან ერთად, სკუდეტოს მოპოვებაში ყველაზე დიდი როლი დავიდსმა ითამაშა...**

- (ეღიმება). არა, რა თქმა უნდა, არა. ძალზე გადაჭარბებული შეფასებაა.

**- კარგით, მაშინ ასე ვთქვათ: "ფუნდამენტური როლი"...**

- არა, არა... მე ვეხმარებოდი ჩემს თანაგუნდელებს, ისინი მეხმარებოდნენ მე და ასეთ ერთად მოვიგეთ სკუდეტო. მერე კიდევ ორი ტიტული... ასე რომ, ჩემი როლი სრულიად ჩვეულებრივი იყო...

**- "იუვენტუსიდან" წასვლის შემდეგ ლიპის არ შეხვედრიხარ?**

- სამწუხაროდ, არა.

**- ...და არც ლუჩანო მოჯის?**

- არა.

**- ნუთუ ერთხელაც არ დაურეკავს?**

- თუ დამიჯერებთ, მასთან ურთიერთობა არასოდეს მქონია.

**- ისე, მოჯისთან ყოველთვის ცუდი ურთიერთობა გქონდათ. ამბობენ, მას შემდეგ, რაც კონტრაქტის გაგრძელებაზე მოლაპარაკებები წარუმატებლად დასრულდა, შენ თქვი, რომ "იუვენტუსის" ხელმძღვანელობას ყავის დასალევადაც არ შეხვდებოდით...**

- არა, მაშინ უბრალოდ ვიხუმრე. ისინი ხელმძღვანელები იყვნენ, მე ფეხბურთელი... იცით, ურთიერთპატივისცემისთვის, ყოველთვის საჭიროა რაღაც დისტანციის დაცვა. კიდევ ერთხელ ვამბობ, ისინი ჩემი მტრები არ ყოფილან.

**- ასე რომ, დღეს მზად ხარ მოჯისთან ერთად ყავა მიირთვა?**

- ახლა "იუვენტუსში" აღარ ვთამაშობ, შესაბამისად, ასეთი შეხვედრა და საუბარი სავსებით შესაძლებელია. რატომაც არა? მას და "იუვენტუსს" წარმატებებს ვუსურვებ.

**- რა იყო მაშინდელი "იუვეს" ძლევამოსილების საიდუმლო?**

- ჯოჯოხეთური შრომა და საერთო საქმისთვის საკუთარი თავის გაწირვა. და ეს ყველაფერი გუნდის ინტერესებისთვის. მაგრამ ყველაზე მთავარი, მაინც გამარჯვების წყურვილი იყო. ეს ნამდვილად არასოდეს გვაკლდა.

**- მაშინდელი პარტნიორებიდან ახლა ვისთან გაქვს კავშირი?**

- ყველაზე ხშირად მონტეროსა და ტურამთან. შემომჩა ლამაზი მოგონებები დიდ გუნდზე, დიდ გამარჯვებებზე...

**- "იუვენტუსიდან" წასვლის შემდეგ ტურინში აღარ ყოფილხარ?**

- მხოლოდ ერთხელ და ისიც სასიამოვნოდ მაგონდება.

**- რა კომენტარს გააკეთებდი 2006 წლის გაზაფხულის მოვლენებზე?**

- "კალჩოპოლის" გულისხმობთ?

**- რა თქმა უნდა...**

- ბუნებრივია, ეს ერთ-ერთი ყველაზე მწარე ეპიზოდია იტალიური ფეხბურთის ისტორიაში. მაგრამ თუ ვინმეს ჰგონია, რომ იმ მოვლენების გამო ახლა "იუვენტუსზე" რაიმე ცუდს ვიტყვი, ძალიან ცდება. ვაცხადებ: ვამაყობ, რომ "იუვენტუსში" ვთამაშობდი.

**- იმის მერე თუ აკვირდებოდი "იუვენტუსს"?**

- დიახ და უნდა გითხრათ, რომ მისი ბედი ჩემთვის ნამდვილად არ არის მეორეხარისხოვანი. ახლა, სერია A-ში დაბრუნების შემდეგ, გუნდი ერთობ დამაჯერებლად გამოიყურება და ძალიან მიხარია. არადა, მეშინოდა, რომ იმ ამბებს კლუბზე დამღუპველად არ ემოქმედა. მცირე პერიოდში კლაუდიო რანიერიმ ძალიან ბევრი შეძლო. ეს არ იყო ადვილი...


ეროვნული ბიბლიოთეკა

**- ურჩევდი "იუვენტუსს", შენი თანაგუნდელი ჰუნტელაარის ყიდვას?**

- რა გითხრათ... "იუვეს" დღეს ჰყავს ტრეზეგე, რომელიც ბრწყინვალე ფორმაშია.

**- და მაინც, როგორ დაახასიათებდი ჰუნტელაარს?**

- ეს არის ადამიანი-გოლი. ამაზე მარტივი სტატისტიკაც მეტყველებს. ჩემი აზრით, ჰუნტელაარი უკვე არის მზად იმისთვის, რომ იტალიაში ითამაშოს.

**- რას ეტყოდი "იუვენტუსის" ფანებს?**

- უდიდეს მადლობას იმისთვის, რომ მათგან ყოველთვის მხარდაჭერას ვგრძნობდი. ჩვენ სამაგალითო ურთიერთობა გვქონდა.

**- იტალიური ფეხბურთისადმი ნოსტალგია არ გაქვთ?**

- იცით, რაღაც დოზით მართლა ვგრძნობ ნოსტალგიას. სერია A-ში იმდენ ხანს ვითამაშე... გაცილებით მეტი, ვიდრე ჰოლანდიაში.

**- არ ნანობ, მერე "ინტერში" რომ გადახვედი?**

- ვიტყოდი, რომ ეს კარგად მოფიქრებული გადაწყვეტილება იყო.

**- თუმცა რობერტო მანჩინისთან საერთო ენა ვერ გამონახე...**

- "ინტერში" მხოლოდ ერთი სეზონი ვიყავი და ყველამ იცის, რომ ეს წარუმატებელი სეზონი იყო. ვწუხვარ, რომ ასე მოხდა, თუმც ნამდვილად არ დამიკლია მცდელობა, რომ "ინტერს" დავხმარებოდი. რაც შეეხება მანჩინის, მასზე საუბრისგან ახლა თავს შევიკავებ. უკეთესია, თუკი ძველ და დღევანდელ მეგობრებზე ვიფიქრებ, ისინი დუბაიში საკმაოდ ბევრნი იყვნენ...

**- როგორ მიდის შენი საქმეები "აიაქსში"?**

- ტრავმა მოვირჩინე და ახლა თავს კარგად ვგრძნობ. სურვილი მაქვს, ბევრი ვიმუშაო და ვიყო მაგალითი ჩვენი გუნდის ახალგაზრდა მოთამაშეებისთვის. მიუხედავად დეკემბრის რამდენიმე წარუმატებლობისა, ჰოლანდიის ჩემპიონობის პრეტენდენტებად ვრჩებით.

რეალი

# ჰაინცე ისევ დაშავდა

## მალიორკასთან კანავაროსა და მეტცელდერის თამაშიც საეჭვოა...

მადრიდის "რეალს" არგენტინელი მცველი **გაბრიელ ჰაინცე** დაუშავდა. ის დაახლოებით ხუთი კვირა ვერ ითამაშებს. ჰაინცემ მარცხენა ბარძაყის კუნთი გაიწყვიტა. ფეხბურთელს ეს უსიამოვნება გასულ უქმეებზე "სარაგოსასთან" კალენდარული მატჩისას (2:0) შეემთხვა. ის მე-16 წუთზე შეცვალეს. გაბრიელი "რეალში" გასულ ზაფხულს, "მანჩესტერ იუნაიტედიდან" გადავიდა. მის სანაცვლოდ 12 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. ჰაინცეს ესპანეთში ქრონიკული ტრავმები დასჩემდა. განვლილ ნახევარ წელიწადში მან სამეფო კლუბის ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ 6 მატჩი ჩაატარა.

ხვალ "რეალი" სამეფო თასის მერვედფინალურ მატჩს გამართავს. მისი მეტოქე "მალიორკა" იქნება. მადრიდელთა თავკაც **ბერნდ შუსტერს** საკადრო პრობლემები აქვს. ჰაინცეს გარდა, მას კიდევ ორი მცველი ჰყავს დაშავებული - **ფაბიო კანავარო** და **კრისტოფ მეტცელდერი**, თუმცა მწვრთნელი მათი გამოჯანმრთელების იმედს არ კარგავს.

აქვე გეტყვით, რომ "რეალის" ვეტერანმა მცველმა **მიჩელ სალგადომ** ორი სარფიანი შეთავაზება მიიღო. ინგლისური ტაბლოიდების ცნობით, მას "ჩელსი" და "ტოტენჰემი" შეეხმიანნენ. სპეკულაციებს პოპულარული ესპანური გამოცემა "ასიც" გამოეხმაურა. მისი ვარაუდით, სალგადო "ტოტენჰემში" ჩაირიცხება. "მამლებს" ესპანელი დამრიგებელი ჰყავთ, **ხუანდე რამოსი**. სენიორ რამოსი თავისი გუნდის გასაძლიერებლად გამოცდილ ფეხბურთელებს ეძებს. სალგადო "რეალის" ძირითადში ველარ ხვდება. ამიტომ მისთვის ინგლისელთა შეთავაზება საინტერესო უნდა იყოს.

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGA CARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

### ბენზემა 20 მილიონზე ძვირი ღირს

თუ "მანჩესტერ იუნაიტედს" **ქარიმ ბენზემას** შეძენა სურს, უფრო მეტი ფული უნდა გადაიხადოს. ინგლისური სააგენტოების ცნობით, "ეშმაკებმა" "ლიონს" 20 მილიონი გირვანქა შესთავაზეს. საფრანგეთის ჩემპიონებს კი ეს თანხა ეცოტავათ. ახალგაზრდა ვარსკვლავს სხვა ევროპული გრანდებიც აკვირდებიან. ბენზემას ტრანსფერზე არც "ინტერი" და "მილანი" იტყოდნენ უარს. რიგში დგას მადრიდის "რეალიც", თუმცა ჯერჯერობით ყველაზე დიდ თანხას "იუნაიტედი" ჩამოდის. "ლიონი" კი მასთან გარიგებას არ ჩქარობს. ლიონელთა კიდევ ერთ ვარსკვლავ **ჰატემ ბერ არფას** "არსენალმა" დაადგა თვალი. უცნობია, რა თანხის გადახდას აპირებენ "მეთოფეები", რათა კიდევ ერთი ამომავალი ვარსკვლავი გადაიბირონ.

### ბარსელონა მეორე მეკარეს ეძებს

"ბარსელონა" "ლივორნოს" გოლკიპერ **მარკო ამელიას** ეპატიჟება. ამ ინფორმაციას "გაძეტა დელო სპორტი" ავრცელებს. კატალონიელები დაშავებული **ალბერტ ხორკერას** შემცვლელს ეძებენ. ეს უკანასკნელი "ბარსელონის" სათადარიგო მეკარეა. "კამპ ნოუზე" გადასვლის შემთხვევაში, ამელიასაც სკამზე ჯდომა მოუწევს. ლივორნო მის სანაცვლოდ 6.5 მილიონ ევროს ითხოვს. მკითხველს შევახსენებთ, რომ შარშანდელ მუნდიალზე ამელია იტალიის ნაკრების მესამე მეკარე გახლდათ. ამგვარად, ისიც მსოფლიოს ჩემპიონია. ამელიას გარდა, ბარსელონელები "ბოლტონისა" და ფინეთის ნაკრების გოლკიპერ **იუსი იაასკელაინენსაც** აკვირდებიან. 32 წლის მეკარეს ბოლტონური კონტრაქტი ივნისში უმთავრდება. სეზონის ბოლოს ის თავისუფალი აგენტი გახდება, თუმცა გამორიცხული არაა, კატალონიას სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე მიაშუროს.

### მარსელის სატრანსფერო ამბიციები

ლიეჟის "სტანდარდისა" და სერბეთის ნაკრების თავდამსხმელმა **მილან იოვანივოჩმა** ერთბაშად ცხრა კლუბის ყურადღება მიიპყრო. მას "იუვენტუსი", "ნაპოლი", "პორტუ", "ბენფიკა", "მარსელი", "ოსასუნა", "ბეტისი", "ანდერლეხტი" და "ტრაბზონსპორი" აკვირდებიან. იოვანოვიჩი 26 წლისაა. ფრანგულ სააგენტოებს თუ ვერწმუნებით, ყველაზე მეტი შანსი "მარსელს" აქვს. "ოლიმპიკის" პრეზიდენტი რობერ ლუი-დრეიფუსი "სტანდარდის" ერთ-ერთი აქციონერია. ამ კლუბებს ჩინებული ურთიერთობა აქვთ. თავის დროზე ლიეჟიდან მარსელში გადავიდნენ მეკარე **ვედრან რუნიე** და მცველი **დანიელ ვან ბუიტენი**. "მარსელის" სატრანსფერო ამბიციები ამით არ ამოიწურება. მას ძლიერი თავდამსხმელის შეძენაც სურს. კლუბი სამი კანდიდატიდან ერთს აარჩევს: **ხავიერ სავიოლას** (რეალი), **ნიკოლა ჟიგიჩს** (ვალენსია) ან **იონ დალ ტომასონს** (ვილიარეალი).

### ბელუში ოლიმპიაკოსს დარჩა

საბერძნეთის ჩემპიონმა "ოლიმპიაკოსმა" არგენტინელი ნახევარმცველი **ფერნანდო ბელუში** შეიძინა. 24 წლის ფეხბურთელმა ათენელებთან ოთხნლინახევრიან კონტრაქტზე მოაწერა ხელი. ფერნანდოს ყოფილი კლუბი "რივერ პლეიტი" სეზონის ბოლომდე 400 ათას ევროს მიიღებს. მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში "მილიონარიოსს" ყოველწლიურად 1.2 მილიონს მიუთვლიან. ბელუში "რივერში" 2006 წელს "ნიუელს ოლდ ბოისიდან" მივიდა. "ნიუელსთან" კი პირველი პროფესიული კონტრაქტი 2002 წელს, 19 წლის ასაკში გააფორმა.

ინტერვიუ მარიო ბასლერთან

# ჰიტცფელდის შემცვლელი? მე აუგენტალერის მომხრე ვარ!

## სუპერმარიოს აზრით ბაიერნის ახალმა მწვრთნელმა გერმანული აუცილებლად უნდა იცოდეს

მარიო ბასლერი, რომელიც 1996-დან 1999 წლის ზაფხულამდე „ბაიერნში" თამაშობდა, დღეს საფეხბურთო ექსპერტია. „სუპერმარიო" „ბილდის" კოლუმნისტია და მისი სტატიები ჩვენც არაერთხელ შემოგვითავაზებია. ამჯერად გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც ბასლერს „შპორტ აინსმა" ჩამოართვა, სადაც მარიო მიუნხენის „ბაიერნში" შექმნილ მდგომარეობაზე საუბრობს.

**- ჰერ ბასლერ, ოტმარ ჰიტცფელდმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ „ბაიერნს" დატოვებს. საფეხბურთო გერმანია ახლა იმაზე ბჭობს, თუ ვინ უნდა გახდეს რეკორდმაისტერის დამრიგებელი. თქვენ რა აზრის ხართ, რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს ჰიტცფელდის შემცვლელი?**

- პირველ რიგში ის უნდა გავითვალისწინოთ, რომ „ბაიერნი" ყოველთვის უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვის. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჰიტცფელდის შემცვლელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს საზღვარგარეთ მუშაობის გამოცდილება. პირადად ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, ვფიქრობ, რომ ჰიტცფელდს ძალიან კარგად შეცვლიდა იგივე კლაუს აუგენტალერი. „ბაიერნის" შეფები სულაც არ არიან ვალდებულები, რომ უცხოელი მწვრთნელი დანიშნონ.

**- პირადად თქვენ გამორიცხავთ, რომ „ბაიერნში" უცხოელმა სპეციალისტმა გაამართლოს?**

- ეს ისეთი გუნდია, სადაც არასდროს არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. მე კარგად ვიცნობ რეკორდმაისტერის შეფებს და ვიცი, რომ მათთვის დიდი მნიშვნელობა ექნება იმასაც, თუ რამდენად დიდ ხელფასს მოითხოვს ახალი მწვრთნელი. მაგალითად, ჟოზე მოურინიო მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია, მაგრამ არა მგონია, რომ „ბაიერნის" ხელმძღვანელებმა მასთან მოლაპარაკებების დაწყება მოისურვონ, რადგან წინასწარ ცნობილი ფაქტია, რომ მოურინიო ძალიან დიდ ჯამაგირს მოითხოვს.

**- ფაქტია, რომ ბავარიელებმა ფეხბურთელებში დიდი ფულის გადახდა დაიწყეს და ამ პროცესის შეწყვეტას არც აპირებენ. როგორ გგონიათ, მარჩელო ლიპის ან რაფა ბენიტესის დანიშვნა არარეალურია?**

- ბენიტესი „ლივერპულის" სახით ძალიან ძლიერ კლუბში თამაშობს - მე ვიტყოდი, რომ საუკეთესოში. შესაბამისად, არა მგონია, რომ „ბაიერნმა" რომელიმე მწვრთნელის კონტრაქტის გამოსყიდვა მოინდომოს. ამასთან, არც ის მეჩვენება რეალურად, რომ „ბაიერნმა" მომავალ მწვრთნელს წელიწადში 10 მილიონი ევრო მისცეს.

**- თქვენ „ბაიერნში" ჯოვანი ტრაპატონის ხელმძღვანელობის დროს გითამაშიათ...**

- ტრაპატონი უცხოელი იყო, მაგრამ მას ჰქონდა ის უპირატესობა, რომ ადრეც მუშაობდა „ბაიერნში" და ეს მისი მეორე პერიოდი გახლდათ. თუმცა უნდა ვალიარო, რომ ენის მხრივ მაინც გვქონდა პრობლემები – ხშირად არ გვესმოდა, რისი თქმა სურდა ტრაპს. შესაბამისად, ჩემთვის წარმოუდგენელია ის, რომ „ბაიერნში" დაინიშნოს მწვრთნელი, რომელსაც გერმანული არ ეცოდინება.

**- ჰიტცფელდმა გადაწყვეტილება ვადამდე ადრე გაახმაურა. იმოქმედებს თუ არა ეს მის ავტორიტეტზე?**

- არანაირად. ოტმარ ჰიტცფელდი შესანიშნავი მწვრთნელია და მას უდიდესი ავტორიტეტი აქვს. არც იმ მოსაზრებას ვეთანხმები, რომ თითქოს ჰიტცფელდს სადავეები ხელიდან გაექცევა და ამის გამო მიმდინარე სეზონში წარმატების მიღწევის ნაკლები შანსი ექნება. დარწმუნებული ვარ, რომ ოტმარი ამ კრიზისს აუცილებლად გადალახავს. მას რეკორდმაისტერში მუშაობის უდიდესი გამოცდილება აქვს და ზედმიწევნით ზუსტად იცის, თუ რა დროს რა სჭირდება ამ გუნდს. ჰიტცფელდი საკმარისად ძლიერია იმისათვის, რომ ამ პერიოდს გაუძლოს. გამოვრიცხავ იმას, რომ ის პოსტს კონტრაქტის ვადის ამოწურვამდე დატოვებს.

**- როგორ გგონიათ, რატომ არ ისურვა ჰიტცფელდმა „ბაიერნში" დარჩენა. ამბობენ, შვეიცარიის ნაკრების გაწვრთნის პერსპექტივამ უფრო მოხიბლა, ვიდრე „ბაიერნში" მუშაობის გაგრძელებამო...**

- თუკი ოტმარი შვეიცარიის ნაკრებში იმუშავებს, ეს მისთვის უდიდესი გამოწვევა იქნება. თანაც, „გენერალი" გაცილებით ნაკლებად იქნება წნეხის ქვეშ, ვიდრე „ბაიერნში". შესაძლოა ის დაიღალა მუდმივი წნეხით და უფრო თავისუაფლად სურს მუშაობა.

**- ან იქნებ ის არის მიზეზი, რომ კარლ-ჰაინც რუმენიგემ გააკრიტიკა?**

- იცით, მე არ ვფიქრობ, რომ რუმენიგემ ჰიტცფელდი მაგრად გააკრიტიკა. ეს არ იყო ისეთი სიტყვები, რომელზეც გერმანულმა საფეხბურთო საზოგადოებამ თვეების მანძილზე უნდა ილაპარაკოს. ჩემი აზრით რუმენიგემ თქვა ის, რასაც ფანების დიდი ნაწილიც ფიქრობდა. ყველამ ვიცით, რომ „ბაიერნში" ზეწოლა ყოველთვის უმძიმესია და როცა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და გუნდის ვიცე-პრეზიდენტი აცხადებს, რომ გულშემატკივრებმა საუკეთესო გუნდის ხილვა დაიმსახურეს, ეს აბსოლუტურად ლეგიტიმურია.

**- ფაქტია, რომ მას მერე „ბაიერნმა" კრიტიკას თავი ველარ დააღწია...**

- ვფიქრომ, რომ ეს უფრო მედიის პრობლემაა. მიმომხილველები რეკორდმაისტერს უდიდეს მარშს უწინასწარმეტყველებდნენ და როგორც კი გუნდს მცირე კრიზისი დაეწყო, კრიტიკაც უკიდურესობისკენ წავიდა. ხოლო როცა „ბაიერნმა" „შტუტგარტთან" წააგო, ამით თითქოს მთელი მსოფლიო დაინგრა. კარგით რა, ეს ხომ „ბაიერნის" პირველი მარცხი იყო მიმდინარე სეზონში!

**- როგორ გგონიათ, როდისთვის უნდა ველოდოთ „ბაიერნის" ახალი მწვრთნელის წარდგენას?**

- გუნდის ხელმძღვანელებს წინ კიდევ ნახევარი წელი აქვთ. ული ჰიონესი არ არის ის მენეჯერი, რომელიც ხვალვე წარადგენს ახალ მწვრთნელს. ეს კიდევ ორი-სამი თვის მანძილზე არ მოხდება.

გოტფრიდ **ლენცი**



მარიო ბასლერი ერთ დროს ოტმარ ჰიტცფელდის შეგირდი იყო



ნიკოლა ანელკა

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ბოლტონმა ჩელსი უარით გაისტუმრა

## ანელკა 12 მილიონად დააფასეს...

"ბოლტონმა" "ჩელსის" **ნიკოლა ანელკას** დათმობაზე უარი განუცხადა. "არისტოკრატებმა" დაადასტურეს, რომ მოლაპარაკებების პირველი რაუნდი უშედეგოდ დასრულდა, მაგრამ გარიგება ჯერ არ ჩაშლილა. ლონდონელებს იმედი აქვთ, რომ შეთანხმებას აუცილებლად მიაღწევენ. 28 წლის თავდამხსმელმა "ბოლტონთან" ახალი კონტრაქტი გასული სეზონის მიწურულს გააფორმა. ის კლუბს 2011 წლამდე ეკუთვნის. უცნობია, რა თანხის გადახდას აპირებს "ჩელსი". მისი შეთავაზება არ გახმაურებულა. სამაგიეროდ, ვიცით, რომ "ბოლტონი" 12 მილიონ გირვანქას ითხოვს და თანხის შემცირებას არ აპირებს.

"არისტოკრატებს" უმაღლესი კლასის თავდამსხმელი სჭირდებათ. **დიდიე დროგბა** აფრიკის ერთა თასზე მიემგზავრება. **ანდრეი შევჩენკო** დაშავებულია, თუმცა ჯანმრთელიც რომ იყოს, უკრაინელი საკუთარი შესაძლებლობების ნახევარსაც კი ვერ ავლენს. ანელკა საუკეთესო ვარიანტია. მან მიმდინარე სეზონში უკვე 11-ჯერ გამოიჩინა თავი. ნიკოლა "ბოლტონში" 2006 წლის ზაფხულში გადავიდა. ფეხბურთელსა და კლუბს შორის არსებობს ჯენტლმენური შეთანხმება: თუ ანელკას რომელიმე გრანდში მიიწვევენ, ტრანსფერი დაუბრკოლებლად უნდა განხორციელდეს.

ნიკოლას სხვადასხვა დროს "მანჩესტერ სიტიში", "ლივერპულში", "რეალში", "არსენალში", "პარი სენ ჟერმენსა" და "ფენერბაჰჩეში" უთამაშია. ის კლუბების ერთგულებით არ გამოირჩევა. "დეილი მეილის" ცნობით, "ჩელსისა" და ბოლტონის მოლაპარაკებებს თვალს ადევნებენ "მანჩესტერ იუნაიტედი", "არსენალი" და "მანჩესტერ სიტი". სპეკულაციების თანახმად, ფეხბურთელის შეძენა ამ კლუბებსაც სურთ.

ვალენსია

# ბანეგა: პირველი სკანდალი

## არგენტინელმა ესპანეთში ჩასვლა ვერ მოასწრო და უმალ უსიამოვნება შეემთხვა...



ევერ ბანეგა

"ვალენსია" მორიგ სკანდალში გაეხვა. საქმე ეხება "ღამურების" ახალბედა ვარსკვლავ **ევერ ბანეგას**. ფეხბურთელს გასულ უქმეებზე გაუფორმეს კონტრაქტი. ხმაურიან ტრანსფერს მის მშობლიურ არგენტინაში ორიგინალური გამოხმაურება მოჰყვა. ინტერნეტში გავრცელდა ექვსწუთიანი ვიდეორგოლი, რომელზეც ევერია გამოსახული. ვიდეო ვებკამერითაა გადაღებული. ბანეგა კომპიუტერთან უცნობ ქალბატონს ესაუბრება, შემდეგ ტანზე იხდის და მასთან სქესობრივ კავშირს ამყარებს. ინტერნეტში ამ ვიდეოზე დიდი მოთხოვნაა. მისი ნახვა უკლებლივ ყველას სურს. ვნებათაღელვამ ესპანეთამდეც ჩააღწია. გაზეთი "მარკა" ვალენსიელ ნახევარმცველ **ხოაკინ სანჩესს** დაუკავშირდა და კომენტარის გაკეთებ სთხოვა. ხოაკინმა მიუგო: *"იმდენი პრობლემა გვაქვს, რომ ასეთ საკითხებზე ყურადღების გამახვილება ზედმეტად მიმაჩნია, მაგრამ რაკი მეკითხებით, გიპასუხებთ: იმედია, ამაზე ცუდი ალარაფერი მოხდება. ყველა უბედურება ერთად დაგვატყდა თავს. მსგავსი ამბები ფეხბურთელებზე უარყოფით გავლენას ახდენს."*

სპეკულაციების თანახმად, "ბოკა ხუნიორსმა" ბანეგას სანაცვლოდ 17.6 მილიონი ევრო მიიღო. ფეხბურთელმა "ღამურებთან" ხუთწლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა. ბანეგა არგენტინის 20-წლამდე ნაკრების წევრია. ორშაბათს მან ახალი კლუბის შემადგენლობაში პირველად ივარჯიშა. ევერის ტრანსფერი "ვალენსიისათვის" უმძიმეს პერიოდს ემთხვევა: გუნდი ჩემპიონთა ლიგას გამოეთიშა და პრიმერა დივიზიონში მოკრძალებული მეშვიდე ადგილი უკავია. გასულ უქმეებზე ვალენსიელი ნახევარმცველი **მანუელ ფერნანდესი** პოლიციაში მიაბრძანეს. მან ღამის კლუბში იჩხუბა და 12 საათი საპატიმროში გაატარა. ახლა კი ბანეგას ონავრობის ამბავი გახმაურდა. მკტთხველს

შეგახსენებთ, "მესტალიაზე" კრიზისი მას შემდეგ გამწვავდა, რაც ჰოლანდიელმა მწვრთნელმა, **რონალდ კუმანმა** სამი გამოცდილი ფეხბურთელის გაყიდვა ბრძანა. მან თქვა, რომ **დავიდ ალბელდა, მიგელ ანხელ ანგულო** და **სანტიაგო კანისარესი** არ სჭირდება. კუმანის საქციელმა უკიდურესად ალაშფოთა ფეხბურთელები და მაყურებელი. კლუბის პრეზიდენტ **ხუან სოლერს** საგანგებო განცხადების გაკეთებაც კი მოუხდა. მან თქვა, რომ ჩამოთვლილი ვარსკვლავები მინიმუმ სეზონის ბოლომდე "ვალენსიაში" დარჩებიან.

დერბი

# კიდევ ორი ტრანსფერი

## მენოტი საუკეთესო ბომბარდირის აბარგებამ ალაშფოთა...

"დერბი ქაუნთი" შემადგენლობას აძლიერებს. პრემიერლიგის მაჩანჩალა კლუბი ყველაზე აქტიურ სატრანსფერო კამპანიას ეწევა. არგენტინელი თავდამსხმელის, **ემანუელ ვილიასა** და ინგლისელი მცველის, **დენი მილსის** შემდეგ, გუნდმა კიდევ ორი ფეხბურთელი დაიმატა. მკითხველი ორივე ახალწვეულს კარგად იცნობს: ერთი ფრანგი გარემარბი **ლორან რობერია**, მეორე კი უელსელი ნახევარმცველი **რობი სევიჯი**. 32 წლის რობერი "ნიუკასლის" ყოფილი ფეხბურთელია. მას ექვსთვიანი იჯარით "პორტსმუთშიც" უთამაშია. რობერის კარიერა "მონპელიეში", "პარი სენ ჟერმენსა" და "ბენფიკაში" გატარებულ წლებსაც მოიცავს. შარშან ის "ლევანტეს" ღირსებას იცავდა. ლორანს ესპანური კონტრაქტი ივნისში ამოეწურა. მას შემდეგ ის უმუშევარი იყო. რობერი "დერბის" სეზონის ბოლომდე დაეხმარება. მხარეები უფრო ხანგრძლივ კონტრაქტზე ამის შემდეგ შეთანხმდებიან.

რაც შეეხება სევიჯს, 32 წლის ფეხბურთელი "ბლექბერნის" საკუთრება იყო. ლიგის აუტსაიდერმა მას გაცილებით უკეთესი პირობები შესთავაზა. რობის ბევრი არ უფიქრია. ის "ბლექბერნში" 2005 წლის ზაფხულში, "ბირმინგემ სიტიდან" გადავიდა. "ვარდებმა" მის სანაცვლოდ 3.1 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. სევიჯს უელსის ნაკრებში 39 მატჩი აქვს ჩატარებული.

აქვე კიდევ ერთი ინფორმაცია, რომელიც "დერბის" ტრანსფერებს ეხება. ზემოთ ემანუელ ვილია ვახსენეთ. "ცხვრებმა" ის მექსიკური "ტეკოსიდან" 2 მილიონ გირვანქად შეიძინეს. მისმა ტრანსფერმა "ტეკოსის" თავკაცი **სესარ ლუის მენოტი** უკიდურესად ალაშფოთა. სახელგანთქმულმა არგენტინელმა მწვრთნელმა გუნდის დატოვება გადაწყვიტა. ვილიას მიმდინარე სეზონში 25 მატჩში 10 გოლი ჰქონდა გატანილი.





რობი სევიჯი დერბის გადარჩენას შეეცდება

ინტერვიუ ზე რობერტო II-სთან

# თამაშამდე ლოცვა, თამაშის შემდეგ ცოლი!

## მეორე ზე, რა თქმა უნდა, ღარიბი ოჯახიდანაა...



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟოზე რობერტო დე ოლივეირა, ანუ, ზე რობერტო II

**ბუნდესლიგაში ახალი ზე რობერტო გამოჩნდა, ზე რობერტო II, რომელიც „შალკეში" ითამაშებს. მისი სრული სახელია ჟოზე რობერტო დე ოლივეირა და ის 27 წლის გახლავთ. ლევან კობიაშვილის გუნდმა ბრაზილიურ „ბოტაფოგოს" 3 მილიონი ევრო გადაუხადა. გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც „შალკეს" ოფიციალურმა ვებ-გვერდმა გამოაქვეყნა.**

**- ზე რობერტო, რამდენიმე დღეა, რაც გელზენკირხენში ჩამოხვედით. „შალკე" დღეში ოთხჯერ ვარჯიშობს, ბრაზილიელისთვის ეს ალბათ მეტისმეტია...**

- სიმართლე გითხრათ, პირველმა ვარჯიშებმა ძალიან დამღალა, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ. ახლა ყველაზე მეტად სწორედ ვარჯიში მჭირდება, რადგან მძიმე ტრავმის გამო ისედაც ძალიან დიდხანს დავისვენე და მინდა, რომ ძალები რაც შეიძლება მალე აღვიდგინო. თუ თქვენ ფიქრობთ, რომ ბრაზილიაში უფრო იოლი ვარჯიშებია, ცდებით – იქ დღეში სამჯერ ვვარჯიშობდი.

**- როგორ გგონიათ, როდისთვის იქნებით ისეთ ფორმაში, რომ გუნდისთვის დახმარება შეძლოთ?**

- ალბათ 20 დღე დამჭირდება და რამდენიმე ტესტ-მატჩი. თუმცა არსად მეჩქარება. იმედი მაქვს, რომ ბუნდესლიგის მეორე წრის სტარტისთვის სრულ მზადყოფნაში ვიქნები.

**- რომელ პოზიციაზე გრძნობთ თავს იდეალურად – ნახევარდაცვაში თუ მეორე თავდამსხმელად?**

- დღემდე უმეტესად ნახევარდაცვაში მათამაშებდნენ. თუმცა „ბოტაფოგოს" მწვრთნელი ხშირად თავდასხმაშიც მაყენებდა, მეორე ფორვარდად. მაგრამ მე შემიძლია ვთქვა, რომ ყველაზე უკეთ თავს ნახევარდაცვაში ვგრძნობ. შემიძლია როგორც გამთამაშებლისა და საყრდენის პოზიციებზე, ასევე ფლანგზე თამაშიც. პირადად მე ფლანგზე მირჩევნია.

**- პირველი შთაბეჭდილებები უკვე შეგექმნათ. რა განსხვავებას ხედავთ გერმანულსა და ბრაზილიურ ფეხბურთს შორის?**

- აშკარად ჩანს, რომ გერმანიაში ფეხბურთელს ბურთის დასამუშავებლად ძალიან ცოტა დრო აქვს, რაც ბრაზილიაში ჯერ კიდევ სხვანაირადაა. გერმანიაში, ისევე, როგორც მთელს ევროპაში, პრესინგს აქტიურად თამაშობენ და მეტოქეს გასაქანს არ აძლევენ. ბრაზილიაში კი, ყველაფერი ფეხბურთელის ინდივიდუალურ ოსტატობაზეა დამოკიდებული. იქ ფეხბურთელს ბურთის მიღებისა და დამუშავებისთვის გაცილებით მეტი დრო აქვს.

**- რა არის თქვენი უმთავრესი პლუსი მოედანზე?**

- მე ისეთი ტიპის ფეხბურთელი ვარ, რომელსაც ძალიან უყვარს დრიბლინგები და პასები, ჩემი მიზანია, თავდამსხმელები კარგი პასებით მოვამარაგო. თუ ჩემს პირად სტატისტიკას გადახედავთ, კარიერაში ბევრი გოლი ნამდვილად არ მაქვს გატანილი, მაგრამ საგოლე პასები კი ძალიან ბევრი მაქვს.

**- რა როლი გექნებათ „შალკეში"? ხელმძღვანელებს ამ საკითხზე თუ ესაუბრეთ?**

- მითხრეს, რომ ისინი ეძებდნენ ფეხბურთელს, რომელიც გუნდის შემტევ პოტენციალს გააძლიერებს. ამიტომაც გადამიბირა „შალკემ" და მეც მზად ვარ, რომ ამ გუნდს დავეხმარო.

**- თქვენი კარიერის განმავლობაში არაერთი კლუბი გამოიცვალეთ – ერთ ადგილზე დიდხანს ვერ ჩერდებით?**

- ბრაზილიაში ყველაფერი სულ სხვანაირადაა. როცა ბრაზილიის პირველობაზე მოთამაშე ფეხბურთელს იმის საშუალება ეძლევა, რომ ევროპაში წავიდეს, წინადადებას დაუფიქრებლად თანხმდება, რადგან ევროპაში გაცილებით მაღალი ხელფასებია. ჰკითხეთ ნებისმიერ მოთამაშეს, რომელიც ბრაზილიაში ასპარეზობს და ასეთივე პასუხს მიიღებთ. ასე განსაჯეთ, ერთი წელი იაპონიაშიც კი გავატარე. იაპონიაში ძალიან კარგი კონტრაქტი მქონდა და სხვათა შორის, იქაური დონე არც ისე დაბალია, როგორც ეს ევროპაში ჰგონიათ. მაგრამ უნდა ითქვას, რომ საბოლოო ჯამში იაპონიას მაინც ვერ შევეგუე. ამიტომაც წამოვედი. 20 წლის ასაკში ლისაბონის „ბენფიკაში" ნახევარი სეზონი დავყავი, მაგრამ პორტუგალიურ კლუბში ძალიან იშვიათად მათამაშებდნენ და დღემდე ვერ გავიგე, რატომ ხდებოდა ასე. ჩემი უმთავრესი მიზანი ყოველთვის მოედანზე ყოფნაა.

**- ბრაზილიიდან ხმები ვრცელდება, რომ წესრიგი მაინცა და მაინც არ გიყვართ და რომ საკმაოდ რთული პიროვნება ხართ...**

- ეს არ არის მართალი. „ბოტაფოგოში" ერთხელ იმის გამო შემექმნა პრობლემა, რომ ვარჯიშზე ნახევარი საათი დავაგვიანე. ეს იყო ერთადერთი შემთხვევა ორი წლის განმავლობაში, როცა ვარჯიშზე დავაგვიანე. სხვათა შორის, იმ დროს ჩემპიონატში ლიდერები ვიყავით. ამ ამბის შემდეგ აღარ მათამაშებდნენ, მაგრამ გუნდმა რამდენიმე თამაში წააგო, ლიდერობა დაკარგა და მერე ისევ ძირითადი შემადგენლობის წევრი გავხდი. მთელი ეს თეატრალური წარმოდგენა იმის ბრალი იყო, რომ ჩემს კონტრაქტს ვადა ეწურებოდა, მე კი ახალი ხელშეკრულების გაფორმება არ მსურდა. თუმცა ამ ყველაფერმა ჩემს კარიერას ხელი მაინც ვერ შეუშალა. ჰკითხეთ ნებისმიერ მწვრთნელს ან ჩემს ნებისმიერ ყოფილ თანაგუნდელს – ყველა გეტყვით, რომ ცუდი ადამიანი ნამდვილად არ ვარ. ასე რომ იყოს, ამდენი შემოთავაზება არ მექნებოდა.

**- მარსელო ბორდონმა თქვა, როცა 16-17 წლის იყო, დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენო, მაგრამ ამ მხრივ დღემდე არაფერი გამოგივიდათ...**

- ამის მიზეზი არ ვიცი. ფაქტი ის გახლავთ, რომ ბოლო სეზონში ბრაზილიურმა მედიამ ჩემპიონატის საუკეთესო ნახევარმცველად დამსახელა. გეტყვით იმასაც, რომ ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი კარლოს დუნგა ორჯერ მესაუბრა. მითხრა, „სელესაოში" თავის გამოჩენის შანსი აუცილებლად მოგეცემაო. მაგრამ მე ისიც ვიცი, რომ ბრაზილიის ნაკრებში მოხვედრა ძალიან ძნელია. ჩვენ უბრალოდ ძალიან ბევრი ტოპ-ფეხბურთელი გვყავს, რომელთა შორისაც არჩევნის გაკეთება ძალიან ძნელია. არა უშავს, მე შანსს ველოდები და იმედი მაქვს, რომ დუნგას სიაში მოვხვდები. ფაქტია, რომ ნაკრებში მოხვედრა „შალკედან" უფრო გამიადვილდება.

**- ბუნდესლიგაში ერთი ზე რობერტო უკვე თამაშობს – ის „ბაიერნის" ფეხბურთელია. სულ მალე მის წინააღმდეგაც მოგიწევთ თამაში...**

- სხვათა შორის, ერთი წლის წინათ ჩვენი დუელი უკვე შედგა. ეს მაშინ მოხდა, როცა ჩემი „ბოტაფოგო" მის „სანტოსს" შეხვდა. პრესაში ამ მატჩზეც წერდნენ, ზე რობერტოების დუელიაო. ის მატჩი 4:3 მოვიგეთ და იმ შეხვედრაში მე 2 გოლი გავიტანე. მაგრამ მე ვიტყოდი, რომ ჩვენი ერთმანეთისთვის შედარება არ შეიძლება. ბაიერნელი ზე რობერტო უფრო დაცვაზე ორიენტირებული ნახევარმცველია, მე კი პირიქით. ესეც არ იყოს, ბაიერნელი ზე რობერტო ჩემზე გაცილებით ცნობილი და პოპულარული ფეხბურთელია.

**- გელზენკირხენში სახლი უკვე შეარჩიეთ?**

- ჯერ სასტუმროში ვცხოვრობ, მაგრამ სახლიც მალე მექნება და მაშინ ჩემი მეუღლე მიშელი და წელნახევრის ვაჟი ჟოაო ვიტორიც ჩამოვლენ.

**- სანამ „შალკეს" წინადადებას დათანხმდებოდით ალბათ ბუნდესლიგის სხვა ბრაზილიელ ფეხბურთელებს ესაუბრეთ...**

- ძალიან კარგად ვიცნობ ანდრე ლიმას, რომელიც „ჰერტას" ღირსებას იცავს და ასევე დორტმუნდელ დედეს. აღარაფერს ვამბობ ზე რობერტო I-ზე. მაგრამ ბუნდესლიგაში მოთამაშე ბრაზილიელთაგან ჩემი საუკეთესო მეგობარი ლევერკუზენელი ატირსონია. როცა ამ უკანასკნელს ვუთხარი, „შალკე" მიწვევს-მეთქი, მაშინვე მომიგო, ერთი წუთითაც არ დაფიქრდე, „შალკე" გენიალური გუნდიაო. უკვე დავრწმუნდი, რომ ატირსონმა სრული სიმართლე მითხრა.

**- თამაშის დროს გარკვეული რიტუალები თუ გაქვთ?**

- ყოველი მატჩის წინ ვლოცულობ და ყოველი მატჩის დასრულების შემდეგ მეუღლეს ვურეკავ ხოლმე.

**- და გოლებს როგორ აღნიშნავთ?**

- ბრაზილიაში გოლის შემდეგ სამბას ვცეკვავდი ხოლმე და ალბათ ბუნდესლიგაშიც ასე იქნება.

**- რა არის თქვენი ჰობი?**

- ჰობი? ჰმ... მიყვარს სახლში ოჯახთან ერთად ყოფნა, დიდი სიამოვნებით ვუყურებ ტელევიზორს და ვთამაშობ კომპიუტერს. ოღონდ, კომპიუტერშიც მხოლოდ ფეხბურთს ვთამაშობ ხოლმე.

**- „შალკეში" თქვენი პირველი ვარჯიში 3 000-მა ქომაგმა იხილა. გაგიკვირდათ?**

- 3000 მაყურებელი ბრაზილიაში ხშირად ოფიციალურ მატჩს არ ესწრება ხოლმე და ძალიან გამიკვირდა, როცა ვნახე, რომ „შალკეს" ვარჯიშით ამდენი ქომაგი დაინტერესდა.

**- როდის მიხვედით ფეხბურთზე და როგორ დაიწყო თქვენი, როგორც ფეხბურთელის ისტორია?**

- როგორც ბრაზილიელ ფეხბურთელთა უმეტესობა, მეც ღარიბი ოჯახიდან ვარ. ინტენსიური ვარჯიში 12 წლის ასაკში დავიწყე. 13 წლის ვიყავი, როცა ოჯახიდან წავედი და მშობლები, ძმა და და დავტოვე. ყოველთვის იმაზე ვოცნებობდი, რომ დიდი ფეხბურთელი გამოვსულიყავი. ჩემს მშობლიურ ქალაქში, რომელსაც იტუმბიარა ჰქვია, ნორმალური საფეხბურთო გუნდი არ არსებობდა, არადა, ქალაქი არც ისე პატარაა, 100 000 მაცხოვრებელი ჰყავს. შესაბამისად, ქალაქი დავტოვე და კურიტიბაში წავედი, სადაც ადრე რაფინიაც თამაშობდა. ეს იყო ჩემი პირველი გუნდი. ბრაზილიაში მიზნის მიღწევის შანსი ძალიან მცირეა. მე გამიმართლა – დღეს ცნობილი ევროპული კლუბის, „შალკეს" ფეხბურთელი ვარ. მაგრამ იცით, ბრაზილიაში ჩემნაირი რამდენია?

**- ვინ არის თქვენთვის მისაბაძი მაგალითი?**

- ადრე რონალდო იყო, ახლა კაკა.

**გოტფრიდ ლენცი**




იან კოლერის პრეზენტაცია ნიურნბერგში

ტრანსფერის გამოხმაურება

# ნიურნბერგი კოლერს 6 წელი ელოდა!

## ჩეხი გიგანტი: მინდა, გერმანიას თავი შევახსენო!

გასულ უქმეებზე „ნიურნბერგის" ხელმძღვანელებმა გუნდის მთავარ მწვრთნელ **ჰანს მაიერს** სურვილი, როგორც იქნა, შეუსრულეს: FCN-მ ჩეხი თავდამსხმელი **იან კოლერი** გადაიბირა და კონტრაქტი 2010 წლამდე გაუფორმა. გამოითქვა მოსაზრება იმის შესახებ, რომ დიდი შანსია, 34 წლის კოლერმა ფრანკებში იგივე ბედი გაიზიაროს, რაც ასევე 34 წლის ფორვარდ **აილტონს** „დუისბურგში" დაემართა, მაგრამ გუნდის მენეჯერი **მარტინ ბადერი** ფიქრობს, რომ კოლერი სულ სხვა ტიპის ფეხბურთელია, რომელიც „ნიურნბერგს" ძალიან გამოადგება.

კოლერის ტრანსფერი უშუალოდ ბადერის დამსახურებაა – თავის მონაკოელ კოლეგასთან მოლაპარაკებებს სწორედ ის აწარმოებდა და უნდა ითქვას, რომ „მონაკოს" ბოსები ძალიან ჯიუტობდნენ. სატრანსფერო თანხაზე მოლაპარაკებები ძალიან დიდხანს გაგრძელდა. ბოლოს „მონაკო" მაინც წავიდა დათმობაზე და ტრანსფერიც შედგა. მხარეები ერთ მილიონზე შეთანხმდნენ.

ვეტერანმა ჩეხმა „რკინის ჰანსის" ხელმძღვანელობით უკვე ივარჯიშა და პირველსავე ვარჯიშზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ამრიგად, „ნიურნბერგმა" ძალიან გამოცდილი თავდამსხმელი ჩაიგდო ხელში, ზუსტად ისეთი, როგორიც მაიერს სურდა. **ანგელოს ხარისტეასმა** მწვრთნელს იმედები ვერ გაუმართლა, მაგრამ ჰანსი დარწმუნებულია, რომ კოლერის შემთხვევაში ყველაფერი სხვაგვარად იქნება. მიუხედავად ამისა, მაინც ისმის კითხვა: შეუძლია კი 34 წლის ფეხბურთელს ის, რომ რომელიმე გუნდში ლიდერი და ბედნიერების მომტანი იყოს? ფაქტი ის არის, რომ ფრანკებს, რომლებმაც ბუნდესლიგის პირველ წრეში მხოლოდ მე-16 ადგილი დაიკავეს და მეორე ბუნდესლიგაში გავარდნის კანდიდატები არიან, ფორვარდი აუცილებლად სჭირდებოდათ – შეგახსენებთ, რომ **რობერტ ვიტეკი** ტრავმირებულია და აპრილამდე ვერ ითამაშებს. ამრიგად, ხარისტეასის უნიათობითა და ვიტეკის ტრავმით გამოწვეული სიცარიელე 2.02 მეტრი სიმაღლის კოლერმა უნდა ამოავსოს, რომელმაც მიმდინარე სეზონში „მონაკოს" მაისურით 19-დან 18 თამაშში მიიღო მონაწილეობა და მართალია, მხოლოდ 4 გოლი გაიტანა, მაგრამ „მონაკოში" საუკეთესო საშუალო შეფასება აქვს.

*„დარწმუნებული ვარ, რომ კოლერი თავისი შესაძლებლობების გამოვლენას მალე დაიწყებს და ჩვენს გუნდს ძალიან გამოადგება. მერე რა, რომ ის 34 წლისაა. ასეთ ფეხბურთელს „ნიურნბერგი" 27 წლის ასაკში ნამდვილად ვერ მიიღებს. კოლერი ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია. ეს ის ფეხბურთელია, რომელიც ჩვენს მწვრთნელს ძალიან სურდა,"* – ამბობს მენეჯერი ბადერი და იხსენებს, რომ 2001 წელს იანი „ანდერლეხტიდან" „დორტმუნდში" 10.5 მილიონ ევროდ გაიყიდა. სხვათა შორის, „ფრანკებს" ჩეხის შეძენა მაშინაც ძალიან უნდოდათ.

ის, რომ კოლერი მოედანზე ძველებურად სახიფათოა, ჩეხმა გიგანტმა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზეც დაამტკიცა. თავად განსაჯეთ: გერმანიისა და ჩეხეთის მატჩში, რომელიც ჩეხებმა 3:0 გაიმარჯვეს, კოლერმა ორი საგოლე გადაცემა მიითვალა. *„გერმანული საფეხბურთო გარემო ძალიან მომენატრა. დორტმუნდის თამაშებს მუდმივად 70-80 000 მაყურებელი ესწრებოდა. ამ მხრივ „ნიურნბერგიც" გამორჩეულია – „ფრანკენშტადიონზე" ცარიელი ადგილი არ რჩება ხოლმე. მინდა, გერმანიას ჩემი თავი შევახსენო,"* – აცხადებს კოლერი.

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ არსენ ვენგერთან

# 31 წლისა მწვრთნელიც ვიყავი, სკაუტიც და გუნდის კაპიტანიც

## ვენგერის ეთანხმება მოსაზრებას, რომ მეორეხარისხოვანი ფეხბურთელებისაგან უკეთესი მწვრთნელები დგებიან...



არსენ ვენგერი

ჟურნალმა პრო-სპორტმა. არსენ ვენგერის დიდი ინტერვიუ გამოაქვეყნა. "არსენალის" თავკაცი ყველა თემაზე დიდი ენთუზიაზმით საუბრობს - იმის შესახებ, თუ როგორ სძულს წაგება, როგორ აღიზიანებს სერ ალექს ფერგიუსონი, რამდენი ფული აქვს რომან აბრამოვიჩს, როგორ პოულობს ახალგაზრდა გენიოსებს და აგრეთვე, როგორ ძალიან უყვარს იორკშირული პუდინგი. თუმცა გრძელ შესავალს, ჯობია, პირდაპირ ფრანგ მწვრთნელს მოვუსმინოთ...

**- გახსოვთ თქვენი პირველი მატჩი?**

- დიახ, ეს ჩემს მშობლიურ სოფელში იყო (დუტლენჰაიმი, საფრანგეთისა და გერმანიის საზღვარზე). ადგილობრივი კლუბი ერთ პატარა ლუდხანაში იკრიბებოდა ხოლმე, ის ლუდხანა კი ჩემი მშობლების საკუთრება იყო. თამაშამდე მთელი კვირის განმავლობაში იქ ტაქტიკას არჩევდნენ. აგრეთვე მსჯელობდნენ, რომელი ფეხბურთელების დაყენება ჯობდა. შეიძლება ითქვას, მწვრთნელობას პატარაობიდანვე ვსწავლობდი. ბავშვობაში მჯეროდა, რომ ერთადერთი ღირებული საქმე, რაც ადამიანმა შეიძლება ამ ცხოვრებაში აკეთოს, ეს არის ფეხბურთი. მას შემდეგ ჩემი მოსაზრებები რადიკალურად არ შეცვლილა.

**- ვინ იყო იმ ადრეულ დღეებში თქვენი კერპი?**

- პელე. იმ დროს პელეს სახელი ყველას პირზე ეკერა. ჩემს ბავშვობაში მისი ნახვა შეუძლებელი იყო. ათასში ერთხელ ტელევიზორში თუ მოვკრავდით ხოლმე თვალს. ამიტომ პელე მითიური ზღაპრის პერსონაჟი იყო. მე სხვა კერპებიც მყავდა. მათი უმეტესობა, მაგალითად, ოვერატი, ბეკენბაუერი, გერმანელები იყვნენ. იმ დროს მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთს გერმანელები თამაშობდნენ.

**- ალბათ, თქვენსავით ნიჭიერი ადამიანი ნებისმიერ სფეროში მიაღწევდა წარმატებას. როდის მიხვდით, რომ თქვენს ცხოვრებაში ფეხბურთი გადამწყვეტ როლს ითამაშებდა?**

- სკოლაში მონდომებით ვსწავლობდი, მაგრამ ყოველთვის ვფიქრობდი, რომ თუ საშუალება მომეცემოდა, სწორედ ფეხბურთს ავირჩევდი ჩემს პროფესიად. ვარჯიში 9 წლისამ დავიწყე. ისეთ პატარა სოფელში ვცხოვრობდით, რომ პირველი ნამდვილი მწვრთნელი მხოლოდ 19 წლისამ გავიცანი. ჩემი მშობლებისათვის ადვილი არ იყო იმასთან შეგუება, რომ მათი შვილი, რომელმაც სწავლას ამხელა დრო და ენერგია შეალია, ფეხბურთით აპირებდა ფულის შოვნას. მათთვის ეს ერთი ჩვეულებრივი თამაში იყო, რომელთანაც სერიოზულ ადამიანებს არაფერი ჰქონდათ საერთო. მშობლებს უნდოდათ, იურისტი, ექიმი ან რალაც ამგვარი პროფესიის ადამიანი ვყოფილიყავი. ძალიან გამიჭირდა, ისინი საკუთარი მოსაზრებების სისწორეში დამერწმუნებინა. დიდი მცდელობის შემდეგ სანადელს მაინც მივაღწია.

**- მართალია თუ არა, რომ იმაზე უკეთესი ფეხბურთელი იყავით, ვიდრე გვიყვებით ხოლმე?**

- მსოფლიო დონის ფეხბურთელი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ საფრანგეთის ჩემპიონატში არცთუ ურიგოდ გამოვიყურებოდი. 1979 წელს "სტრასბურის" შემადგენლობაში ქვეყნის ჩემპიონიც კი გავხდი. ხანდახან ვფიქრობ ხოლმე, მივაღწევდი თუ არა უფრო მეტს, ისეთივე პირობები რომ მქონოდა, როგორიც თანამედროვე ფეხბურთელებს. თამაში საკმაოდ გვიან დავიწყე. ჩემი პირველი მწვრთნელი მაქს ჰილდი ამბობს, რომ კარგი მონაცემები მქონდა. დასაწყისში თავდამსხმელად ვთამაშობდი, შემდეგ ნახევარდაცვაში დამხიეს. კარიერის მიწურულს კი ცენტრალური მცველი ვიყავი.

**- ცოტა ხნის წინ, მაქს ჰილდმა თქვენ ერთბაშად ორ ფეხბურთელს შეგადარათ: რეი პერლორსა და როი კინს. სამართლიანია თუ არა ასეთი შედარება.**

- ძნელი სათქმელია, მაგრამ ჩემთვის დიდი პატივია ამ მოთამაშეების გვერდით დაყენება.

**- თქვენ ალბათ იმ ფეხბურთელთაგანი იყავით, რომელთაც მწვრთნელობა იმთავითვე გადაწყვეტილი აქვთ. ჩანაწერებსა და კონსპექტებს თუ აკეთებდით ხოლმე?**

- ვერ ვიტყვი, რომ მწვრთნელობისათვის ვემზადებოდი, მაგრამ მწვრთნელებთან ყოველთვის საუკეთესო ურთიერთობა მქონდა. ჩვენ ყველას ერთნაირად გვიყვარდა ფეხბურთი. ყოფილა შემთხვევები, როცა ავტომობილის საჭესთან 600 კილომეტრი გამივლია, იმისათვის, რომ სასურველი ფეხბურთელის თამაშს დავსწრებოდი. ისეც მომხდარა, რომ იმ თამაშზე თავსხმა წვიმაში, საათნახევრის განმავლობაში ფეხზე ვმდგარვარ, შემდეგ კი ის 600 კილომეტრი უკან გამივლია. ბევრმა არ იცის, რომ 31 წლისა სტრასბურგის საფეხბურთო სკოლაში მწვრთნელიც ვიყავი, სკაუტიც, ფიზმომზადების სპეციალისტიც და კაპიტანიც - ყველაფერი ერთად. შემიძლია, გითხრათ, რომ საუკეთესო გამოცდილება იმ წლებში მივიღე.

**- თქვენ, სვენი, ჟოზე, სერ ალექსი... განსაკუთრებული საფეხბურთო კარიერა არცერთ თქვენგანს არ ჰქონია. როგორ გგონიათ, მეორეხარისხოვანი მოთამაშეებისაგან უკეთესი მწვრთნელები ხომ არ გამოდიან?**

- როგორც ჩანს, ასეა. ფეხბურთელობისას ბევრს ვერაფერს მივაღწიე. კარიერის დასრულებისას დაუკმაყოფილებლობის გრძნობა არ მასვენებდა. მწვრთნელობა რომ დავიწყე, ეს გრძნობა საუკეთესო მოტივაცია აღმოჩნდა.

**- რა იგრძენით, როცა "ჰაიბერიზე" მოხვედით? აქ ხომ პრაქტიკულად არავინ გიცნობდათ? გაზეთები ყველასათვის უცნობ სპეციალისტზე წერდნენ, რომელსაც სახელად არსენი ერქვა, მისი გვარი კი არავის არაფერს ეუბნებოდა...**

- სულაც არ იყო გასაკვირი, რომ მაყურებელი არ მიცნობდა. მე უფრო სპეციალისტების რეაქციამ გამაკვირვა. შეუძლებელია, არაფერი სცოდნოდათ იმ მწვრთნელის შესახებ, რომელმაც "არსენალამდე" "მონაკოში" საკმაოდ წარმატებით იმუშავა, გუნდი თასების თასის ფინალში გაიყვანა, პლუს საფრანგეთის ჩემპიონატი და თასი მოიგო. მოკლედ, ამ ამბებისათვის დიდი მნიშვნელობა არ მიმინიჭებია. მეტსაც გეტყვით, მოხარულიც კი ვიყავი, რომ ცივად შემხვდნენ. ესე იგი, მშვიდად მუშაობის საშუალება მექნებოდა. უცნობი ფრანგისაგან სასწაულების მოხდენას ხომ არავინ მოითხოვდა...

**- იცოდით თუ არა, რომ თქვენს დანიშვნამდე "არსენალს" პრემიერლიგის ყველაზე მოსაწყენ გუნდად მიიჩნევდნენ? გაგიჭირდათ გუნდში ახალი სტილის დანერგვა?**

- "არსენალის" რეპუტაციის შესახებ რალაც-რალაცეები მქონდა გაგონილი, მაგრამ დანიშვნის შემდეგ, თამაშში კორექტივების შეტანას შევუდექი. "ჰაიბერიზე" შესანიშნავი ფეხბურთელები დამხვდნენ. გუნდში ახალი კაცი ვიყავი. რადიკალური ნაბიჯების გადადგმას ვერიდებოდი. საქმეს აუჩქარებლად ვაკეთებდი. იმისათვის, რომ საზოგადოება შენს შესაძლებლობებში დაარწმუნო, რადიკალიზმი საჭირო სულაც არ არის.

**- ამბობენ, რომ ფეხბურთელების კვებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებთ და მათ მენიუში ხშირად კორექტივები შეგაქვთ. თქვენ თვითონ რას მიირთმევთ? ინგლისურ სამზარეულოში თუ არის ისეთი რამ, რაზეც უარის თქმა არ შეგიძლიათ? მაგალითად, შემწვარი თევზი და კარტოფილი? ანდა შემწვარი ხორცი და იორკშირული პუდინგი? ან იქნებ ვაშლის ღვეზელი გიყვართ?**

- თევზი და კარტოფილი არა, მაგრამ საშობაო პუდინგი ნამდვილადაა ჩემი ერთ-ერთი საყვარელი საჭმელი. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ბევრი ისეთი რამ მიყვარს, რაც ჯანმრთელობისათვის მაინც და მაინც სასარგებლო არ არის. ფეხბურთელებს კი ასეთი საჭმელების მიღებას კატეგორიულად ვუკრძალავ. არაფერია იმაზე უფრო გულდასაწყვეტი, როცა მოთამაშე, მთელი კვირის მუხლჩაუხრელი შრომის შემდეგ თამაშს მარტო იმიტომ ჩააგდებს, რომ 24 საათით ადრე რალაც უცნაური საკვები მიიღო. "არსენალში" რომ მოვედი, პირველი გასვლითი მატჩი ბლექბერნში გვქონდა. მახსოვს, ფეხბურთელები უკან ისხდნენ და ერთხად სკანდირებდნენ: "დაგვიბრუნე "მარსი"! დაგვიბრუნე "მარსი"! ჩემს დანიშვნამდე მათ ყოველი მატჩის წინ შოკოლადს ურიგებდნენ, მე კი ამ ტრადიციას წერტილი დავუსვი. საჭმელი ბენზინივითაა. წარმოიდგინეთ, თუ ავტომობილში შეუფერებელ ბენზინს ჩაასხამთ, მანქანა ან საერთოდ გაჩერდება, ან ისე ვერ ივლის, როგორ შეუძლია.

**- როგორ ფიქრობთ, რომელმა ფეხბურთელმა განიცადა ყველაზე დიდი პროგრესი თქვენს ხელში და ამაყობთ თუ არა ამით?**

- ყველა მათგანით ვამაყობ. ბევრმა ჩემმა შეგირდმა უმაღლესი დონის ფეხბურთი ითამაშა. ტურამი, პეტი, ანრი, ვიეირა მსოფლიო დონის ვარსკვლავები გახდნენ, მაგრამ თქვენს კითხვას ასე ვუპასუხებდი: ყველაზე მეტად ჯორჯ ვეათი ვამაყობ. ის "მონაკოში" 1988 წელს ჩამოვიყვანეთ. მისი ტრანსფერი სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ. 1995 წელს კი ფიფამ ვეა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა.

**- მწვრთნელობისას სატრანსფერო ბაზარზე არა ერთი საუცხოო ფეხბურთელი აღმოაჩინეთ. თუ ყოფილა შემთხვევა, როცა რომელიმე მოთამაშე ხელიდან გაგიშვიათ, ის კი სხვა კლუბებში ვარსკვლავი გამხდარა?**

- რა თქმა უნდა. ამ მხრივ საკმაოდ ბევრი შეცდომა მაქვს დაშვებული. მარტო მაკელელესა და ეტოოს გახსენება რად ღირს. ისეც მომხდარა, რომ გუნდიდან გამიშვია ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომელთა ბრწყინვალე მომავალში ეჭვი არ მეპარებოდა. მაგალითად, ფაბრის მუამბა, სტივ სიდველი, სებასტიან ლარსონი... შეუძლებელია, ყველა ნიჭიერი ფეხბურთელი გუნდში გყავდეს. ამ მოთამაშეების გაშვება ადვილი არ იყო, მაგრამ ჩავთვალე, რომ სხვა კანდიდატები უფრო ძლიერები იყვნენ.

**- დაასახელეთ მეტოქე გუნდის რომელიმე ფეხბურთელი, რომელსაც დაუფიქრებლად გაუფორმებდით კონტრაქტს...**

- ასეთი ბევრია, თუმცა ჩემი გუნდით ისეთი კმაყოფილი ვარ, რომ სხვა ვარსკვლავებისაკენ თვალი არ გამირბის.

**- ხომ არ ფიქრობთ, რომ ანრისა და ვიეირას გაყიდვა მათ ტრანსფერებამდე ერთი წლით ადრე ჯობდა. 2004 და 2006 წლებში პატრიკისა და ტიერის სანაცვლოდ უფრო დიდ ფულს იხდიდნენ...**

- ბევრს ჰგონია, რომ სერიოზული შეცდომა დავუშვით. მე კი მიმაჩნია, რომ ეს ფეხბურთელები საჭირო დროს გავყიდეთ. 2005 წელს "იუვენტუსმა" ვიეირას ხუთწლიანი კონტრაქტი და ჩვენზე ბევრად უკეთესი ანაზღაურება შესთავაზა. "არსენალი" პატრიკს ისეთივე პირობებს ვერ შეუქმნიდა, ამიტომ მას ხელი არ შევუშალეთ. რაც შეეხება ანრის, ერთი წლით ადრე "არსენალი" ახალ სტადიონზე გადავიდა. "ემირატსი" "ჰაიბერიზე" თითქმის ორჯერ დიდია. არ ვიცოდით, შევავსებდით თუ არა ტრიბუნებს. ასეთ დროს ტიერის გაყიდვა გაუმართლებელი გადაწყვეტილება იქნებოდა. ის გვჭირდებოდა, თუნდაც იმისთვის, რომ მაყურებელი სტადიონზე მოსულიყო. ერთი წლის შემდეგ, როცა ტიერიმ გათავისუფლება გვთხოვა, საუკეთესო სურვილებით გამოვეთხოვეთ.

**- ხშირად წერენ სიტყვიერი ომების შესახებ, რომელიც პრემიერლიგის მწვრთნელებს შორის იმართება. ხომ არ გვეტყვით, ყველაზე მეტად რომელი კოლეგა გაღიზიანებთ. ან იქნებ ეს ყველაფერი უსაფუძვლო სპეკულაციაა და მეტი არაფერი?**

- მე მაშინ ვღიზიანდები, როცა მწვრთნელი საჯარო გამოსვლისას არბიტრზე ზემოქმედებას ცდილობს, მნიშვნელობა არ აქვს, თამაშამდე თუ თამაშის შემდეგ. ამ მხრივ ყველაზე მეტი პრეტენზია ფერგიუსონთან მაქვს. ალბათ, მე მას ვაღიზიანებ, მაგრამ დაპირისპირება სტადიონის გარეთ არ გადის. ეს ყველაფერი თამაშის ნაწილია, ერთგვარი შოუს ნაწილი. ძნელი წარმოსადგენია, მე და ფერგიუსონი ახლო მეგობრები ვიყოთ, როცა ჩვენი გუნდები ასეთი სერიოზული კონკურენტები არიან. მაგრამ შემიძლია, დაგარწმუნოთ, რომ ჩვენ არც მტრები ვართ. მსიამოვნებს თუ არა მასთან კონკურენცია? დიახ, რა თქმა უნდა. ეს ცხოვრებას უფრო მრავალფეროვანს ხდის.

**- როგორ ფიქრობთ, შეუზღუდავი ფინანსური რესურსები აკნინებს თუ არა მწვრთნელის მნიშვნელობას. ან იქნებ ფულით ტიტულების ყიდვა მითია?**

- ვერ ვიტყვი, რომ აკნინებს, თუმცა ბევრი ფული მუშაობას ნამდვილად აიოლებს. წარმატების მისაღწევად კი, ყველა შემთხვევაში, მუხლჩაუხრელად შრომაა საჭირო. არ მჯერა, რომ არსებობს რალაც განსაზღვრული თანხა, რომლის დახარჯვა გარანტირებული ჩემპიონობას ნიშნავს. "ჩელსის" რანიერის დროსაც შესანიშნავი გუნდი ჰყავდა. აბრამოვიჩმა "არისტოკრატებს" ფინანსური პრობლემები მოუგვარა. მისივე ფულით "ჩელსიში" უფრო წარმატებული მწვრთნელი მივიდა.

**- მოურინიოს წასვლამ "არსენალის" საჩემპიონო შანსები ხომ არ გაზარდა?**

- მისი აბარგება მოულოდნელი იყო. მოურინიომ ძალიან ნაყოფიერად იმუშავა. გამიკვირდა, რომ პირველივე კრიზისისას გაუშვეს. შეიძლება მის დათხოვნას სხვა სარჩული ჰქონდა. ერთი რამ ნათელია: პრემიერლიგა გაცილებით საინტერესო სანახავი იქნებოდა, ის რომ დარჩენილიყო, თუმცა მის წასვლას ცხოვრება არავისთვის გაუიოლებია.

**- გულწრფელად გვითხარით, ელოდით თუ არა "არსენალისაგან" ასეთ თამაშს?**

- ველოდი, რომ ჩემპიონატს კარგად დავიწყებდით. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. გასულ სეზონში ბევრი რამ არ გამოგვივიდა. წელს ფეხბურთელებმა საგრძნობლად მოუმატეს, თუმცა ჩვენი სიძლიერე მაისში გამოჩნდება.

**- თუ "არსენალი" ტიერი ანრის გარეშე "მანჩესტერ იუნაიტედსა" და "ჩელსის" გადაასწრებს, ჩათვლით თუ არა მიმდინარე სეზონს ყველაზე წარმატებულად თქვენს სამწვრთნელო კარიერაში?**

- არ ვიცი. საკუთარ წარმატებებზე საუბრისაგან თავს შევიკავებდი.

**- თქვენ პატიოსანი მწვრთნელის რეპუტაციით სარგებლობთ. მწვრთნელად მუშაობისას ერთხელაც კი არ დაგირღვევიათ კონტრაქტი. არ გეჩვენებათ, რომ თანამედროვე საფეხბურთო სამყაროში პატიოსნება ზედმეტი ტვირთია?**

- პირიქით. დიდ ფეხბურთში ყოფნა და საქმის პატიოსნად კეთება დღეს ისეთი მნიშვნელოვანია, როგორც არასდროს. პრემიერლიგის მატჩებს მთელ მსოფლიოში 500-700 მილიონი ადამიანი უყურებს. ზოგჯერ მაყურებლის რაოდენობა მილიარდამდეც კი ადის. ეს იმას ნიშნავს, რომ მაგალითად, სადღაც ინდოეთში ან სამხრეთ აფრიკაში, ტელევიზორთან ზის პატარა ბიჭუნა და უეინ რუნისა და სესკ ფაბრეგასის თამაშს ადევნებს თვალს. წარმოგიდგენიათ, რამხელა გავლენა ამ ფეხბურთელებს და რამხელა პასუხისმგებლობა აკისრიათ იმ უცნობი ბიჭის წინაშე?

# ფინეთში მოგება ქართველებსაც შეგვძლებია

## ცინცაძე და როკი ფლეი ოფისკენ მიფრინავენ

**გიორგი ცინცაძის** „ტარტუ როკმა" ევროთასის ჯგუფურ ეტაპზე მესამე მატჩი გამართა და მესამე გამარჯვება იზეიმა. ბერძნული პაოკის და რუსული „სამარას" შემდეგ „როკერებმა" ფინეთში „ლაპეენრანტა" 102:94 დაამარცხეს.

ისევე როგორც წინა მატჩებში გიორგის თანაგუნდელებმა დებიუტში მოახერხეს „ფიგურით" დაწინაურება და 10 ქულით გაქცეულებს მასპინძლები ველარ დაეწივნენ.

პირველ მეოთხედში **ცინცაძემ** ჯერ ერთი შეცდომა დაუშვა, ორი ფოლი მიილო, ორქულიანი ააცილა, მაგრამ მალევე გაიხსნა: ორი სამქულიანითა და ზედ მიყოლებული ორი საჯარიმოთი ესტონელები 19:13 დააწინაურა. აქედან მოყოლებული, მესამე პერიოდამდე „ტარტუ" მძიმე ბრძოლაში ინარჩუნებდა 10- ქულიან ფორას, ვიდრე შეხვედრის 25-ე წუთზე გიორგიმ კვლავ სამქულიანი გაისროლა და 62:50.

ბოლო რაუნდს სტუმრები სოლიდური უპირატესობით შეხვდნენ (80:65) და დარჩენილ დროში გამარჯვებულის ვინაობა ეჭვქვეშ აღარ დამდგარა.

ცინცაძემ მატჩი ჩვეულად, სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო, მოედანზე 30 წუთი გაატარა, 19 ქულა (5-დან 3 სამქულიანი), 5 მოხსნა და 6 შედეგიანი გადაცემა მიითვალა.

მკითხველს, ალბათ, ევროთასზე გიორგის სრული მონაგარიც აინტერესებს: 30.8 წუთი, 13.6 ქულა, 4.0 მოხსნა, 6.6 პასი, 1.6 ჩაჭრა. შედეგიანი გადაცემების საშუალო მაჩვენებლის მიხედვით ცინცაძე ევროთასის საუკეთესო მეპასეა.

„ლაპენრაანტასთან" შეხვედრას დავუბრუნდეთ. ქართველზე ოდნავ უკეთესი სტატისტიკა ჰქონდა ამერიკელ ბრაიან კუსვორსს (20 ქულა, 10 მოხსნა), 20 ქულა და 9 მოხსნა ჩაიწერა იანარ ტალტსმა, ხოლო ტანელ ტეინმა 10 ქულას 11 პასი შეუფარდა.

ფინელთა შემადგენლობაში ქართველთათვის კარგად ნაცნობი **პეტრი ვირტანენი** (20 ქულა, 9 პასი), აკი **ულანდერი** და **პასი რიიჰელა** თამაშობდნენ.

მატჩის შემდეგ ტარტუელთა თავკაცი **ულარ კერდე** გახარებული იყო: *„შეხვედრის დაწყებამდე ცოტა მეშინოდა, რადგან ვიცოდი ფინელი სნაიპერების შეჩერება იოლი არ იქნებოდა. საბოლოოდ მათ 94 ქულა ჩაგვიგდეს, მაგრამ საბედნიეროდ ყველა ჩემს კალათბურთელს შეტევაში თამაში კარგად წაუვიდა და დამსახურებულად მოვიგეთ."*

„როკს" ევროთასზე მომდევნო მატჩი 15 იანვარს ელის - ბერძნულ პაოკს უმასპინძლებს. იმ შეხვედრაში ესტონელებს მომდევნო ეტაპის საგზურის განაღდება შეუძლიათ, მაგრამ, ალბათ ბევრს არც დღეს ეპარება ეჭვი „ტარტუს" მომდევნო ეტაპზე გასვლაში. ახლა ევროთასის A ჯგუფის სატურნირო ცხრილს გაგაცნობთ და გიორგი ცინცაძესთან დაკავშირებულ მეორე თემაზე გადავალთ.

| A ჯგუფი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ტარტუ | 3 | 3 | 0 | 6 |
| 2. ლაპეენრანტა | 3 | 1 | 2 | 4 |
| 3. სამარა | 2 | 1 | 1 | 3 |
| 4. პაოკ | 2 | 0 | 2 | 2 |

გამოკითხვის დასაწყისში ბუ უცხოელ უკანახაზელთა შორის მეხუთე პოზიციაზე იყო, მაგრამ მისმა ქომაგებმა მეტად იაქტიურეს და ახლა ცინცაძე პირველადგილოსან მარკუს ბრაუნს ბევრით აღარ ჩამორჩება. ვიდრე სრულ მონაცემებს გაგაცნობდეთ გეტყვით, რომ „ოლ სტარში" მხოლოდ ინტერნეტ-გამოკითხვით შერჩეული ხუთეული ითამაშებს. სათადარიგოებს მწვრთნელები შეარჩევენ. გიორგის სასტარტოში მოსახვედრად ლეგიონერთა საუკეთესო ორეულში შესვლა სჭირდება.

ქართველ ქომაგს აქტიურობისკენ მოვუწოდებთ. შეგიძლიათ შეხვიდეთ საიტ www.bbl.net-ზე, შემდეგ „ოლ სტარის" გვერდზე და ა.შ.

**უცხოელები**

უკანახაზელები: **მარკუს ბრაუნი (ჟალგირისი) - 6734 ხმა, კურტის მილაგე (რიგა) - 5911,** მარკო პოპოვიჩი (ჟალგირისი) - 5673, გიორგი ცინცაძე (როკი) - 5062, ჰოლის პრინსი (რიტასი) - 3721.

ფორვარდები: **მეტიუ ნილსენი (რიტასი) - 6043, გორან იურაკი (ჟალგირისი) - 5526.**

ცენტრი: **მაიკლ ბრედლი (ჟალგირისი) - 5150.**

**ბალტიისპირელები**

უკანახაზელები: **მანტას კალნეიტისი (ჟალგირისი) - 6624, სანდის ვალტერსი (რიგა) - 5837.**

ფორვარდები: **იონას მაციულისი (ჟალგირისი) - 6294, იანარ ტალტსი (როკი) - 5071.**

ცენტრი: **ეურელიუს ჟუკაუსკასი (ჟალგირისი) - 5577.**

**ვაჟა სიმონიშვილი**




გიორგი ცინცაძე

# ბალტიის ვარსკვლავები

ცინცაძე და „ტარტუ" ურიგოდ არც ბალტიის ლიგაზე ირჯებიან. აქედან გამომდინარე, ლოგიკური იყო ქართველის ბალტიის ვარსკვლავთა მატჩის კანდიდატად დასახელება.

„ოლ სტარი" ესტონეთის დედაქალაქ ტალინში 2 თებერვალს გაიმართება. მასში ერთმანეთს ბალტიისპირელთა და ლეგიონერთა ნაკრებები დაუპირისპირდებიან.



**საქართველოს ხელბურთელთა ეროვნულ ნაკრებში და ზოგადად ქართულ ხელბურთში, ყველაზე ნაკლებად რომ მეკარეების პრობლემაა, ამაზე არაერთხელ გვითქვამს. ახლახან, ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობამ გოლკიპერის პოზიციაზე კიდევ უფრო გაამძაფრა კონკურენცია და გერმანიის მეოთხე ლიგაში მოთამაშე არჩილ გარიშვილს უხმო. გარიშვილმა დეკემბერში საკმაოდ კარგად ითამაშა თურქეთის წინააღმდეგ გამართულ საკონტროლო მატჩებში და მწვრთნელთა გულიც მოიგო. 20 იანვარს, „ჩელენჯ ტროფის" ფინალისთვის იგი ნაკრებშია გამოძახებული. არჩილს გუშინ შევეხმიანეთ, გერმანიაში დროებით დაბრუნების წინ და ინტერვიუ ჩამოვართვით.**



### ინტერვიუ არჩილ გარიშვილთან

# ვიბრძოლოთ 60 წუთი!

- ჩემი კლუბი „ტვ-ვაიდენი" გერმანიის მეოთხე ლიგაში თამაშობს. პირველი წრის შემდეგ, მეხუთე პოზიციაზე ვართ. პირველადგილოსან გუნდს 6 ქულით ჩამოვრჩებით, მეორე ადგილოსნამდე კი 4 ქულა გვაშორებს. მესამე ლიგაში პირდაპირ მხოლოდ ერთი გუნდი გადადის, მეორადგილოსანი კი ფლეიოფში ითამაშებს. ჩვენი მიზანია მესამე ლიგაში ალზევება.

**- გერმანიის მეოთხე ლიგის დონეზე რას იტყვი?**

- პირველ ბუნდესლიგას საგრძნობლად ჩამორჩება, მაგრამ მაინც ძალიან მაღალი დონეა. იქ ყოველგვარი პირობაა საიმისოდ, რომ ხელბურთელმა კლასი აიმაღლოს.

**- პირდაპირ საქართველოს ჩემპიონატიდან რომ წავიდნენ ხელბურთელები გერმანიის მეოთხე ლიგაში, რამდენად გამოიჩენენ თავს?**

- აქ მოთამაშე გამორჩეული ხელბურთელები გერმანიის მეოთხე ლიგას კი „გაქაჩავენ", მაგრამ თავიდან ძალიან გაუჭირდებათ. იმედია, საწყენად არავინ მიიღებს თუ ვიტყვი, რომ ქართულ კლუბებში დისციპლინა გერმანულს საგრძნობლად ჩამორჩება. ფიზმომზადებას და სხვა კომპონენტებს რომ თავი დავანებოთ, უპირველეს ყოვლისა, დისციპლინაში გაუჭირდებათ აქაურ ხელბურთელებს. ნებისმიერ გერმანულ კლუბში საათივითაა აწყობილი საქმე, გერმანული პუნქტუალურობით და სრული სერიოზულიბით უდგებიან საქმეს. დისციპლინის დარღვევა იქ, უბრალოდ გამორიცხულია. სხვა საკითხია გერმანიის თუნდაც მეოთხე ლიგის პირობები და იქაური დატვირთვები. ამ ყველაფრის საქართველოსთან შედარებაც კი არ შეიძლება.

**- გერმანიაში ასე ადრე რატომ ბრუნდები, „ჩელენჯ ტროფის" ფინალისთვის არ ხარ გამოძახებული?**

- გერმანიის ქვედა ლიგებში მეორე წრე ახლა იწყება. ამას გარდა, პროფესიით ფიზიკოსი ვარ, დიდი ხანია გერმანიაში ვმუშაობ და იქაც საქმეები მაქვს. ამის გამო, სანაკრებო შეკრებიდან გამათავისუფლეს. თუმცა, 20 იანვრისთვის გამოძახებული ვარ და პირდაპირ გერმანიიდან ჩავალ ნორვეგიაში.

**- „ტვ-ვეიდენში" რამდენი ხნით რჩები?**

- მინიმუმ, სეზონის ბოლომდე ამ კლუბში ვითამაშებ. საერთოდ, „ვეიდენში" თამაშის ვარიანტი ყველანაირად მაწყობს. ჩემს სამსახურთანაც ახლოს ვარ და თანაც კლუბის მწვრთნელებთან თუ შეფებთან მშვენიერი ურთიერთობა მაქვს, სისტემატურადაც ვთამაშობ. მოკლედ, 2009 წლამდე მაკავშირებს კონტრაქტი სამსახურთან და ალბათ ამ ხნის განმავლობაში „ვეიდენის" მაისურა მეცმება. თუმცა, თუკი სხვა, უფრო მისაღები ვარიანტი გამომიცნდება, რა თქმა უნდა ამაზეც დავფიქრდები.

**- საქართველოს ნაკრებში მოწვევას როგორ შეხვდი?**

- 6 წლის წინ, ახალგაზრდული ნაკრების შეკრებაზე გამომიძახეს. ამის გარდა, საქართველოს რომელიმე ნაკრებში და მითუმეტეს ეროვნულში არავის გამოვუძახებივარ. ბუნებრივია, ახლა რომ დამიძახეს, უსაზღვროდ გამიხარდა და ნებისმიერ სპორტსმენს ასეთი რეაქცია ექნებოდა. ეროვნულ ნაკრებში თამაში ხომ ყველასათვის საამაყოა.

**- ნაკრებში დებიუტი დეკემბერში, თურქეთში გქონდა. როგორ გაიხსენებ იმ შეხვედრებს?**

- საკუთარ თავზე ლაპარაკი არ მიყვარს. რაც შეეხება გუნდის თამაშს, პირველ და მეორე შეხვედრებში ნორმალურად გამოვიყურებოდით. თუმცა, ბოლო მატჩის წინ, რამდენიმე ხელბურთელი დაგვიშავდა, წამყვანი ლეგიონერები თავიდანვე გვაკლდა. თანაც ერზერუმი ძალიან მაღალზეა და აკლიმატიზაცია გაგვიჭირდა. ამ ყოველივეს გამო, მესამე შეხვედრაში დიდი ანგარიშით დავმარცხდით. მართალია, ამხანაგური მატჩები იყო, მაგრამ მე ყველანაირ მარცხს მტკივნეულად განვიცდი და თურქეთიდანაც გულნაკლული დავბრუნდი. მითუმეტეს, რომ თურქეთი არაა ჩვენზე ძლიერი გუნდი. წამყვანი ლეგიონერები რომ გვყოლოდა, სამივეჯერ უპრობლემოდ უნდა მოგვეგო.

**- ამჟამად, ნაკრების ძირითად მეკარედ შოთა თევზაძე ითვლება. რამდენად მზად ხარ მასთან კონკურენციისთვის?**

- შოთა უდავოდ ძალიან მაღალი დონის მეკარეა. თუმცა, რალა თქმა უნდა, მეც მაქვს ჩემი ამბიციები. ცდას არ დავაკლებ, რომ რაც შეიძლება დიდი ხნით მომიწიოს მოედანზე ყოფნამ, დანარჩენი კი მწვრთნელების გადასაწყვეტია. მთლიანობაში, მთავარია ნაკრებმა მიაღწიოს წარმატებას, თორემ ვინ რამდენი ხნით იჯდება სკამზე, ეს მეორეხარისხოვანია.

**- ლუქსემბურგზე რას იტყვი?**

- ნაღდად არ არის ჩვენზე ძლიერი გუნდი. როგორც ვიცი, ლეგიონერები არ ჰყავთ. აუცილებლად უნდა მოვიგოთ. ხელბურთი 60 წუთიანი თამაშია და ამ ერთი საათის განმავლობაში, ნაკრების თითოეული წევრი მაქსიმალურად მობილიზებული უნდა იყოს. შესაძლოა, ზოგადად მსოფლიოსთვის ნაკლებად მნისვნელოვანი იყოს, თუ ვინ მოიგებს „ჩელენჯ ტროფს", მაგრამ ჩვენ ეს გამარჯვება ჰაერივით გვჭირდება. ქართული ხელბურთის ხანგრძლივი რეგრესის შემდეგ, წინ მიდის და ახლა ტიტული აუცილებელია.

**- საქართველოს ნაკრების დადებით და უარყოფით მხარეებად რა მიგაჩნია?**

- ჩვენი პლუსი ის არის, რომ ნაკრებში ბავრი მაღალი კლასის და გამოცდილი ხელბურთელია. უარყოფით მხარედ კი საქართველოს ჩემპიონატის დაბალ დონეს დავასახელებდი. აქ მოთამაშე ხელბურთელებს ძალიან აკლიათ პრაქტიკა. ისინი თამაშობენ ოთხგუნდიან ჩემპიონატში, სადაც 2 გუნდი გამოკვეთილი ფავორიტია და სეზონის განმავლობაში, არც ისე ბევრ შეხვედრას ატარებენ. საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ნაკრების კანდიდატებიდან, ბევრი თავს სათადარიგო ხელბურთელად მიიჩნევს და ეს ძალიან ცუდია.

ზემოთ გერმანიის მეოთხე ლიგა შევადარე აქაურ ჩემპიონატს. ახლა კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან. ჩემმა კლუბმა სეზონის წინ, ჩაატარა 6 საკონტროლო მატჩი ბელგიისა და ჰოლანდიის უმაღლესი ლიგის გუნდებთან. ამას მოჰყვა საერთაშორისო ტურნირი, სადაც ჩვენი მეტოქეები იყვნენ 5 მეორე ბუნდესლიგური კლუბი, ერთი მესამე ბუნდესლიგელი და ერთიც ბელგიის უმაღლესი დივიზიონის წარმოამადგენელი. ამის მერე, გერმანიის ჩემპიონატში გავმართეთ პირველი წრის 13 მატჩი. ამას გარდა, შემოდგომით გვქონდა სამკვირიანი პაუზა, რომლის განმავლობაშიც 2 ტურნირზე ვითამაშეთ. ახლა თქვენ განსაჯეთ, რამდენად აკლიათ ქართულ კლუბებში მოთამაშე ხელბურთელებს გამოცდილება, სათამაშო პრაქტიკა და რამდენად ჩამოვრჩებით ევროპის წამყვან ქვეყნებს.

**კობა ხატისაშვილი**



ინტერვიუ გიორგი ჩხაიძესთან

# ვიქტორი მოთამაშე მწვრთნელია!

პარიზის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქი მასი უკვე მესამე წელია, სამი ქართველი მორაგბის - გიორგი ჩხაიძის, დავით დადუნაშვილისა და ვიქტორ დიდებულიძის ნავსაყუდელია. „მასი“ ამ დროის მანძილზე საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ I დივიზიონში ასპარეზობს და მუდმივად ლიდერთა შორისაა, თუმცა რანგით უფრო მაღალ, ელიტარულ მეორე დივიზიონში გადასვლას ვერაფრით ახერხებს. წლეულს გუნდმა უჩვეულოდ ცუდი სტარტი აიღო, მაგრამ მდგომარეობა ნელ-ნელა გამოასწორა.



ვიქტორ დიდებულიძე

- მეათე ტურში, საკუთარ მოედანზე გათამაშების ლიდერი „ბურგ ან ბრესი“ დავამარცხეთ 20:12 - გვიამბობს **გიორგი ჩხაიძე** - ბურგელები ლიდერები კი არიან, მაგრამ ვერაფრით ვიტყვი, რომ რამეთი გამორჩეული, ძლიერი გუნდია. რაც ვნახეთ, ვფიქრობ, მეორე დივიზიონში გადასლას ვერ შეძლებენ.

**- „მასი“ წინა ორი სეზონი ჯიუტად მიიწევდა მე-2 დივიზიონისკენ. წლეულს კი სტარტი წარუმატებლად აიღეთ. რამაც ალბათ გუნდის ავტორიტეტიც შეარყია და დასახული მიზნის მიღწევის რწმენაც. რა არის ყოველივე ამის მიზეზი?**

- სეზონი ცუდად იმიტომ დავიწყეთ, რომ ბევრი ტრავმირებული მოთამაშე გვყავდა. ბევრმაც სეზონის წინ დატოვა კლუბი. ახალი, საკმაოდ ახალგაზრდა მოთამაშეები მოიწვიეს, რომლებსაც გამოცდილება აკლიათ. ყოველივე ამან დაღი დაასვა გუნდის თამაშს. თუმცა, ამჟამად მდგომარეობა გამოვასწორეთ. ზედიზედ ოთხი თამაში მოვიგეთ და ახლა მეოთხე ადგილზე ვართ.

**- რამ გამოიწვია მოკლე დროში გუნდის ასეთი გარდასახვა?**

- ბევრმა რამემ. ტრავმირებულები დაგვიბრუნდნენ. თანაც მწვრთნელიც გამოიცვალა. ვინც იყო, ის ჩვენს კლუბში ახალგაზრდულ გუნდს წვრთნიდა. კარგი შედეგიც ჰქონდა. მაგრამ მას უფრო ალმზდელობითი ვარჯიშები აქვს. ისე გამოდიოდა, რომ ამოდენა ხალხს ბავშვურ ვარჯიშებს გვაძლევდა. მერე, როგორც ჩანს თვითონვე მიხვდა, რომ არასორად მუშაობდა და გადადგა. ახლა გუნდს შერკინების და უკანა ხაზის მწვრთნელები ხელმძღვანელობენ. მათ ვიქტორ დიდებულიძე ეხმარება, რომელიც მოთამაშე მწვრთნელია. ვარჯიშებიც უკეთესი გვაქვს ახლა და შედეგიც სახეზეა.

**- გამოდის გუნდის აღმავლობის დასაწყისი ვიქტორის დამსახურებაა?**

- ასე გამოდის. ვიქტორმა მწვრთნელის კურსები დაამთავრა და ლიცენზია აიღო. ამ სეზონში მოთამაშე-მწვრთნელი იქნება და გამორიცხული არაა, მომავალი სეზონიდან გუნდი მას ჩააბარონ. გადაჭრით რაიმის თქმა ახლა ძნელია. ვნახოთ როგორ განვითარდება მოვლენები.

**- წლეულს მე-2 დივიზიონში გადასვლას არ გეგმავთ?**

- მე-2 დივიზიონში გადასვლის შანსი გასულ ორ სეზონში უფრო გვქონდა. დარწმუნებულიც ვიყავით, რომ შევძლებდით. ამჟამად, ამის იმედი ნაკლებად გვაქვს. გუნდის ხელმძღვანელობაც არ ამბობს, გინდათ თუ არა მე-2 დივიზიონში უნდა გადავიდეთო. თუ გამოგვივა ხომ კარგი, მაგრამ მაინც არ მგონია შევძლოთ, იმიტომ, რომ სათანადო კონტინგენტით არაა გუნდი დაკომპლექტებული.

**- მიმდინარე სეზონში თითქმის ყველა შეხვედრაში მიიღეთ მონაწილეობა, ერთის გარდა.**

- დიახ, ასეა. საბედნიეროდ ტრავმები აღარ მაწუხებს. ის ერთი თამაშიც იმიტომ გამოვტოვე, რომ ერთ-ერთ შეხვედრაში მეტოქეს უხერხულად დავეჯახე და კისრის მყესი მქონდა დაჭიმული. სერიოზული არაფერი იყო. ერთი თამაში დამასვენეს და მას მერე ისევ მწყობრში ვარ.

**- საინტერესოა, კარიერის დასრულებამდე „მასიში“ უნდა ითამაშოთ?**

- არა, რატომ? მსოფლიო თასის დასრულებისთანავე ელიტარული პირველი დივიზიონის „ბაიონში“ უნდა გადავსულიყავი, სადაც ამჟამად ავთანდილ კოპალიანი თამაშობს. ბასკების მწვრთნელი ჟან პიერ ელისალდეა, რომელიც იმ პერიოდში, როცა „ლა როშელში“ ვთამაშობდი, ამ გუნდის თავკაცი იყო. იქიდან მიცნობს, მსოფლიოზეც ნახა ჩემი თამაში და დამპირდა აუცილებლად გადაგიყვან ჩემთანო. მაგრამ არ გამოვიდა. „მასის“ ხელმძღვანელებმა არ გამიშვეს, შენი დაკარგვა არ გვინდაო. „ბაიონს“ ჯერ 90 ათასი ევრო მოთხოვეს ჩემში, რისი გადახდაც არარეალური იყო. მერე თქვეს, მაშინ კონტრაქტი გამოისყიდეთო და 50 ათას ევრომდე ჩამოვიდნენ. ამაზე ძალიან გავბრაზრდი, რატომ უნდა გადაიხადონ ამდენი, როცა ჩემი კონტრაქტი ამდენად არ ფასობს? მოკლედ, მოლაპარაკებები სამი-ოთხი კვირის მანძილზე მიმდინარეობდა. მერე „ბაიონის“ პრეზიდენტს მობეზრდა ეს ყველაფერი და საერთოდ შეწყვიტა საუბარი. ასე დავრჩი ისევ „მასიში“. თუმცა, ელისალდემა ბოდიშის მოხდით მითხრა, ვნახოთ, კიდევ დაგაკვირდებით და შეიძლება მომავალი სეზონიდან მაინც გადაგიყვანო „ბაიონშიო“.

**- საქართველოს ნაკრებს ახალი მწვრთნელი ეყოლება - ავსტრალიელი ტიმ ლეინი. რას ფიქრობთ მასზე?**

- კარგია, ასეთი გამოცდილი სპეციალისტი რომ დაგვინიშნეს. საფრანგეთში, მას „ტულონსა“ და „კლერმონში“ უმუშავია, ვფიქრობ, ბევრ ახალს, ყოველ შემთხვევაში იმაზე მეტს გვასწავლის რაც ვიცით. იმედი მაქვს ნაკრები პროგრესის გზას დაადგება.

ბესიკ ჯანგავაძე

მთავარი რედაქტორის სვეტი

# წარმატებული წელიწადი

ოპტიმიზმი, ქართველებს, განსაკუთრებით სპორტში, ნამდვილად არ გვაკლია. ზოგჯერ, თუმცა, ფუჭად გვიოცნებია, ამას ზეგავლენა არ მოუხდენია იგანაგ რწმენაზე. ოპტიმიზმი კი შარშანდელმა წარმატებებმა უფრო განგვიმტკიცა.

გასულ შემოდგომაზე წყვილი გამრაჯვება მოვიდა ბაქოდან - ანტიკურ ჭიდაობაში მსოფლიოში უძლიერესის სახელი მოიპოვეს რამაზ ნოზაძემ და დავით ბედინაძემ. 18-წლიანი „დუმილი“ დაარღვიეს ძიუდოისტებმაც. მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს დაუეფლა ირაკლი ცირეკიძე. ეს უკვე შორეულ ბრაზილიაში მოხდა, ასევე გასულ სექტემბერში. შარშანვე, ბელგრადში, ცირეკიძის თანაგუნდელმა ზაზა კედელაშვილმა ევროპის ჩემპიონატი მოიგო, მოგვიანრბით - ნაკრებმა გუნდური პირველობა, ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ოლიმპიური ჩემპიონი შოთა ხაბარელი კი კონტინენტის საუკეთსო მწვრთნელად აღიარეს. რამაზ ნოზაძეს ევროპის ჩემპიონის ოქროს მედალიც ხვდა წილად თანაგუნდელ მანუჩარ კვირკველიასთან ერთად. იყო, ცხადია, სხვა წარმატებებიც, მათ შორის ახალგაზრდებსა და ჭაბუკებში. ახალმა ტალანტებმა გაიბრწყინეს ფეხბურთში, კალათბურთში, რაგბში, ჩოგბურთში, სპორტის სხვა სახეობები.

მოკლედ, 2007 წლის მონაგარში, გამორჩეულად მაღალმა ყურადღებამ ქართული სპორტისადმი, სრულად ჰპოვა ასახვა. ამასთან, ნუ დაგვავიწყდება, რომ მონაპოვარმა და ზრუნვამ ხვალინდელ დღესაც განუმტკიცა საფუძვლები, როგორც მაღალი მიღწევების, ისე მასობრივ სპორტში. თუმცა, სპორტსკოლების შევიწროებით, ბევრი მოზარდი აღმოჩნდა ქუჩაში, პრობლემები კვლავ რჩება ბავშვთა სპორტში. რაღა თქმა უნდა, სასურველ შედეგს უთუოდ გამოიღებს ამდენი დიდი თუ პატარა სპორტული სარბიელი, დარბაზები, სპორტის სასახლეები და ცენტრები, სასწავლო-აღმზრდელობითი კერები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკები.

სპორტის განვითარების დონე და ტემპი ჩვენში ყოველთვის დამოკიდებული იყო სახელმწიფოს კეთილ ნებაზე. ახლა სტიმულს იძლევა ბიზნესსექტორიც. და მაინც, სულ სხვაა, როცა სპორტის თუნდაც ცალკეული მიმართულების განვითარება აისახება კონკრეტულ სახელმწიფო პროგრამაში. ამ თაოსნობასაც საფუძველი შარშან ჩაეყარა, როცა, ფაქტობრივად, არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, საგურამოში „ფეხბურთის, რაგბის და უმაღლესი სპორტული განათლების მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამის“ პრეზენტაცია გაიმართა. მოსალოდნელი არც ის იყო, რომ შარშან სახელმწიფო ბიუჯეტიდან 500 პროცენტით თუ გაიზრდებოდა სპორტის დაფინანსება, რის შედეგადაც დღეს სულ სხვა სპორტული ინრასტრუქტურა გვაქვს ქვეყანაში. და კიდევ, 18 ოლიმპიური ლიცენზიით შარშანდელი წელიწადი გარდატეხის წლად შევა ქართული სპორტის ისტორიაში.

თენგიზ გაჩეჩილაძე



დავით ბედინაძე



რამაზ ნოზაძე



ირაკლი ცირეკიძე

# ჩახნაშვილი პეკინისთვის იბრძოლებს, ბუდაპეშტში ახალგაზრდები ითამაშებენ



ოქსანა კალაშნიკოვა



ეკა გორგოძე


სოფიო ქვაცაბაია


თათია მიქაძე

ამ თვის ბოლოს, 30 იანვარს ბუდაპეშტში 15 ქვეყნის ქალთა ნაკრები და ფედერაციის თასზე, ევრო-აფრიკული ჯგფის პირველ ზონაში გაეჯიბრება ერთმანეთს. უნგრეთში საქართველოს ნაკრებიც ითამაშებს და შეეცდება შარშან მოპოვებული ადგილის შენარჩუნებას, თუმცა ამის გაკეთება ერთობ გაუჭირდებათ, რადგანაც ჩვენი გუნდი უძლიერესი შემადგენლობით არ იქნება.

არ ითამაშებს პირველი ნომერი **მაკა ჩახნაშვილი**, რაც ყველაზე დიდი დანაკლისია. მის მაგივრად ლიდერობას 17 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა** გასწევს; ოქსანას მხარს აუბამენ **თათია მიქაძე** (19 წლის), **სოფიო ქვაცაბაია** (19) და **ეკა გორგოძე** (16).

ამ ოთხეულიდან ფედერაციის თასზე თამაშის გამოცდილება არა აქვს მხოლოდ თათია მიქაძეს. იგი ორი წელი ჩამოშორებული იყო ჩოგბურთს, გასულ სეზონში დაბრუნდა და - წარმატებითაც: საქართველოს ჩემპიონი გახდა. ჩემპიონობამ კი ავტომატურად დაუბევა ადგილი გუნდში. კალაშნიკოვაც, ქვაცაბაიაც და გორგოძეც შარშან, მავრიკეთში ასპარეზობდნენ და დიდი წვლილიც შეიტანეს საერთო გუნდურ წარმატებაში, რის შემდეგაც მოხერხდა პირველ ჯგუფში გადასვლა. ამის მიუხედავად, რთული სათქმელია, ეყოფათ თუ არა გოგონებს შარშანდელი გამოცდილება და შეძლებენ თუ არა პირველ ჯგუფში ადგილის შენარჩუნებას. მიზეზი მარტივია - ამჯერად ბევრად უკეთეს გუნდებთან მოვგიწევს ჭიდილი, ვიდრე აქამდე იყო.

როგორ ემზადება საქართველოს ნაკრები წლის პირველი და უმნიშვნელოვანესი ფორუმისთვის, რატომ არ თამაშობს გუნდში მაკა ჩახნაშვილი? ამ და სხვა საინტერესო კითხვებზე, ნაკრების კაპიტანი ქალბატონი **ლალი ზერეკიძე** გვიპასუხებს.

- ოქსანა კალაშნიკოვას გარდა ყველა თბილისში ემზადება პირად მწვრთნელებთან. ოქსანა ბუდაპეშტში ვარჯიშობს ავსტრიის გუნდთან ერთდად. ავსტრიელებთან მეგობრული ურთიერთობები ჩამოგვიყალიბდა და შესაძლებელი გახდა წვრთნის ასეთი ფორმის გამონახვა. ოქსანა შესაძლოა, ბუდაპეშტშივე დარჩეს და იქ შემოგვიერთდეს, შესაძლოა ერთი კვირით ადრე ჩამოვიდეს თბილისში და ერთად გავემგზავროთ უნგრეთში. მთავარია, რომ გუნდის ყველა წევრი ჯანმრთელად და საუკეთესო სათამაშო ფორმასთან ახლოსაა. ტრავმები აღარ აწუხებს ეკა გორგოძეს - მას მარცხენა ხელზე ჰქონდა პრობლემები. ვგეგმავთ წინასაშეჯიბრო მზადებასაც - გუნდისთვის ერთობლივი ვარჯიშები მაინც აუცილებელია.

რაც შეეხება გუნდის გაახალგზარდავებას და მაკა ჩახნაშვილის არყოფნას, მოგახსენებთ, რომ მაკა ამჟამად ესპანეთში ცხოვრობს და ვარჯიშობს. იქ მას პირადმა მენეჯერმა ძალიან კარგი სპონსორი მოუნახა, რომელიც სრულად იღებს მაკას წვრთნის და ტურნირებზე გამგზავრების ხარჯებს. ასევე დაუქირავებს მწვრთნელთა ჯგუფს და მაკას მომზადება მოხდება ესპანეთის ერთ-ერთ საუკეთესო საჩოგბურთო აკადემიაში, რომელიც ქალაქ მალაგასთან მდებარეობს. ასეთი პირობები, არ გადავაჭარბებ და ვიტყვი, რომ მსოფლიოს პირველ ოცდაათეულში მყოფი ჩოგბურთელების პირობების დარია. ამ მხრივ ძალიან გაუმართლა მაკას და იმედია, წლევანდელი წელი წარმატებული ექნება, მაგრამ სწორედ ეს რომ მოხდეს, მენეჯერმა და სპონსორებმა გვთხოვეს, საკუთარი გეგმის მიხედვით მოემზადონ. ჩვენ უკვე გვქონდა საქმიანი და საკმაოდ კორექტული მოლაპარაკებები და შევთანხმდით, რომ ამ გეგმის განხორციელებაში მაკას ხელს შევუწყობდით. ჩვენთვის მთავარია, რომ ჩახნაშვილმა 1 ივლისისთვის ასეულში შეაღწიოს, რაც პეკინის ოლიმპიადაზე თამაშია შანსს მისცემს. გეგმის თანახმად ჩახნაშვილმა ამ დღეებში ავსტრალიისკენ უნდა აიღოს გეზი და ავსტრალიის ღია ტურნირის საკვალიფიკაციო ტურნირში ითამაშოს.

გუნდის დანარჩენი წევრები ახალგაზრდები კი არიან, მაგრამ მაინც აქვთ საკმაო გამოცდილება და მათი ნდობა შეიძლება.

**- პირველ ჯგუფში გადასვლა იოლი საქმე არ გახლავთ, ადგილის შენარჩუნება კი კიდევ უფრო რთულია. როგორ ფიქრობთ, შეძლებთ ამ შემადგენლობით პირველ ჯგუფში დარჩენას?**

- უმძიმესი ბრძოლების გადახდა მოგვიწევს და რომ არ დაგიმალოთ, შესაძლოა ადგილი ვერ შევინარჩუნოთ, მაგრამ უიმედოდ ნამდვილად არ ვართ და ბოლომდე ვიბრძოლებთ. ყველა შემთხვევაში გოგონებს უდიდესი სკოლისა და მაღალ დონეზე თამაშის გამოცდილების მიღების საშუალება ექნებათ. ცხადია, წილისყრაზეც ჰკიდია ბევრი რამ. თუკი ქვეჯგუფში სერბეთი და ვთქვათ, უნგრეთი შეგვხვდა, წარმატების ალბათობა ნულამდე ეცემა: სერბეთის გუნდში ელენა იანკოვიჩი და ანა ივანოვიჩი ითამაშებენ - ორივე ვარსკვლავია და მათთან შანსი არ გვექნება. სხვებთან კი ვიბრძოლებთ, მაგრამ ჩემი აზრით, სუსტი გუნდი არცერთი არ არის.

**- აკლიმატიზაციისთვის ადრე ჩასვლას ხომ არ აპირებთ?**

- ორი დღით ადრე ჩავდივართ, 28 იანვარს. 29-ში წილისყრაა, 30-ში კი - პირველი ტური. ადრე ამ ეტაპის თამაშები გაზაფხულზე, ღია ცის ქვეშ იმართებოდა. წელს შეცვალეს და რახან ზამთარია, დარბაზში მოვგიწევს ასპარეზობა. ასეთი ტიპის საფარზე თამაშს უკვე მიჩვეულები არიან ქართველი ჩოგბურთელები. ვფიქრობ, ორი დღე საფარის შესაჩვევად სრულებით საკმარისია.

შეგახსენებთ, ტურნირი 30 იანვარიდან 2 თებერვლამდე ტურნირი ბუქარესტის „სიმა სპორტ“ დარბაზში გაიმართება, კორტის საფარი ხალიჩაა (Gerflor Taraflex), 15 გუნდი 4 ჯგუფში განაწილდება (ერთ ჯგუფში სამი ნაკრები იქნება). ჯგუფის გამარჯვებულები 2 თებერვალს ფლეი-ოფში ითამაშებენ მსოფლიო ჯგუფის ფლეი-ოფში გამსვლელი ორი საგზურისთვის. იმავე დღეს ჯგუფების ბოლოადგილოსნებიც დაწყვილდებიან, ორი დამარცხებული კი გაისად ევროპა-აფრიკის II ზონაში დაქვეითდება. საქართველოს ნაკრების გარდა ითამაშებენ: ბელარუსი, ბულგარეთი, დანია, დიდი ბრიტანეთი, უნგრეთი, ლუქსემბურგი, ჰოლანდია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სერბეთი, სლოვენია, შვედეთი და შვეიცარია.

**ზვიად შათირიშვილი**

## თავისუფალი ჭიდაობა

# ძიუდო თბილისს, ჭიდაობა ბათუმს

საქმეს ისეთი პირი უჩანს, საქართველოს ჩემპიონატი მაინც 26-27 იანვარს ჩატარდება. მოგეხსენებათ, ზუსტად ამავე რიცხვებში თბილისში ძიუდოში მსოფლიო თასიც იმართება, რომელიც სალიცენზიო ტურნირიცაა და, წესით, ძალზე საინტერესო შეჯიბრება უნდა გამოდგეს. ამ პირობებში ყველაზე მეტად ჭიდაობაზე მწერალი ჟურნალისტები ვზარალდებით, რადგან ორ საინტერესო ტურნირს შორის არჩევანის გაკეთება გვიწევს.



ლუკა კურტანიძეს თვის ბოლოს საქართველოს ჩემპიონატი უწევს

ჩემპიონატის გადატანის წინააღმდეგი მწვრთნელები ყოფილან, რადგან თურმე ეს გეგმებს აურევთ. წლევანდელი სეზონის მოსამზადებელი გეგმა მათ ადრევე შეიმუშავეს და ამ ჩემპიონატის შემდეგ მალევე უწევთ ტურნირზე წასვლა და მიზეზად სწორედ ამას ასახელებენ, რომ კალენდარის გაწელვა-შეკვეცით იმ შეჯიბრებებისთვის ხეირიანად მომზადებას ვერ მოასწრებენ. ბუნებრივია, ამაში არის ლოგიკა - გვესმის, რომ ოლიმპიადის სეზონია და ყოველი დღე გაწერილია, რომ მწვრთნელები ყოველ დღეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ. მწვრთნელთა ერთ-ერთი მოტივი ისიცაა, რომ ეს ტურნირი, სავარაუდოდ, ბათუმში ჩატარდება, ანუ ქომაგი დიდად არ დაზარალდება - თბილისელ გულშემატკივართა უმრავლესობა ისედაც ვერ წავა ბათუმში და ძიუდოს დაესწრება, ჭიდაობას კი ბათუმელები უქომაგებენ, მაგრამ აქ ჩვენი - ჟურნალისტების პრობლემაა. ჩვენს უკან სწორედ ის ქომაგი დგას, რომლისთვისაც ტარდება ეს ჩემპიონატი. ამდენად, ჩვენი ინტერესების გათვალისწინება მათი ინტერესის გათვალისწინებაა.

ამასობაში თითქმის საბოლოოდ გაირკვა, რომ ორივე სტილით მოჭიდავეთა ეროვნული ჩემპიონატი ბათუმში ჩატარდება. შეგახსენებთ, რომ „ანტიკოსთა“ პირველობა 2-3 თებერვალს გაიმართება. ძალიან კარგია, რომ ფედერაცია ისევ აგრძელებს ასეთი მნიშვნელოვანი შეჯიბრებების რეგიონებში გადატანის ტენდენციას, რაც იქაური მაყურებლისთვის მართლაც დიდი ზეიმია, რაშიც იმავე ბათუმში შარშან გამართულმა ქვეყნის პირველობებმა თვალნათლივ დამარწმუნა, მაგრამ რაღაც კონსესუსი თუ მოიძებნება, მთლად უკეთესი. ეს ისევ ჭიდაობას წაადგება, რადგან ამ ტურნირთა დამთხვევის შემთხვევაში ჩემი კოლეგების უმეტესობა აქცენტს ძიუდოზე გააკეთებს, როგორც საერთაშორისო და სალიცენზიო ტურნირზე. არადა, მეორე შეჯიბრებაც ძალზე საინტერესოა. სხვა თუ არაფერი, დიდი შანსია, იქ ისევ ვიხილოთ **გიორგი გოგშელიძისა** და **ლუკა კურტანიძის** დაპირისპირება. თუმცა ჩემპიონატი უამისოდაც საინტერესო იქნება.

**ირაკლი თავაძე**


სალომე დევიძე

# სეზონი დევიძემ გახსნა

ITF-ის ეგიდით წლის პირველი ტურნირი ფლორიდის შტატში ქალაქ ტამპა ბეიში იმართება. ტურნირის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარია. საკვალიფიკაციო წრეში 21 წლის **სალომე დევიძე** (592) მონაწილეობდა. პირველ წრეში სალომე პირველ ნომრად განთესილ ჰოლანდიელ **მიშელ ხერარდსს** (319) შეხვდა, ქართველმა 23 წლის ფავორიტს სამ სეტში აჯობა - 6:2, 2:6, 6:3. მეორე საკვალიფიკაციო წრეში დევიძე ახალგაზრდებში მსოფლიოს მესამე ჩოგან სლოვაკ **კრისტინა კუცოვას** (584) უნდა შეხვედროდა, 17 წლის კუცოვა ახალგაზრდული ამერიკის ღია პირველობის გამარჯვებულია. სამწუხაროდ, მატჩი დევიძის უარის გამო არ შედგა. კვირის ბოლოს სეზონში **ოქსანა კალაშნიკოვაც** ჩაერთვება, ის შტუტგარტის (გერმანია, 10 ათასი დოლარი) ტურნირის საკვალიფიკაციო წრეში ითამაშებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**დალასი–მინესოტა 3:1**

**0:0, 2:1, 1:0**

**გოლები:** 1:0 ნისკანენი-4 (ჰალპერნი-9, ოტი-8), 1:1 პერიში-12 (გაბორიკი-19, კ. იონსონი-12), 2:1 მიეტინენი-8 (მოროუ-25, რიბეირო-24), 3:1 მიეტინენი-9 (რიბეირო-25, მოროუ-26).

**ედმონტონი–აილენდერსი 4:0**

**0:0, 3:0, 1:0**

**გოლები:** 1:0 პემსკი-11 (გილბერტი-8, პიტკანენი-7), 2:0 ჰორკოფი-18 (პემსკი-22, პენერი-13), 3:0 რისონერი-5 (სტოლი-13, გილბერტი-9), 4:0 სტოლი-6 (ჰორკოფი-21, პენერი-14).

**ანაჰაიმი–ნეშვილი 5:2**

**0:1, 4:0, 1:1**

**გოლები:** 0:1 ჟიდლიცკი-3 (კოისტინენი-8), 1:1 მოენი-2 (რ. კარტერი-2, ო'დონელი-5), 2:1 კუნიტცი-14 (შნაიდერი-13, პასკინსი-10), 3:1 პრონგერი-9 (გეტცლაფი-29, ს. ნიდერმაიერი-5), 4:1 პერი-22 (კუნიტცი-15, უეიტი-10), 4:2 დუმონი-15 (არნოტი-20, ჟიდლიცკი-21), 5:2 გეტცლაფი-17 (პერი-13, ბერტუცი-10).

### კვირის სამი ვარსკვლავი

გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებს შორის ორი მეკარეა - პირველი ვარსკვლავი **მენი ლეგასი** "სენტ ლუის ბლუზიდან" და **ტაი კონკლინი** "პიტსბურგ პინგვინზიდან". მეორე ვარსკვლავის სტატუსი კი, "კალგარი ფლეიმზის" მარცხენა გარემარბ **კრისტიან ჰუსელიუსს** ერგო.

ლეგასმა გასულ კვირას სამი მატჩი ჩაატარა და ორი შათაუტი მიითვალა. ამ სეზონში მას 15 მოგება დაუგროვდა, საშუალოდ მატჩში კი 2.09 გოლს უშვებს.

კრისტიან ჰუსელიუსი გასული კვირის საუკეთესო ბომბარდირი იყო - მან ოთხ მატჩში 5 გოლი და ამდენივე საგოლე პასი მიითვალა, მისმა "კალგარიმ" კი, ოთხივე შეხვედრის მოგება მოახერხა.

დაბოლოს, კვირის მესამე ვარსკვლავი, ტაი კონკლინი საშუალოდ მატჩში 0. 97 შაიბას უშვებდა, ამას გარდა, მის ანგარიშზე ერთი შათაუტიც მოდის.

კონკლინი "პიტსბურგის" სათადარიგო მეკარეა. ამ სეზონში მას შვიდჯერ მოუნია "პინგვინების" კარის დაცვა და შვიდივეში გუნდმა გამარჯვებას მიაღწია.

### აღმოსავლეთი

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ოტავა* | 41 | 27 | 10 | 4 | 58 |
| 2. ნიუ ჯერსი* | 41 | 23 | 15 | 3 | 49 |
| 3. კაროლინა* | 44 | 21 | 19 | 4 | 46 |
| 4. პიტსბურგი | 41 | 23 | 16 | 2 | 48 |
| 5. მონრეალი | 41 | 20 | 13 | 8 | 48 |
| 6. ბოსტონი | 41 | 21 | 16 | 4 | 46 |
| 7. რეინჯერსი | 42 | 20 | 17 | 5 | 45 |
| 8. ფილადელფია | 39 | 20 | 15 | 4 | 44 |
| 9. აილენდერსი | 41 | 20 | 17 | 4 | 44 |
| 10. ატლანტა | 43 | 21 | 21 | 1 | 43 |
| 11. ბაფალო | 40 | 19 | 18 | 3 | 41 |
| 12. ფლორიდა | 42 | 19 | 20 | 3 | 41 |
| 13. ტორონტო | 42 | 16 | 18 | 8 | 40 |
| 14. ვაშინგტონი | 42 | 17 | 20 | 5 | 39 |
| 15. ტამპა ბეი | 42 | 15 | 22 | 5 | 35 |

### დასავლეთი

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. დეტროიტი* | 43 | 32 | 8 | 3 | 67 |
| 2. სან ხოსე* | 41 | 23 | 12 | 6 | 52 |
| 3. კალგარი* | 43 | 22 | 14 | 7 | 51 |
| 4. დალასი | 44 | 24 | 16 | 4 | 52 |
| 5. ვანკუვერი | 41 | 23 | 14 | 4 | 50 |
| 6. ანაჰაიმი | 45 | 22 | 17 | 6 | 50 |
| 7. მინესოტა | 42 | 23 | 17 | 2 | 48 |
| 8. კოლორადო | 41 | 22 | 16 | 3 | 47 |
| 9. სტ. ლუისი | 39 | 20 | 14 | 5 | 45 |
| 10. კოლამბუსი | 42 | 19 | 17 | 6 | 44 |
| 11. ფინიქსი | 40 | 21 | 18 | 1 | 43 |
| 12. ნეშვილი | 41 | 20 | 19 | 2 | 42 |
| 13. ედმონტონი | 44 | 19 | 21 | 4 | 42 |
| 14. ჩიკაგო | 41 | 19 | 19 | 3 | 41 |
| 13. ლოს ანჯელესი | 43 | 15 | 26 | 2 | 32 |

* - დივიზიონის ლიდერი

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 62 (28+34) |
| იგინლა (კალ) | 60 (32+28) |
| კოვალჩუკი (ატლ) | 59 (34+25) |
| კროსბი (პიტ) | 57 (17+40) |
| ჰიტლი (ოტა) | 55 (25+30) |
| ალფრედსონი (ოტა) | 55 (25+30) |
| ზეტერბერგი (დეტ) | 54 (26+28) |
| ოვეჩკინი (ვაშ) | 52 (32+20) |
| სპეცა (ოტა) | 52 (15+37) |
| დაციუკი (დეტ) | 52 (16+36) |

### გოლეადორები

| | |
|---|---|
| კოვალჩუკი (ატლ) | 34 |
| იგინლა (კალ) | 32 |
| ოვეჩკინი (ვაშ) | 32 |
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 28 |
| ზეტერბერგი (დეტ) | 26 |
| ალფრედსონი (ოტა) | 25 |
| ჰიტლი (ოტა) | 25 |
| ე. სტაალი (კარ) | 22 |
| პერი (ანა) | 22 |
| ბოიესი (სტ-ლუი) | 21 |
| ნეში (კოლამბ) | 21 |
| რიბეირო (დალ) | 21 |
| გაბორიკი (მინ) | 21 |
| შარპი (ჩიკ) | 21 |

### ასისტენტები

| | |
|---|---|
| კროსბი (პიტ) | 40 |
| სპეცა (ოტა) | 37 |
| ლიდსტრომი (დეტ) | 36 |
| დაციუკი (დეტ) | 36 |
| სავარი (ბოს) | 34 |
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 34 |
| ჰ. სედინი (ვან) | 34 |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 33 |
| ჯ. ტორნტონი (ს-ხოს) | 33 |



NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# კვირის მოთამაშე

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ კვირის საუკეთესო მოთამაშეებად "კლივლენდ კავალიერზის" ფორვარდი **ლებრონ ჯეიმსი** და "დენვერ ნაგეტსის" მცველი **ალან აივერსონი** დაასახელა.

ჯეიმსმა გასულ კვირას "კლივლენდს" 3-დან სამი მატჩი მოაგებინა. NBA-ის ვარსკვლავი საშუალოდ მატჩში 33.0 ქულას, 8.0 მოხსნას, 8.3 პასსა და 2.3 ჩაჭრას აგროვებდა. სამიდან ორ შეხვედრაში ლებრონმა ორმაგი დუბლი შეასრულა, "ტორონტოსთან" მატჩში კი, საკლუბო რეკორდი დაამყარა, როცა ერთ მეოთხედში 24 ქულა დააგროვა.

დასავლეთის რჩეულის, ალენ აივერსონის გუნდსაც იგივე შედეგები ჰქონდა, რაც "კლივლენდს" (სამიდან სამი მოგება), ხოლო თავად ვეტერანი მცველი საშუალოდ 33.3 ქულას იხვეჭდა, რაც გასულ კვირას საუკეთესო შედეგი იყო.

კვირის საუკეთესო მოთამაშის ტიტულზე პრეტენზიას აცხადებდნენ: **პოლ პირსი** ("ბოსტონი"), **ბენ გორდონი** ("ჩიკაგო"), **დირკ ნოვიცკი** ("დალასი"), **რიჩარდ ჰამილტონი** ("დეტროიტი"), **კრის პოლი** ("ნიუ ორლეანი") და **ლამარკუს ოლდრიჯი** ("პორტლენდი").

**ფინიქსი–დენვერი 137:115**

**46:34, 32:25, 28:31, 31:25**

**ფინიქსი:** მერიონი (27 ქ. 14 მ. 4 პ. 6 დ), ა. სტაუდმაიერი (20 ქ. 10 მ. 3 დ), ჰილი (20 ქ. 5 მ), ნეში (13 ქ. 10 პ), ბარბოზა (12 ქ. 6 პ), დიაო (4 ქ. 6 პ).

**დენვერი:** აივერსონი (32 ქ), ენტონი (20 ქ. 14 მ), კემბი (13 ქ. 6 მ. 3 დ), ნენე ილარიო (12 ქ. 9 მ), კ. მარტინი (11 ქ).

**გ. სტეიტი–ს. ანტონიო 130–121 (ო)**

**17:19, 34:25, 28:30, 33:38, 18:9**

**გოლდენ სტეიტი:** ბ. დევისი (34 ქ. 6 მ. 14 პ), ს. ჯექსონი (29 ქ), ელისი (16 ქ. 9 მ), აზუბუიკე (16 ქ. 6 მ), ბიედრინსი (13 ქ. 10 მ. 2 ჩ. 2 დ).

**სან ანტონიო:** დანკანი (32 ქ. 13 მ), პარკერი (31 ქ. 8 პ), ჯინობილი (20 ქ. 6 მ. 5 პ), ფინლი (14 ქ), უდოკა (13 ქ).



ოთხი მთის სერია

# აჰონენმა ოთხი მთა მეხუთედ მოიგო

ლეგენდარული ფინელი **იანე აჰონენი** გახდა პირველი ტრამპლინიდან მხტომელი, ვინც ოთხი მთის ტურნირი მეხუთედ მოიგო. ავსტრიის ბიშოფსჰოფენში ჩატარებული ზედიზედ ორი ეტაპის მოგებით, აჰონენმა უკან მოიტოვა ამ სეზონის გამორჩეული ლიდერი, ავსტრიელი **თომას მორგენშტერნი**, ვისაც მსოფლიო თასის სერიის პირველი რვა ეტაპიდან შვიდი მოგებული აქვს.

30 წლის აჰონენს ამ სეზონის დაწყებამდე ოთხი მთა ოთხჯერ (1999, 2003, 2005 და 2006 წლებში) ჰქონდა მოგებული. მის გარდა, ეს პრესტიჟული ტურნირი ოთხჯერ ლეგენდარულ გერმანელ **იენს ვაისფლოგსაც** მოუგია (1984-1996 წლებში). ბოლო ეტაპის წინ, თითო ეტაპი მოგებული ჰქონდათ მორგენშტერნს, მის თანამემამულე **გრეგორ შლირენცაუერს** და აჰონენს. საბოლოო გამარჯვებისთვის ბრძოლასაც ეს სამი მხტომელი აგრძელებდა. ფავორიტებად უმეტესობა ავსტრიელებს მიიჩნევდა. თუმცა...

*"რა მოხდა, ზუსტად ამის თქმა არ შემიძლია. მაგრამ ფაქტია, რომ ბოლო ორ ეტაპზე ნახტომები ადვილად გამომდიოდა"*, - ამბობს ფინელი მხტომელი, ვისაც ოთხი მთის მესამე ეტაპის მოგებამდე, ზედიზედ ორ სეზონში, მსოფლიო თასზე ერთი ასპარეზობაც არ ჰქონდა მოგებული.

ტურნირის მეოთხე ეტაპზე ხელი მოეცარა შლირენცაუერს, ვისაც პირველი ცდა გაუფუჭდა, რის გამოც, მას მეორე ცდის შესრულების საშუალება აღარ მიეცა. მისი ბედი გაიზიარეს ყოფილმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, შვეიცარიელმა **სიმონ ამანმა** და ნორვეგიელმა **ტომ ჰილდემ**. მათგან განსხვავებით, უშეცდომოდ იასპარეზეს აჰონენმა და მორგენშტერნმა, რომლებმაც შესაბამისად, პირველი და მეორე ადგილები დაიკავეს. მესამეზე კი გერმანელი **მიხაელ ნოიმაიერი** გავიდა.

აღსანიშნავია, რომ აჰონენმა ოთხი მთის ტურნირში მონაწილეობა 16-ჯერ მიიღო, მსოფლიო თასზე კი სულ 34 ეტაპი აქვს მოგებული. ბიშოფსჰოფენში გამარჯვებით, მან 1085.8 ქულას მოუყარა თავი, რაც ასევე ოთხი მთის ტურნირების ისტორიაში სარეკორდო მაჩვენებელია.

*"იანე ყველაზე სტაბილური მხტომელია. მან რთულ მეტეო პირობებს ყველაზე კარგად აუღო ალღო და დამსახურებულად გაიმარჯვა"*, - განაცხადა ვაისფლოგმა.

თავის მთავარ კონკურენტს ტრამპლინიდან ხტომების ლეგენდა უწოდა მორგენშტერნმა: *"ჩემთვის დიდი პატივია ის, რომ ამ კაცთან ერთად, კვარცხლბეკზე დავდექი"*, - განაცხადა ავსტრიელმა, ვინც ოთხი მთის ტურნირი მეორე ადგილზე დაასრულა, აბსოლუტურში კი კვლავაც დამაჯერებლად ლიდერობას.

დაბოლოს, ოთხი მთის ტურნირის ისტორიაში პირველად მოხდა, რომ ორი ეტაპი ერთსადაიმავე ტრასაზე ჩატარდა. მესამე ეტაპი ავსტრიის ინსბრუკში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ძლიერი ქარების გამო, ეტაპი ბიშოფსჰოფენში გადაიტანეს, სადაც ზედიზედ ორი ეტაპი ჩატარდა და ორივე ფინელი მხტომელის ტრიუმფით დასრულდა.




იანე აჰონენი

ახალი ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

### მეომრებმა მბენგა გაუშვეს

"გოლდენ სტეიტ უორიორზმა" გადაწყვიტა უარი თქვას ცენტრალური თავდამხსმელის, დიჯეი ილუნგა-მბენგას სამსახურზე, რომელმაც ამ სეზონში 16 მატჩი ჩაატარა.

"დალას მავერიქსის" ყოფილმა რეზერვისტმა "გოლდენ სტეიტთან" კონტრაქტი 17 ნოემბერს გააფორმა. აფრიკელი კალათბურთელი საშუალოდ მატჩში 1.2 ქულასა და 1.9 მოხნას აგროვებდა.

კლუბმა მბენგასთან კონტრაქტის განყვეტა ხუთშაბათამდე გადაწყვიტა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალაში შევიდოდა ხელშეკრულების ის პუნქტი, რომლის მიხედვითაც, კალათბურთელს გუნდში სეზონის ბოლომდე ექნებოდა გარანტირებული ადგილი.

სავარაუდოდ, "უორიორზში" მბენგას **კოსტა პეროვიჩი** შეცვლის, რომელიც D-ლიგიდან უკვე გამოიძახეს.

### რაიდერი ისევ დაიჭირეს

ორშაბათს, ამერიკის პოლიციამ დააკავა წარსულში ცნობილი კალათბურთელი **აიზია რაიდერი**. პოლიციამ ტაქსის მძღოლსა და მგზავრს შორის ჩხუბის შესახებ მიიღო შეტყობინება. როგორც შემდეგ გაირკვა, ეს მგზავრი რაიდერი ყოფილა.

კალათბურთელს ბრალი წაუყენეს იარაღის უკანონო შენახვასა და ქურდობაში. პოლიციის ცნობით, რაიდერი, რომელმაც კარიერა 2002 წელს დაასრულა, პატიმრობაში იმყოფება.

სხვათა შორის, 36 წლის აიზია ადრეც არაერთხელ აღმოჩენილა ციხეში. 1993 წელს, ის "მინესოტამ" დრაფტის მეხუთე ნომრად აირჩია.

### პიპენი მთავარ მწვრთნელობაზე ოცნებობს

როგორც გუშინ ვიტყობნებოდით, "ჩიკაგო ბულზის" რიგებში NBA-ის ექვგზის ჩემპიონმა **სკოტი პიპენმა** ფინეთის ჩემპიონატში ორი მატჩი ჩაატარა, რითაც კვლავ მოხვდა პრესის ყურადღების ცენტრში. ერთ-ერთ ინტერვიუში ლეგენდარული კალათბურთელი აცხადებს, რომ მომავალში სამწვრთნელო კარიერის დაწყების დიდი სურვილი აქვს.

*"ჩემთვის ხშირად მოუმართავთ წინადადებით გავმხდარიყავი რომელიმე მწვრთნელის ასისტენტი, მაგრამ ეს ჩემთვის შესაფერისი ვარიანტი არ არის. დამოუკიდებლად მუშაობა მსურს. იმედი მაქვს, მალე დადგება ის დღე, როცა მე რომელიმე გუნდს ჩავუდგები სათავეში. მანამდე კი, შესაფერის წინადადებას დაველოდები"*, - განუცხადა პიპენმა სააგენტო "როიტერს".

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ, მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩა სკოტის მშობლიური კლუბი "ჩიკაგო ბულზი" და დათხოვნილი **სკოტ სკაილზის** შემცვლელად პიპენიც მოიხსენიეს, თუმცა მისი მთავარ მწვრთნელად დანიშვნა თავად მოთამაშეებმა არ მოისურვეს და სკოტის "ჩიკაგოში" მისვლის ვარიანტი თავად კლუბის ხელმძღვანელებმა გამორიცხეს.

### ჯეიმსის ახალი რეკორდი

"კლივლენდ კავალიერზის" ლიდერმა **ლებრონ ჯეიმსმა** "ტორონტო რეპტორზთან" მატჩში (93:90) საკლუბო რეკორდი დაამყარა. NBA-ის ვარსკვლავმა თავის გუნდს 39 ქულა შესძინა, აქედან 24 ქულა მან ბოლო მეოთხედში დააგროვა, თანაც თამაშიდან 10-დან 8 ტყორცნა შეასრულა ზუსტად. ჯეიმსამდე "კლივლენდში" არცერთ კალათბურთელს არ დაუგროვებია ერთ მეოთხედში ამდენი ქულა.

### ბიედრინსმა შაქს გაუსწრო

რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთ ბოლო ტურში, "გოლდენ სტეიტის" ლატვიელმა ცენტრმა **ანდრის ბიედრინსმა** ლეგენდარული **შაკილ ო'ნილის** რეკორდი გააუმჯობესა. "ნიუ ორლეანთან" მატჩი ბიედრინსისთვის ზედიზედ 28-ე იყო, როცა ის თამაშიდან ტყორცნების 50 პროცენტზე მეტს ათავსებდა კალათში.

თუმცა ლატვიელის ზუსტმა თამაშმა "გოლდენ სტეიტს" ვერ უშველა და მან 104:116 წააგო "ჰორნეთსთან".

### ბიბი კლივლენდში გადავა?

ამერიკული პრესა ავრცელებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ "საკრამენტოს" მცველმა **მაიკ ბიბიმ** შესაძლოა "კლივლენდში" გააგრძელოს კარიერა. გასულ სეზონში, "კავალიერზის" მენეჯმენტი სამჯერ ცდილობდა ამ კალათბურთელის ხელში ჩაგდებას, მაგრამ ყველა ცდა უშედეგო აღმოჩნდა. არაოფიციალური ცნობით, "საკრამენტოში" ბიბის გარშემო საკმაოდ ნერვიული სიტუაციაა შექმნილი და კალათბურთელი თანახმაა სხვა გუნდში გადასვლაზე.

თუ ორივე მხარე ტრეიდზე მოილაპარაკებს, "კლივლენდს" კალიფორნიაში რამდენიმე კალათბურთელის გაშვება მოუწევს, რომელთა ჯამური ხელფასი დაახლოებით 14 მილიონი დოლარს იქნება. არ გამორიცხავენ, რომ ამ სიაში შესაძლოა მოხვდნენ **დრიუ გუდენი, ლარი ჰიუზი, ერიკ სნოუ, შენონ ბრაუნი** და **დემონ ჯონსი**. "საკრამენტოს" მხრიდან ტრეიდი შეიძლება შეეხოს **კენი ტომასს**.

### არენასი თებერვლის ბოლოს დაბრუნდება

როგორც ცნობილია, "ვაშინგტონ უიზარდსი" წლევანდელ სეზონს თავისი ლიდერის, **გილბერტ არენასის** გარეშე ატარებს. გასული სეზონის ერთ-ერთმა საუკეთესო სნაიპერმა 21 ნოემბერს მუხლზე ოპერაცია გაიკეთა, რის შემდეგაც ექიმებმა განაცხადეს, რომ კალათბურთელი სამი თვე ვერ გავიდოდა მოედანზე. კლუბის ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ისინი არ დააჩქარებენ მოვლენებს და სავარაუდოდ, არენასს თებერვლის ბოლოს ან მარტის დასაწყისში მისცემენ მოედანზე გასვლის უფლებას.

*"ყველას აინტერესებს, როგორ ვგრძნობ თავს. ვეთანხმები გუნდის შეფობას - მოედანზე დაბრუნებას არ ვიჩქარებ, რადგან არ მინდა მუხლთან დაკავშირებული პრობლემები კარიერის ბოლომდე გამყვეს. მხოლოდ 100-პროცენტიანი მზადყოფნის შემთხვევაში გავალ მოედანზე"*, - ამბობს გილბერტ არენასი.

### ფორდი სათამაშოდ მზადაა

"ტორონტო რეპტორზის" შემტევი მცველი **ტი ჯეი ფორდი** მალე დაუბრუნდება მოედანს. შეგახსენებთ, რომ 24 წლის კალათბურთელი 11 დეკემბერს საავადმყოფოში მოათავსეს. ექიმებს ხერხემლისა და თავის მძიმე ტრავმებზე ჰქონდათ ეჭვი, მაგრამ საბედნიეროდ, მათი ვარაუდი არ გამართლა. ფორდმა ეს დაზიანებები "ატლანტას" დებიუტანტ ცენტრთან, **ელ ჰორფორდთან** შეჯახებისას მიიღო.

*"ვგრძნობ, რომ სულ მალე შევძლებ მოედანზე დაბრუნებას. ეს ნამდვილად არ არის ის ტრავმა, რომლის გამოც შეიძლება სეზონი გამოტოვო"*, - განაცხადა ტორონტოელმა, რომელიც იმ ინციდენტის შემდეგ, ერთი პერიოდი კარიერის დასრულებას აპირებდა.



ლეიტონ ჰიუიტი

ავსტრალიის ღია პირველობის წინ

# ჰიუიტი გადამწყვეტი ნახტომისთვის ემზადება

დიდი სლემის პირველი ჩემპიონატის - ავსტრალიის ღია პირველობის სტარტამდე კვირაზე ნაკლები რჩება და უკვე ზედიზედ მერამდენე წელია, მასპინძელი გულშემატკივრების მთავარ იმედად ლეიტონ ჰიუიტი რჩება. ახალი სეზონის წინ, 26 წლის ჩოგბურთელმა გამოაცხადა, რომ მთელი კარიერის მანძილზე არასდროს ყოფილა ასეთ კარგ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ფორმაში, რითაც თავისი პიროვნების მიმართ ინტერესი ერთიორად გაზარდა.

ჰიუტი ეროვნულ გმირად 1999 ნელს, რუსეთის ნაკრების წინაალმდეგ დევისის თასის ნახევარფინალის დროს იქცა. მაშინ, ბრისბენის სწრაფ კორტზე მან ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა **მარატ საფინი** და **ევგენი კაფელნიკოვი**. 18 წლის ავსტრალიელმა პუბლიკა თამაშის "თავხედური" მანერით, მონდომებითა და თავდაჯერებულობით გააოცა. ის არ გამოირჩეოდა განსაკუთრებულად ძლიერი დარტყმებით, თუმცა მისი მოქმედება მეტად ემოციური და შთამბეჭდავი იყო. სხვათა შორის, ხშირად ავსტრალიელი ზედმეტადაც კი გამოხატავდა ემოციებს. ასე მაგალითად, 2000 ნელს, ლისაბონში მასტერსის თასის გათამაშების დროს, ესპანელმა **ალექს კორეჩამ** ჰიუიტი დაამარცხა და მიუხედავად ამისა, მას მატჩის შემდეგ ხელი მაინც არ ჩამოართვა, თავისი გადაწყვეტილება კი ასე ახსნა: *"მესმის, რომ მოგება ძალიან სასიამოვნოა. მაგრამ არ შეიძლება ყოველი დარტყმის შემდეგ გიჟივით ყვირილი!"*

ლეიტონი მზად იყო დიდი წარმატებებისთვის, მაგრამ მას გამოცდილების დაგროვება სჭირდებოდა. დიდ ჩოგბურთელად ჩამოყალიბების პროცესი იმაზე ხანმოკლე აღმოჩნდა, ვიდრე ვარაუდობდნენ და უკვე 2001 ნელს, ავსტრალიელმა აშშ-ის ღია პირველობის მოგება შეძლო. ფინალში მან შანსი არ დაუტოვა ამერიკელ **პიტ სამპრასს** (7:6, 6:1, 6:1). თვით ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი **ბილ კლინტონი**, რომელიც იმ საღამოს თავისი თანამემამულის საქომაგოდ იყო მისული, აღფრთოვანებას ვერ მალავდა ავსტრალიელის მოქმედებით: *"ჰიუიტი უბრალოდ განსაცვიფრებლად თამაშობდა. ის ახალგაზრდაა, აზარტული და ძალიან საიმედო. გარდა ამისა, ამ ბიჭს სწრაფი ფეხები აქვს და მისი ბევრ სპრინტერსაც კი შეშურდება"*.

ჰიუიტმა 2001 ნელს სეზონის შემაჯამებელი მასტერსის თასიც მოიგო და 19 ნოემბერს, 20 წლის ასაკში სათავეში ჩაუდგა ATP-ის კლასიფიკაციას. ის ყველაზე ახალგაზრდა ჩოგბურთელი გახდა, ვინც პირველი ჩოგანის სტატუსი მოიპოვა.

2002 წლის უიმბლდონზე ჰიუიტი უკვე ფავორიტის რანგში ჩავიდა. ამასთან, საჩოგბურთო სამყაროში "ცუდი ბიჭის" რეპუტაციითაც სარგებლობდა, რომელიც მუდმივად კამათობდა მსაჯებთან და ყოველი მოგებული ქულით შემდეგ ყვიროდა: "Come on!". ასეთმა საქციელმა ბრიტანელ გულშემატკივრებს შორის არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია, მაგრამ პირველი ჩოგანის სტატუსი აიძულებდა მათ პატივისცემა გამოეხატათ ავსტრალიელი ვარსკვლავის მიმართ. მეოთხედფინალში, ჰიუიტმა მხოლოდ მეხუთე სეტში დაძლია ჰოლანდიელი **სიენგ შალკენის** წინაალმდეგობა (6:2, 6:2, 6:7, 1:6, 7:5), დანარჩენ შეხვედრებში მეტოქეებისთვის სეტიც არ დაუთმია და დამაჯერებლად მოიგო ყველაზე პრესტიჟული ტურნირი.

საჩოგბურთო თვალსაზრისით, მომდევნო წელი იმედგაცრუებისა იყო, სამაგიეროდ ლეიტონმა პირად ცხოვრებაში მოიპოვა წარმატება. ბელგიელმა ჩოგბურთელმა **კიმ კლაისტერსმა** და ჰიუიტმა ჯერ კიდევ 2000 ნელს გაიცნეს ერთმანეთი. მთელი ამ დროის განმავლობაში, გაზეთების ფურცლებზე მუდმივად წერდნენ იმის შესახებ, რომ წყვილი მალე შეუღლდებოდა, მაგრამ ჩოგბურთელები ასევე მუდმივად უარყოფდნენ ამ ჭორებს. და აი, 2003 წლის დეკემბერში, გაჩნდა ოფიციალური ინფორმაცია კიმისა და ლეიტონის ნიშნობის შესახებ. ჰიუიტმა კლაისტერსს ნიშნობის ბეჭედი მაშინ გადასცა, როცა ისინი იახტით სიდნეის ყურეში სეირნობდნენ. ავსტრალიელის სიტყვებით, *"ეს იყო განსაკუთრებული საღამო მსოფლიოს ერთ-ერთი ულამაზეს ქალაქში. უკეთესზე ოცნება არ შეიძლებოდა"*. ყველაფერი ქორწილისკენ მიდიოდა, დაინიშნა ცერემონიის თარიღი და ადგილი, მაგრამ ქორწილამდე რამდენიმე თვით ადრე, კიმ კლაისტერსის ოფიციალურ ვებ-გვერდზე სენსაციური ინფორმაცია გაჩნდა - ორმხრივი შეთანხმების თანახმად, ჩოგბურთელები ერთმანეთს გაეყარნენ. *"არ გვინდა საერთო გვქონდეს იმ ჭორებთან, რომლებიც ასეთი სიტუაციების დროს წარმოიშვება ხოლმე"*, - ეწერა განცხადებაში.

ლეიტონი მარტო დიდხანს არ დარჩენილა და მალე იპოვნა ახალი მეგობარი. ის გახდა ავსტრალიელი ტელევარსკვლავი **ბეკ კარტრაიტი**. მათი ურთიერთობა ელვისებური სისწრაფით განვითარდა და 2005 წლის იანვარში, ავსტრალიის ღია პირველობის ფინალის წაგების შემდეგ, ჰიუიტმა ბეკს ხელი სთხოვა. ქორწილი იმავე წლის დეკემბერში დაიგეგმა, მაისში კი, გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კარტრაიტი ფეხმძიმედ იყო. წლის ბოლოს, უიმბლდონის ჩემპიონმა ყველა ტურნირიდან გამოიტანა განაცხადი, რათა შვილის დაბადებამდე საყვარელი ადამიანის გვერდით ყოფილიყო. ბეკმა 29 ნოემბერს გოგონა გააჩინა.

ამასობაში, 2001 და 2002 წლებისგან განსხვავებით, ლეიტონის საჩოგბურთო წარმატებები მეტად მოკრძალებული გახდა. ჰიუიტი ვერაფერს უპირისპირებდა **როჯერ ფედერერს**, ამასობაში გამოჩნდნენ ახალგაზრდა ვარსკვლავები - **ენდი როდიკი, რაფაელ ნადალი**, რომელთა წინაალმდეგობის დაძლევაც ხშირად ვერ ხერხდებოდა. გარდა ამისა, ლეიტონს პერიოდულად ჯანმრთელობაც ღალატობდა და ის ტემპი, რომლითაც თამაშს აგრძელებდა, მსოფლიო ელიტაში ადგილის შესანარჩუნებლად საკმარისი უკვე აღარ იყო. ჰიუიტს რაღაც უნდა შეეცვალა და სწორედ ამ დროს, შემთხვევითობის წყალობით როჯერ ფედერერი თავის მწვრთნელს, ჰიუიტის თანამემამულე **ტონი როიჩს** გაეყარა. 2007 წლის ივლისში, ტონი დათანხმდა ლეიტონთან თანამშრომლობას. ჯერჯერობით ამ კავშირს რაიმე შედეგი არ მოუტანია, მაგრამ ჩოგბურთელი აცხადებს, რომ როიჩთან ერთად ყოველი ვარჯიში, მას თამაშის ამა თუ იმ კომპონენტის დახვეწაში ეხმარება, ეს კი, ავსტრალიელ გულშემატკივრებს უკეთესი მომავლის იმედს უტოვებს.

როიჩისა და ჰიუიტის ერთობლივი მუშაობის პირველი ნაყოფის შეფასების საშუალება ავსტრალიის ღია პირველობის დროს მოგვეცემა. საერთოდ, ლეიტონის დამოკიდებულება ამ ტურნირის მიმართ - განსაკუთრებული ისტორიაა. ჩოგბურთელს ხშირად ულიარებია, რომ მისი მთავარი ოცნება ავსტრალიის ღიას მოგებაა, მაგრამ ის ვერაფრით ახერხებს ამ ოცნების ასრულებას. 2002 წელს, ლეიტონისგან ყველანი გამარჯვებას ელოდნენ, მაგრამ მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა პირველივე წრეში წააგო ვინმე **ალბერტო მარტინთან** (6:1, 1:6, 4:6, 6:7). ფინალში გასვლა მან მხოლოდ 2005 წელს შეძლო, მაგრამ გადამწყვეტი მატჩი რუს მარატ საფინთან დათმო (6:1, 3:6, 4:6, 4:6).

ჰიუიტს ყველანაირად ცდილობენ დაეხმარნონ გულშემატკვირები და ავსტრალიის ღია ორგანიზატორები. უკვე პირველი შემთხვევა არ არის, რომ მელბურნში ცვლიან კორტის საფარს თავიანთი საყვარელი ჩოგბურთელისთვის უფრო მოსახერხებელ საფარზე, მაგრამ არც ამას მოაქვს შედეგი. წელს, მაგალითად კორტი ისევ შეცვალეს და წესით, საფარი უფრო სწრაფი უნდა გამხდარიყო. მაგრამ აქ პატარა ლაფსუსი მოუვიდათ. ბევრმა ჩოგბურთელმა უკვე გასინჯა კორტი და მათი სიტყვებით, ის შარშანდელზე უფრო ნელი ყოფილა.

მიუხედავად ყველაფრისა, მწვანე კონტინენტის ყველა მცხოვრები მოუთმენლად ელოდება "დიდი სლემის" პირველი ჩემპიონატის დაწყებას და იქ თავიანთი კუმირის, ლეიტონ ჰიუიტის ტრიუმფს. მით უმეტეს, რომ უკანასკნელად ავსტრალიელმა საშინაო ტურნირის მთავარი პრიზი 32 წლის წინ მოიპოვა. 1976 წლის ფინალში **მარკ ედმონსონმა** თანამემამულე **ჯონ ნიუკომბი** დაამარცხა.

## TV სპორტი

### 9 იანვარი. ოთხშაბათი

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი.
15:05 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-ალბომი. ლაციო-ოლიმპიაკოსი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 შოტლანდიის ჩემპიონატი.
18:55 დუბაის თასი 2008. ლაციო-ოლიმპიაკოსი.
20:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:00 ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-ალბომი. სელტიკი-შახტარი.
22:55 ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი (LIVE).
00:55 ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩი (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

08:00 სპორტდოსიე.
08:27 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. მილანი-ფიორენტინა.
10:15 ფეხბურთი. Barca TV.
10:23 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
10:50 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ედმონტონი-აილენდერსი.
12:38 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-სარაგოსა.
14:23 სპორტკლუბი.
14:40 რეტრო-ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 2004-05. მილანი-ეინდჰოვენი.
16:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. შალკე-ვერდერი.
18:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ლაციო-ემპოლი.
19:46 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-ატლეტიკო.
21:30 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
21:37 რეტრო-ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 2004-05. მილანი-ეინდჰოვენი.
23:30 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
23:37 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ფლორიდა-პიტსბურგი.
01:25 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
01:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
02:08 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-სარაგოსა.
03:53 ფეხბურთი. Barca TV.
04:01 სპორტდოსიე.
04:31 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
05:01 ფიტნესი.
05:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-დალასი (LIVE).
08:05 ფეხბურთი. Barca TV.

**EUROSPORT**

11:30 მულტისპორტი.
12:30 ჩოგბურთი. WTA-ს ტური. 1/4 ფინალი. 1/4 ფინალი. სიდნეი. ავსტრალია (LIVE).
14:15 მულტისპორტი.
15:00 დარტსი. მსოფლიო ჩემპიონატი. IV დღე. ბრიტანეთი.
16:00 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. [illegible]-ფინეთი. თურქეთი.
17:30 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. მამაკაცები. იტალია-ესპანეთი. თურქეთი (LIVE).
19:30 დარტსი. მსოფლიო ჩემპიონატი. IV დღე. ბრიტანეთი.
20:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. ესტაფეტა. რუპოლდინგი. გერმანია (LIVE).
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ესტაფეტა. რუპოლდინგი. გერმანია (LIVE).
22:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
22:15 მულტისპორტი.
22:30 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. მამაკაცები. პოლანდია-პოლონეთი. თურქეთი (LIVE).
00:30 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. მამაკაცები. თურქეთი.
01:45 მულტისპორტი.
01:50 ცხენოსნობა. მსოფლიო თასი. მეხელენი. ბელგია.
02:50 ახალი ამბები.
02:55 მულტისპორტი.
03:00 გოლფ-კლუბი.
03:00 იახტ-კლუბი.
03:05 მულტისპორტი.
03:15 გოლი - საფეხბურთო პროგრამა.
03:45 მულტისპორტი.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ექსტრემალური სპორტი.
14:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. ჯგუფური ეტაპი. ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)-დინამო (რუსეთი).
15:00 ახალი ამბები.
17:00 ექსტრემალური სპორტი.
19:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. ჯგუფური ეტაპი. ანვილი (პოლონეთი)-ვალენსია (ესპანეთი).
20:00 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. მამაკაცები. თურქეთი.
22:00 სნოუბორდი. ახალი ზელანდია.
22:30 ახალი ამბები.
23:00 პული. ევროტური. მალაგა. ესპანეთი.
00:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. აშშ-ის გრან-პრი.
01:00 ექსტრემალური სპორტი.
02:00 ახალი ამბები.
02:15 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. მამაკაცები. თურქეთი.
03:15 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| შალკე-ფრაიბურგი | 3:1 |
| ლას პალმასი-კაიზერი | 2:0 |

**ინგლისი — I ლიგა**

| | |
|---|---|
| ლეიტონი-ტრანმერი | 3:0 |
| იეოვილი-ოლდჰემი | 0:2 |

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| მენსფილდი-უიკომბი | 0:4 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ალტრინჩემი-კიდერმინსტერი | 2:1 |
| ოქსფორდი-უეიმაუთი | 0:1 |

**ინგლისის ლიგის თასი — 1/2 ფინალი**

| | |
|---|---|
| ჩელსი-ევერტონი | 2:1 |

**ინგლისი — League Trophy**

| | |
|---|---|
| საუთსი-ბრაიტონი | 1:0 |
| სტოკპორტი-გრიმსბი | 1:2 |
| მორეკამბი-ბერი | 2:0 |
| ჯილინგემი-მილტონი | 1:1. პენ. 4:5 |

**შოტლანდია**

| | |
|---|---|
| სტ. მირენი-რეინჯერსი | გადაიდო |

**თურქეთის თასი**

| | |
|---|---|
| რიზე-დიარბაქირი | 2:1 |
| ბეშიქთაში-ანკარა | 2:1 |
| ალანია-გაზიანთეფი | 0:3 |

### კალათბურთი

**ULEB-ის თასი**

| | |
|---|---|
| აზოვმაში-ნანსი | 76:62 |
| ლუკოილი-ბენეტონი | 90:93 |
| ტრიუმფი-გმუნდენი | 78:73 |
| უნიქსი-აპოელი (თ) | 98:45 |
| ტურკ ტელეკომი-ხუვენტუდი | 96:94 |
| ასესოფტი-პემოფარმი | 72:83 |
| ცრვენა ზვეზდა-დინამო | 98:104 |
| პანელინიოსი-ნიმბურკი | 77:86 |
| ბეშიქთაში-ჟელეზნიკი | 77:76 |
| ასკ რიგა-ერტლანდი | 70:60 |
| ზადარი-ეიფელ ტაუერსი | 84:65 |
| მრს-ხირონა | 91:105 |
| კიოლნი-ვენტსპილსი | 84:76 |
| სკაილაინერსი-ხიმკი | 67:72 |
| ანვილი-ვალენსია | 77:70 |
| ლუდვიგსბურგი-შლიონსკი | 81:70 |
| შარლერუა-გალათასარაი | 64:62 |
| ანტვერპენი-აპოელი (გ-ე) | 78:77 |
| ბუდუჩნოსტი-ფრიბურგი | 74:63 |
| ვილერბანი-პანიონიოსი | 87:89 |
| გილფორდი-ალბა | 71:80 |
| ოსტენდე-კლიმამიო | 62:60 |
| პო ორტეზი-კიევი | 63:73 |
| სტრასბური-ტურუვი | 61:64 |
| შალონი-ოვარენსე | 88:68 |
| გრან კანარია-კალევი | 80:75 |

### ჰოკეი

**რუსეთი**

| | |
|---|---|
| ამური-სევერსტალი | 5:4 |
| ცსკა-სიბირი | 5:2 |
| ავანგარდი-მვდ | 3:5 |
| ს. იულაევი-ვიტიაზი | 0:2 |
| აკ ბარსი-ტრაქტორი | 7:5 |
| დინამო-ლადა | 2:2 |
| ლოკომოტივი-ტორპედო | 2:0 |
| სკა-სპარტაკი | 0:1 |
| ხიმიკი-ნეფტეხიმიკი | 3:1 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| აისბარენი-კიოლნი | 3:2 |
| ჰამბურგი-ჰანოვერი | 4:4 |
| იზერლონი-დუისბურგი | 6:4 |
| მანჰაიმი-ფრანკფურტი | 3:2 |
| ნიურნბერგი-აუგსბურგი | 4:1 |
| შტრაუბინგი-ვოლფსბურგი | 2:2 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ჟილინა-მარტინი | 2:2 |
| ზვოლენი-ტრენჩინი | 3:1 |
| კოშიცე-მიკულაში | 5:2 |
| ნიტრა-კეჟმაროკი | 3:3 |
| სკალიცა-სლოვანი | 2:4 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ვიტკოვიცე-სლავია | 3:1 |
| ზნოიმო-ტრშინეცი | 6:0 |
| სლოვანი-ლიტვინოვი | 0:2 |
| ბუდეიოვიცე-კარლოვი ვარი | 0:0 |
| პარდუბიცე-კლადნო | 4:1 |
| სპარტა-პლზენი | 4:4 |
| ლიბერეცი-ქლინი | 2:0 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| აიკ-სიოდერტალე | 3:6 |
| ბრიუნასი-ფერიესტადი | 3:2 |
| ჰვ 71-მორა | 3:1 |

### ჩოგბურთი

**ATP. ოკლენდი**

| | |
|---|---|
| როიტმანი-როსოლი | 6:2, 7:5 |
| კოლშრაიბერი-რასელი | 7:5, 6:2 |

**ATP. სიდნეი**

| | |
|---|---|
| ტურსუნოვი-ვავრინკა | 6:3, 6:3 |
| სტეპანეკი-რობრედო | 6:4, 6:2 |
| სეპი-ცონგა | 3:6, 6:3, 6:2 |
| გუჩიონე-მარტინი | 7:6, 6:4 |
| ჰიუიტი-მაუ | 6:3, 6:4 |
| მინარი-ჯონსი | 6:2, 7:5 |
| დარცისი-სირიანი | 6:1, 7:6 |
| მოია-კუბეკი | 6:1, 4:6, 6:2 |

**WTA. სიდნეი**

| | |
|---|---|
| სრებოტნიკი-ბამერი | 4:6, 6:1, 6:2 |
| კანეპი-არვიდსონი | 3:6, 6:3, 6:3 |
| ივანოვიჩი-რაზანო | 6:1, 2:6, 7:5 |
| სკიავონე-ბარტოლი | 2:6, 6:3, 6:2 |
| კუზნეცოვა-პეერი | 6:3, 6:4 |
| ვაიდიშოვა-ჰანტუხოვა | 6:4, 6:2 |
| იანკოვიჩი-გოლოვინი | 6:1, 2:6, 6:3 |

**WTA. ჰობარტი**

| | |
|---|---|
| ვესნინა-ლაგოსტერა | 6:3, 6:2 |
| მირზა-კუდრიავცევა | 6:3, 6:4 |
| დელაკუა-ლაპუშენკოვა | 6:4, 4:6, 6:1 |
| გალოვიტცი-გოვორცოვა | 6:3, 6:2 |
| ა. ბონდარენკო-დანილიდუ | 6:3, 6:3 |
| ჰარკლროუდი-ტუ | 7:6, 2:6, 6:1 |
| ზვონარევა-ოლარუ | 6:3, 6:2 |

კალათბურთი

## ოლიმპიას ჯიკიჩი გაწვრთნის

სლოვენიის "ოლიმპიას" ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. ლიუბლიანის კლუბს სათავეში ჩაუდგა სერბი სპეციალისტი **ალექსანდრ ჯიკიჩი**, რომელმაც შაბათს დათხოვნილი **მემი ბეჩიროვიჩი** შეცვალა.

ევროლიგის ოფიციალური ვებ-გვერდის ცნობით, ჯიკიჩი მანამდე "მინესოტა ტიმბერვულვზში" მთავარი მწვრთნელის ასისტენტის მოვალეობებს ასრულებდა.

## ეფესმა ერდოგანი დაკარგა

სავარაუდოდ, თურქეთის "ეფეს პილსენს" **სერქან ერდოგანის** გარეშე მოუწევს სეზონის მეორე ნაწილის ჩატარება.

ორი დღის წინ, 32 წლის მცველს მუხლზე ოპერაცია გაუკეთეს და ექიმების პროგნოზით, კალათბურთელს მომავალ სეზონამდე არ მოუწევს მოედანზე გასვლა.

სხვათა შორის, ერდოგანმა სწორედ მუხლის ამ ტრავმის გამო გამოტოვა შარშან ევროპის ჩემპიონატი. წელს, ვეტერანი მცველი ევროლიგის ჯგუფურ ეტაპზე, საშუალოდ მატჩში 6.8 ქულასა და 1.3 შედეგიან პასს აგროვებდა.

## ულქერმა კინსი დაიმატა

ევროლიგის ბინადარმა მეორე თურქულმა კლუბმა, "ულქერმა" ეროვნული საკალათბურთო ასოციაციიდან შესვება მიიღო. ამ გუნდში ჩაირიცხა "მემფის გრიზლისის" მცველი **ტერენს კინსი**, რომელმაც თურქებთან ამ სეზონის ბოლომდე გააფორმა კონტრაქტი.

23 წლის კალათბურთელმა "ულქერში" **იბრაჰიმ ქუთლუაი** უნდა შეცვალოს, რომელიც თავის მხრივ, საშობაო არდადეგების დროს საბერძნეთის პაოკში გადაბარგდა.

ამ სეზონში, NBA-ში კინსის საშუალო სტატისტიკური მონაგარი 3.6 ქულასა და 1.1 მოხსნას უდრიდა.

## კურტინაიტისი პოლონეთში წავიდა

ლიტვური კალათბურთის ლეგენდა **რიმას კურტინაიტისი** პოლონეთში გააგრძელებს სამწვრთნელო მოღვაწეობას. კერძოდ, ის "ვროცლავის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა.

კურტინაიტისმა ამ პოსტზე ადგილობრივი სპეციალისტი **ანჟეი ადამეკი** შეცვალა, რომელიც ამიერიდან ლიტველის თანაშემწის ფუნქციებს შეასრულებს.

ფორმულა 1

## სუპერ აგური შემადგენლობას არ ცვლის

2008 წლის სეზონისთვის საბოლოოდ გაარკვია შემადგენლობა იაპონურმა საჯინიბო "სუპერ აგურიმ". შარშანდელ ჩემპიონატთან შედარებით ცვლილება არ მომხდარა - გუნდის ღირსებას იაპონელი **ტაკუმა სატო** და ბრიტანელი **ენტონი დევიდსონი** დაიცავენ.

ეს ინფორმაცია გუნდის შეფობამ გაავრცელა, რითაც უარყო ხმები იმის შესახებ, რომ "სუპერ აგურიში" შესაძლოა ბრაზილიელი ვეტერანი **რუბენს ბარიკელო** ჩარიცხულიყო.

## რალფმა შვებულება აიღო

გერმანელმა პილოტმა **რალფ შუმახერმა** ინტერვიუ მისცა ერთ-ერთ გერმანულ გაზეთს, სადაც განაცხადა, რომ ის გამოტოვებს წლევანდელ სეზონს და ამ ერთწლიან შვებულებას, შესაძლოა ფორმულა 1-ში კარიერის დასრულება მოჰყვეს.

*"2008 წელს შვებულებას ავიღებ და ფორმულა 1-ში არ გამოვალ. უკან დარჩა სამი ურთულესი სეზონი "ტოიოტაში", "ფორს ინდია" კი, ჩემი ვარიანტი არ არის - გუნდი ნულიდან იწყებს და ეს მე არ მაწყობს. თეორიულად შემიძლია 2009 წელს დავბრუნდე, მაგრამ ფორმულა 1 წინ მიდის და არავის ელოდება"*, - განაცხადა რალფმა.

ჰოკეი

## სელიანე დასაბრუნებლად ემზადება

სასიამოვნო ინფორმაცია შეიტყვეს სტენლის თასის მფლობელის, "ანაჰაიმ დაქსის" გულშემატკივრებმა. ამერიკული პრესის ინფორმაციით, ფინელმა ფორვარმა **ტეემუ სელიანემ** ჯერაც ვერ გადაწყვიტა კარიერის დასრულება და სავარაუდოდ, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში გააგრძელებს კარიერას.

როგორც იტყობინებიან, ფინელი ვეტერანი აქტიურად ვარჯიშობს "იხვების" საწვრთნელ ყინულზე. ჟურნალისტების ვარაუდით, სელიანე "ანაჰაიმის" ფორმას თებერვლის დასაწყისში მოირგებს და რეგულარულ ჩემპიონატში ჩაებმება.

შეგახსენებთ, რომ სულ ცოტა ხნის წინ "დაქსს" დაუბრუნდა შარშანდელი ფლეი ოფის საუკეთესო მოთამაშე **სკოტ ნიდერმაიერი**, ახლა კი, სელიანეს ჯერია.

## ფლაიერზის ფორვარდმა კანტუზია მიიღო

"ფილადელფია ფლაიერზის" თავდამსხმელი **ჯოფრი ლუპული** მინიმუმ ორ კვირას გამოტოვებს ზურგის ტვინის კანტუზიისა და ტვინის შერყევის გამო.

ლუპულმა დაზიანება კვირას, "ტორონტოსთან" მოგებულ მატჩში (3:2) მიიღო. ის პარტნიორ **დერიან ჰეტჩერს** შეეჯახა და ამან სერიოზული გართულებები გამოიწვია. ინციდენტის შემდეგ, ფორვარდმა ერთი დღე საავადმყოფოში გაატარა.

ამ სეზონში, ლუპულმა 39 მატჩში 16 შაიბა და 19 შედეგიანი პასი დააგროვა.

ჩოგბურთი

## კუერტენი 2008 წელს წავა

როლან გაროსის სამგზის ჩემპიონმა, **გუსტავო კუერტენმა** გადაწყვიტა, რომ 2008 წლის სეზონი უკანასკნელი იქნება მის კარიერაში. 31 წლის ბრაზილიელს წელს არც ისე დატვირთული გრაფიკი ექნება. ის რამდენიმე ტურნირში აპირებს გამოსვლას და ამ სიაში აუცილებლად შევა საფრანგეთის ღია პირველობა.

*"მინდა იმ ტურნირებში მივიღო მონაწილეობა, რომლებსაც ჩემთვის განსაკუთრებული დატვირთვა აქვს. პრინციპში, არჩევანი უკვე გაკეთებულია, განრიგში მხოლოდ რამდენიმე დეტალია დასაზუსტებელი"*, - განაცხადა გუგამ.

ვარაუდობენ, რომ ჩოგბურთელი მონაწილეობას მიიღებს ბრაზილიის ღია პირველობაზე, ასევე მაიამიში "მასტერსის" სერიის ტურნირში.

გასულ სეზონში, მსოფლიოს 680-ე ჩოგანმა 9 მატჩი გამართა, რომელთაგან მხოლოდ ორი მოიგო. ბრაზილიელის კარიერას დაღი დაასვა 2004 წლის სექტემბერში, ბარძაყზე დაკეთებულმა ოპერაციამ. მანამდე კუერტენმა ATP-ის 20 ტურნირის მოგება (უკანასკნელი 2004 წლის თებერვალში) მოასწრო. ბრაზილიელი საფრანგეთის ღია პირველობის გამარჯვებული 1997, 2000 და 2001 წლებში ხდებოდა.

2000 წელს, კუერტენი კლასიფიკაციის პირველი ნომერი იყო.




ჰემილტონი და კოვალაინენი ახალი ბოლიდის პრეზენტაციაზე

ფორმულა 1. გუნდების წარდგენა

# მაკლარენი საბრძოლველად მზადაა

"ფერარის" ახალი ბოლიდის პრეზენტაციიდან ერთი დღის შემდეგ, თავისი ახალი "საბრძოლო იარაღი" საზოგადოებას მარანელოელთა მთავარმა კონკურენტმა "მაკლარენმაც" წარუდგინა. ამჯერადაც, პრეზენტაცია ყოველგვარ პომპეზურობას იყო მოკლებული. ის საქმიან ვითარებაში, გუნდის გერმანელი პარტნიორის, "მერსედეს-ბენცის" შტუტგარტულ მუზეუმში ჩატარდა.

კონკურენტის მსგავსად, თავისი სიახლის შესახებ "მაკლარენმაც" მწირი ინფორმაცია გამოაქვეყნა. ზოგადად ითქვა, რომ სიახლეები გადაცემათა კოლოფს, ელექტრონულ სისტემებსა და აეროდინამიკურ პაკეტს შეეხო. ოღონდ, "ფერარისგან" განსხვავებით, ინგლისურ საჯინიბოს რადიკალურად არ შეუცვლია ავტომობილის აეროდინამიკა. ის გარეგნულად ძლიერ ჰგავს შარშანდელ მოდელს, თუმცა განსხვავება ცალკეულ დეტალებში, მაგალითად რადიატორების პანტონების მოყვანილობაში, მაინც შეიმჩნევა.

ახალი ბოლიდის (MP4-23) პრეზენტაცია "მაკლარენმა" თავისი პილოტის, ბრიტანელი **ლუის ჰემილტონის** იუბილეს დაამთხვია. შარშანდელი სეზონის აღმოჩენას 7 იანვარს 23 წელი შეუსრულდა. პრეზენტაციას დაესწრო ფორმულა ერთის ფაქტობრივი ბატონ-პატრონი **ბერნი ეკლსტოუნი**.

ჰემილტონმა განაცხადა, რომ ახალი სეზონისთვის მზადება გასული სეზონის დასრულებისთანავე დაიწყო. შარშანდელი სეზონის შემდეგ, უფრო მეტად თავდაჯერებული ვარ და მწამს, რომ ჩემპიონობისთვის ბრძოლა შემიძლია, რაშიც გასულ სეზონში მიღებული გამოცდილება ძალიან დამეხმარებაო.

შეგახსენებთ, რომ შარშან ჰემილტონს მართლაც ფანტასტიკური დებიუტი ჰქონდა. სეზონის პირველი ცხრა რბოლა მან კვარცხლბეკზე დაასრულა, რაც მანამდე არნახული შედეგია. სულ კი სეზონში ოთხი რბოლის მოგება შეძლო და ბოლო რბოლაში (ბრაზილია) ორი ქულით მეტი რომ აეღო, სადებიუტო სეზონშივე გახდებოდა მსოფლიოს ჩემპიონი. ისე კი, საბოლოოდ ერთი ქულით წააგო "ფერარის" ფინელ პილოტ **კიმი რაიკონენთან**, ვინც შარშან "სკუდერიაში" თვით **მიხაელ შუმახერი** შეცვალა.

ჰემილტონის ესოდენ შთამბეჭდავი დებიუტი კი დაჩრდილა მსტოვრულმა სკანდალმა, რომლის შედეგადაც, "მაკლარენი" კონსტრუქტორთა პირველობიდან მოიხსნა და 100 მილიონი დოლარით დაჯარიმდა. ამის შედეგია ის, რომ ახალ სეზონში "ვერცხლისფერი ისრების" პილოტები 22 და 23 ნომრებით იასპარეზებენ. იმავე სპაიგეიტის გამო, გუნდის შეფ **რონ დენისსა** და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს, ესპანელ **ფერნანდო ალონსოს** შორის ურთიერთობა უკიდურესად დაიძაბა, რის გამოც ალონსომ "რენოში" დაბრუნება გადაწყვიტა, მის ადგილს კი "მაკლარენში" ფრანგული საჯინიბოდან გადმოსული ფინელი **ჰეიკი კოვალაინენი** დაიკავებს.

ადვილი სავარაუდოა, რომ ჰემილტონი გუნდის გამოკვეთილი ლიდერი იქნება, თუმცა დენისი ამას უარყოფს და ირწმუნება, რომ მისი გუნდი ორივე პილოტს თანაბრად დაეხმარება. ამის იმედი კოვალაინენსაც აქვს: *"ამ გუნდში არავითარ შემთხვევაში არ გადმოვიდოდი, რომ არ დავრწმუნებულიყავი, რომ ფავორიტიზმს ადგილი არ ექნება. გარწმუნებთ, ყოველ რბოლაში ისეთივე ტექნიკური უზრუნველყოფა მექნება, როგორიც ჰემილტონს, რაც იმას ნიშნავს, რომ ბევრი რამ მხოლოდ ჩემზე იქნება დამოკიდებული"*, - ამბობს ჰეიკი.

ასეა თუ ისე, პილოტების ანაზღაურებას შორის უზარმაზარი სხვაობა იქნება. ბრიტანულ პრესაში გავრცელებული ცნობით, "მაკლარენმა" ჰემილტონს ახალი, ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა, რომლის მიხედვითაც, ბრიტანელი პილოტი მომდევნო ხუთ სეზონში, ხელფასის სახით, სულ 138 მილიონ დოლარს მიიღებს. დამდეგ სეზონში კი მისი საბაზო ხელფასი 17 მილიონი დოლარი იქნება, რასაც 6 მილიონი იმ შემთხვევაში დაემატება, თუ ლუისი ჩემპიონის ტიტულს დაეუფლება.

დაბოლოს, "მაკლარენის" ახალი ბოლიდის პრეზენტაციის პარალელურად, მილანში სპეციალური პრესკონფერენცია "ფერარის" მთავარმა აღმასრულებელმა **ჟან ტოდტმა** გამართა. მასზე ითქვა, რომ ახალი სეზონის დასაწყისში "მაკლარენს" გარკვეული უპირატესობა ექნება, რადგან სწორედ ამ გუნდის და კომპანია "მაიკროსოფტის" ინჟინრების მიერაა შექმნილი სტანდარტული ელექტრონული კონტროლის კვანძი (SECU), რომელსაც თავის ბოლიდებზე უკლებლივ ყველა გუნდი გამოიყენებს.

ცნობისათვის, "მაკლარენმა" ამ კვანძის დამზადების უფლება ფია-ს (საერთაშორისო საავტომობილო ფედერაცია) მიერ გამოცხადებულ ტენდერზე მოიპოვა. ამ კვანძის მეშვეობით, ფია გუნდების უკეთ გაკონტროლებას შეძლებს. კერძოდ, ფედერაციის ტექნიკურ კომისიას ექნება სრული ინფორმაცია იმის შესახებ, არღვევენ თუ არა გუნდები ტექნიკურ რეგლამენტს.

*"გვერჩივნა, რომ ეს სისტემა სხვა გუნდს შეექმნა. თუმცა, იმასაც ვაღიარებ, რომ "მაკლარენმა" და "მაიკროსოფტმა" ამ სისტემის საუკეთესო და ყველაზე ეკონომიური ვარიანტი შემოგვთავაზეს. ნებისმიერ შემთხვევაში, ამ სისტემის ექსპლუატაციისას, ფია-ს მუდმივი მონიტორინგის ჩატარება მოუწევს, რათა "მაკლარენმა" არანაირი უპირატესობა არ მიიღოს"*, - ამბობს ფრანგი მენეჯერი, ვისაც იტალიური საჯინიბოს სათავეში ახალი სეზონიდან **სტეფანო დომენიკალი** შეცვლის, თავად კი "ფერარის" მთავარი აღმასრულებლის მოვალეობას შეასრულებს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კოგა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიგილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიგილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსერვატორია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა